

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შორენა ხუბუნაია

ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზარი მოსახლეობის  
კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემაში

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორის  
P(Ph.D) დკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი რევაზ ხარებავა

თბილისი

2013 წელი

## შინაარსი

შესავალი.

1. სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

1.1 ბაზრის თეორიის განვითარების ზოგადი ასპექტები.

1.2 სასურსათო ბაზრის განვითარების ტენდენციები და ფუნქციონირების სპეციფიკური თავისებურება.

1.3 სასურსათო საბითუმო ბაზარი, როგორც მასში მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის მექანიზმი.

1.4 აგრარული ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობის შეფასების კრიტერიუმები.

2. სასურსათო ბაზარი მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემებში და სტრუქტურებში.

2.1 სასურსათო ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მიზნები, ფორმები და მექანიზმები.

2.2 სურსათის წარმოებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების სისტემები და სტრუქტურები.

2.3 ქვეყნის სასურსათო ბაზრის კვების პროდუქტებით გაჯერების პოტენციალის გამოყენების ამაღლების ძირითადი მიმართულებები.

2.4 სურსათის საბითუმო ბაზარი, როგორც მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი.

3. ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდელი.

3.1 სურსათის საბითუმო ბაზრის შექმნისა და ფუნქციონირების მექანიზმების ფორმირების ეტაპები.

3.2 სურსათის საბითუმო ბაზრის მოდელის ფორმირების და რეალიზაციის ალგორითმი.

დასკვნა.

გამოყენებული ლიტერატურა.

## შესავალი

თემის აქტუალობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სრულიად ახალი პირობები, მისი სწრაფვა ევროკავშირის სახელმწიფოთა ერთიანობაში ინტეგრაციისკენ მოითხოვს ეკონომიკის დარგებისა და დარგთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ამ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სურსათის წარმოების, შესაბამისი ხარისხით, რაოდენობითა და ხელსაყრელ ფასად მოსახლეობისათვის მიწოდებისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას. თანამედროვე საზოგადოების სურსათით სტაბილური უზრუნველყოფა მოითხოვს სისტემურ მიდგომას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებიდან მომხმრებლამდე ერთიანი ჯაჭვის შექმნას, მისი მიწოდების უწყვეტობას და ერთიანი მართვის სისტემის ფორმირებას. ეს პრობლემა ყველა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში წარმოადგენს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს.

ეროვნული სასურსათო ბაზრის ფორმირების უპირველესი და მთავარი წინაპირობაა ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინება. ეკონომიკურ ლიტერატურაში, პრესასა და ინფორმაციის ელექტრონულ წყაროებში ფართოდ განიხილება ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინების და სასურსათო ბაზრის გაჯერების საკითხები. ამავდროულად, უმეტესი მათგანი არ ასახავს პრობლემის გადაწყვეტის რეალურ პირობებს, ფორმებსა და მეთოდებს, და მათი გამოყენების თანმიმდევრობას. განსაკუთრებით ის, რომ ქვეყნის სასურსათო ბაზრის გაჯერების პანაცეადაა მიჩნეული ფინანსური და ფასისმიერი ბერკეტები, და ყურადღების მიღმა დარჩენილი ისეთი აქტუალური საკითხი, როგორცაა სასურსათო ბაზრის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტის ფორმები და მეთოდები.

როცა ვახორციელებთ ქვეყანაში სასურსათო ბაზრის ფორმირების სხვადასხვა მიმართულებების კომპლექსურ კვლევას, გასათვალისწინებელია თანამედროვე მსოფლიოს სასურსათო ბაზრის განვითარების ტენდენციები და სასურსათო პროდუქტებზე ფასების ცვლილების (ზრდის) დინამიკა, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო ბაზრის დღევანდელი არასახარბიელო მდგომარეობა, რაც განპირობებულია სურსათის ადგილობრივი წარმოების კლებადი ტენდენციით და იმპორტის ზრდით. ამ მიმართულების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეროვნულ სოფლის მეურნეობაში წარმოებული სასურსათო პროდუქტისგან და ადგილობრივი წარმოების ნედლეულისგან მიღებული კვების პროდუქტების მომხმარებლამდე წინწაწევის ორგანიზაციულ ფორმებს (ინსტიტუტებს), რომელთა შორის დღევანდელ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში საკმაოდ დიდი (რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი) ადგილი უკავია სურსათის საბითუმო ბაზარს.

ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის არსებობა სხვა დანარჩენ ანალოგიური სახის ორგანიზაციულ ფორმებსა და სტრუქტურებთან ერთად, საკმაოდ მაღალი ხარისხით ახდენს ზეგავლენას, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების აღორძინებასა და აგრარული სამეურნეო სუბიექტების სურსათის წარმოების დაინტერესების ზრდაზე (გარანტირებული გასაღების ბაზრის ფორმირების შედეგად), ასევე წარმოებული პროდუქციის მომხმარებლამდე წინწაწევის მართვადი (რეგულირებადი) ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბებაზე.

სასურსათო პროდუქტების წარმოებიდან მომხმარებლამდე მიწოდების ერთიანი ჯაჭვის ფორმირებაში (სურსათის საბითუმო ბაზარი) განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ პროცესში მონაწილეთა ინტერესების თანხვედრის უზრუნველყოფას, რადგანაც თითოეული, ადრე

დამოუკიდებლად მოქმედი სასურსათო ბაზრის სუბიექტების სასურსათო ინდუსტრიის ორგანიზებულ სისტემაში ჩართვა ნაკარნახევია მათი ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესებით. აქედან გამომდინარე, მეურნეობრიობის სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების შინაარსის ახსნა, მათი პირად, ჯგუფურ და სხვა ინტერესებთან ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, მეურნეობრიობის სხვადასხვა სუბიექტების ინტერესების ერთიანობა და წინააღმდეგობა წარმოადგენს მათი შეთანხმებულობის დონის შეფასების, დასაბუთების კრიტერიუმების საფუძვლიან თეორიულ წანამდღვარს.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეურნეობათა (დარგთაშორისი) კავშირების არარსებობა განაპირობებს მოცემული საკითხის კვლევის აქტუალობას, რაც გამომდინარეობს აგრარულ საბაზრო სივრცეში მონაწილეთა სამეურნეო-საწარმოო ორგანიზაციის ფუნქციონირების აუცილებლობით და საბოლოო მიზნის ერთიანობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხდის აქტუალურს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მომარაგების ორგანიზაციული სისტემის (ინსტიტუტის) შექმნისა და სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტას, რომ განვითარებული და პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად, ქართულ სინამდვილეშიც დამკვიდრდეს და განვითარდეს მოსახლეობის სურსათით მომარაგების ინსტიტუციური ფორმა – **ეროვნული საბითუმო სასურსათო ბაზარი**.

**პრობლემის შესწავლის ხარისხი.** საქართველოს აგროსასურსათო სექტორის, აგრარული სფეროს და საზოგადოების სურსათით უზრუნველყოფის ცალკეული ასპექტების კვლევას XX საუკუნის 90-იან და XXI საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბევრმა ქართველმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია:

ანდლულაძე რ, ასათიანი რ, ბახია მ, ბენია შ, გიორგაძე ჰ, გოგოხია რ, კიკნაველიძე ა, კოლუაშვილი პ, კუნჭულია თ, ფეტელავა ს, ქარქაშაძე ნ, ქემელაშვილი ო, ჭითანავა ნ, ხარებავა რ, ხარაიშვილი ე. და სხვა. ამასთან, აგროსასურსათო სფეროში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვედრებისა და რეფორმის წარმატებულად გატარების ისეთი აქტუალური ასპექტი (ინსტიტუტი), როგორცაა ქვეყნის მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უწყვეტი და სტაბილური მიწოდების პროცედურის სისტემატიზაცია დროში და სივრცეში, დარჩა მკვლევარების ყურადღების მიღმა. რაც, ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად აფერხებს სურსათის მოსახლეობისათვის მიწოდების სისტემური მიდგომების უზრუნველყოფას.

აგრარული პრობლემების კვლევის ეს სფერო – ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირება, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დიდ ძალისხმევას. პრაქტიკის გამოცდილებით ირკვევა, რომ სწორედ სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა ასეთი სახის ბაზრების ფორმირებაზე, გასწიოს გარკვეული ფინანსური ხარჯები, უზრუნველყოს კერძო სექტორის დაინტერესება და ინტეგრაცია ამ სფეროში, მოახდინოს მმართველობითი, საკანონმდებლო, მარეგულირებელი ფუნქციების ოპტიმიზაცია და სხვა ძირეული საკითხების გადაწყვეტა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია – სტრუქტურულ-ლოგიკური მიდგომების საფუძველზე, შემუშავდეს ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საფუძვლები, რომლის პრაქტიკაში განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების სისტემაში გაერთიანებული ძალისხმევით მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების რეალიზაცია.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- სურსათის ეროვნული ბაზრის ფუნქციონირების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიდგომების, თანამედროვე კონცეფციების ანალიზი, შეფასება, განზოგადება და ავტორისეული პოზიციების დასაბუთება;

- სასურსათო საბითუმო ბაზრის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების და მათი მომხმარებელადე წინააღმდეგობის წახვეტილი მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მექანიზმის ანალიზი, შეფასება და რეალიზაციის პირობების გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა;

- თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებადი სურსათის წარმოებისა და მომხმარებლებისთვის მიწოდების სისტემებისა და სტრუქტურების შესწავლა, განზოგადება და ავტორისეული მიდგომების ჩამოყალიბება;

- აგრარული ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობის ეფექტიანობის კრიტერიუმების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება;

- სასურსათო საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების მიზნების, ფორმების, მექანიზმების ანალიზი, შეფასება და სრულყოფის გზების განსაზღვრა;

- ქვეყნის სასურსათო ბაზრის კვების პროდუქტებით გაჯერების არსებული პოტენციალის გამოყენების ხარისხის ანალიზი და შეფასება, მისი შესაძლებლობების გაძლიერებაზე მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ძირითადი ფაქტორების დადგენა და შეფასება;

- ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის შემოთავაზებული მოდელის როლის შეფასება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის თვალსაზრისით;

- სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების ძირითადი მექანიზმების, პრინციპებისა და ეტაპების ჩამოყალიბება;



- ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის მოდელის ფორმირებისა და რეალიზაციის ეტაპების ფორმულირება.

**კვლევის საგანი.** კვლევის საგანია ქვეყნის ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილეთა ურთიერთობები და მისი სრულყოფის მიმართულებები.

**კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტს წარმოადგენს აგროსასურსათო სფეროს აღწარმოებითი პროცესი და მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდების მექანიზმი – სურსათის ერთიანი ეროვნული საბითუმო ბაზარი და მასში მიმდინარე სოციალურ - ეკონომიკური პროცესები.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსების, ეროვნული და უცხოური მეცნიერების შესაბამისი პრობლემის მკვლევარების შრომები. აგრარული ბაზრის ფუნქციონირების პრობლემების სხვადასხვა სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტების ნაშრომები, ყოველწლიური სპეციალური ჟურნალებისა და ბეჭდვითი მედიის მიერ გამოქვეყნებული შესაბამისი მასალები, პუბლიკაციები, სადაც ასახულია ევროკავშირის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი და შეფასება.

**კვლევის ემპირიული საფუძვლები.** კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. ცალკეული ამოცანების გადასაჭრელად, თემის აქტუალობის დასაბუთების, კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის, სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების თეორიული და მეთოდური საკითხების დამუშავების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ეკონომიკური მეთოდები. კერძოდ: ანალიზის, წარმოების ფაქტორების და მოცულობითი შედარებების, დინამიკის შესწავლისა და სხვა. კვლევისას ასევე გამოყენებულია თბილისის

ტერიტორიაზე მოქმედი სასურსათო ბაზრების ფუნქციონირების პროცესებზე ჩვენს მიერ ჩატარებული საველე დაკვირვებების შედეგები და სხვა.

**კვლევის ძირითადი შედეგები.** დაცვაზე გაიტანება შემდეგი მეცნიერული შედეგები და ძირითადი დებულებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს მაძიებლის პირადი კვლევის შედეგებს:

1. ბაზრისა და საბაზრო ურთიერთობების ანალიზის შედეგად, გამოვლენილია თანამედროვე სასურსათო ბაზრის არსის ცვლილებების ტენდენციები. აღნიშნულია, რომ აგრარული ბაზარი თანდათან შორდება მის სრულყოფილ ტიპს და იძენს ოლიგოპოლიური ბაზრის შინაარსს, რაც განპირობებულია თანამედროვე გლობალიზაციისა და ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების მზარდი ტემპებით, ასევე, სავაჭრო და საწარმოო კაპიტალის შეღწევით აგრარულ სფეროში და სურსათის წარმოების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციული პროცესებით;

2. შეფასებულია აგროსასურსათო სფეროს სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების არსობრივი მრავალკრიტერიული სისტემა, რომლის მიხედვით ინტერესები დახასიათებულია, როგორც აღწარმოების პროცესის სისტემის ისტორიულ-სოციალური და ეკონომიკური კატეგორია, განპირობებული საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარებით და ადამიანების მატერიალური მოთხოვნილების შეურნეობების სუბიექტების ეკონომიკურ მოთხოვნილებამდე გაფართოებით.

3. წარმოდგენილია აგრარული ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობის შეფასების კრიტერიუმები და გაკეთებულია დასკვნა, რომ ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობა იძლევა სურსათის წარმოებისა და მომხმარებლამდე წინწაწევის, მასში მონაწილეობისა და ყოველი მათგანის ეკონომიკური ინტერესის რეალიზაციის თანაბარ შესაძლებლობას, ვინაიდან ის გამომდინარეობს ურთიერთშეთანხმებულობის კრიტერიუმის ფართო ცნებიდან, პირდაპირ განსაზღვრავს საწარმოს

ფინანსურ მდგომარეობას და მის უნარიანობას პასუხი გასცეს მის ყველა, როგორც შიდა, ისე გარე ვალდებულებებს.

4. სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების მიზნების, მექანიზმების და მეთოდების შესწავლის შედეგად, მიზანშეწონილადაა მიჩნეული სურსათის საბითუმო ბაზრის სახელმწიფო რეგულირების გარდაუვალი აუცილებლობა. ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, სახელმწიფო უშუალოდ აგებს პასუხს საკუთრი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით სტაბილურ უზრუნველყოფაზე და ამ მიზნით წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების სრულფასოვან მონაწილეს; რადგან სოფლის აღწარმოების ყველა პრობლემების გადაწყვეტა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძალისხმევით შეუძლებელია, განსაკუთრებით საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში, როცა არსებული აგრარული საწარმოების უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია საოჯახო (ფერმერული) მეურნეობების სახით, რომელიც ჯერ კიდევ ხასიათდება აგრარული წარმოების დაბალი ორგანიზაციულ - საწარმოო კულტურით.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების და ფუნქციონირების სპეციფიკების შესწავლის შედეგად დასაბუთებულია მათი ეფექტიანობა და გამოკვეთილია როლი, რომელიც მათ შეუძლიათ შეასრულონ ქვეყნის მოსახლეობის წლის ნებისმიერ დროს სასურველი ნომენკლატურის, ხარისხიანი პროდუქტების უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებაში.

6. თანამედროვე ქართული აგრარული ბაზრის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია, რომ გეგმური მეურნეობრიობის სისტემის რღვევის შედეგად ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მომარაგება ხორციელდება სტიქიურად, უსისტემო რეჟიმში ფუნქციონირებადი სასურსათო ბაზრებით. მათი ყველა სუბიექტი, როგორც წესი ხელმძღვანელობს მხოლოდ პირადი მოტივაციით და ინტერესებით

(ბუნებრივიცაა). არც ერთი შუალედური რგოლის ინტერესში არ შედის მომხმარებლის სტაბილური უზრუნველყოფა შესაბამისი ხარისხის პროდუქტებით და თვისებრივად ის უპირისპირდება საზოგადოების (სახელმწიფოს) ინტერესებს. ბუნებრივია, რომ აღნიშნული სიტუაცია (სურსათის ბაზრის ფორმირებაში მონაწილეთა ინტერესების განყენებულობა) იწვევს ბაზრის სურსათით გაჯერების მერყეობას და იძლევა ფასებით მანიპულაციის შესაძლებლობას.

7. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სურსათის სრული ასორტიმენტით, მოთხოვნების შესაბამისი ხარისხითა და ფასით მიწოდების უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბებული სასურსათო საბითუმო ბაზრის სტრუქტურების, მთლიანად აგრარული ბაზრის შესწავლის შედეგად და საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მსგავსი პირობების შექმნის მიზნით შემოთავაზებულია სასურსათო საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების პროცედურები და ეტაპები. მისი ფუნქციონირებისას არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები, მოცემულია ასევე სურსათის საბითუმო ბაზრის ორგანიზაციის პროცედურული სქემა (ალგორითმი).

8. გამოკვეთილია სურსათის საბითუმო ბაზრის, როგორც სისტემის შექმნისა და განვითარების ძირითადი მართულებები, მათი ფუნქციონირების სპეციფიკა, პრინციპები და შემოთავაზებულია სურსათის ეროვნული საბითუმო ბაზრის შექმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების მექანიზმები (საკანონმდებლო ბაზა, ორგანიზაციული პროცედურები, მართვის მექანიზმები და სხვა).

**მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევის პროცესში სურსათის ეროვნული საბითუმო ბაზრის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების განზოგადების შედეგად ჩამოყალიბებული დებულებები გარკვეული ხარისხით ხასიათდებიან სიახლეებით, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით შესაბამისი მოცულობითა და ხარისხით უზრუნველყოფის უმნიშვნელოვნეს

ინსტრუმენტად მრავალ ქვეყანაში მიხნეულია ერთიანი სასურსათო საბითუმო ბაზარი, რომლის ეფექტიანობაში ჩვენი დარწმუნება განაპირობა სასურსათო საბითუმო ბაზრის მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლამ, რაც პირველი მცდელობაა საქართველოში აგროეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკული ასპექტების კვლევებში;

- წარმოჩენილი და დასაბუთებულია პოზიცია, რომ ქვეყნების (განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში) დღევანდელი სასურსათო ბაზარი მნიშვნელოვნად მაღალი ხარისხით იძენს ოლიგოპოლიური ბაზრის შინაარსს და სწრაფი ტემპით შორდება „სრულყოფილი ბაზრის ტიპს“, კარგავს მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშნის ფუნქციას, რაზეც მეტყველებს ევროკავშირის ქვეყნების აგრარულ ბაზარზე მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები.

- კვლევის ობიექტიდან და მიზნებიდან გამომდინარე, აგრარული ბაზრის ფორმირებისა და განვითარების თავისებურების შესწავლის, მასში მიმდინარე პროცესების შედარებითი ანალიზის შედეგად, გაზიარებულია მტკიცება, რომ არ არსებობს წმინდა გეგმური და წმინდა საბაზრო ხასიათის სასურსათო ბაზარი. მისი სპეციფიურობიდან გამომდინარე, იგი ერთდროულად მოიცავს სტიქიურობისა და გეგმაზომიერების რეგულირების მექანიზმებს, მათი გააზრებული შეთავსება იძლევა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის სრულყოფილ მოდელს (სისტემას);

- სასურსათო საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებლობა დასაბუთებულია მასში მონაწილე სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების უფრო მაღალი ეფექტიანობის მიღწევის თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების წარმოებიდან მომხმარებელმადე წინწაწევის მონაწილეთა ინტერესების ერთმიმართული საბოლოო შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის პრინციპის – „რაც კარგია ერთისთვის, კარგია პროცესის ყველა მონაწილისათვის, მათ შორის პროდუქციის საბოლოო მომხმარებლისათვის“ რეალიზაციას.

- დასაბუთებულია სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიან ჯაჭვში მონაწილე სუბიექტების ინტერესთა შეთანხმებულობის აუცილებლობა. გამოვლენილია ამ ინტერესთა ურთიერთშეთანხმებულობის სინერგიული ეფექტი, რომელიც საბოლოო ჯამში ზრდის სურსათის წარმოებაში დასაქმებული ადამიანებისა და ჯგუფების ინტერესების რეალიზაციის ხარისხს. ჩამოყალიბებულია ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ალგორითმი, რომელიც ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს და თანაბარი სარგებლიანობის წანამძღვრებს – ინტერესთა შეთანხმების კრიტერიუმებს;

- შეფასებულია ქვეყნის თანამედროვე სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების მდგომარეობა, გამოვლენილია მასზე მოქმედი ფაქტორები, ელემენტები და მათი ნეგატიური გავლენა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობაზე და ხაზგასმით აღნიშნულია მისი მართვადი, ორგანიზებული სასურსათო საბითუმო ბაზრებით ჩანაცვლების აუცილებლობა.

- შესწავლილია ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირებისათვის საბაზისო პირობები – არსებული სიმძლავრეები, ტერიტორიული განლაგება, სატრანსპორტო და ინფორმაციული უზრუნველყოფის პოტენციალი, ანუ ერთიანი სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების წინაპირობები.

- შემოთავაზებულია ქვეყნის საბითუმო ბაზრის შექმნის პროცედურული ალგორითმი. სქემის სახით მოცემულია სურსათის საბითუმო ბაზრის ორგანიზაციის პროცედურა, რომელიც მოიცავს საკუთრივ ბაზრის სტრუქტურას და მისი ფორმირების მექანიზმებს.

**პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადისერტაციო ნაშრომში მოცემულ დასკვნებსა და წინადადებებს აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. ისინი წარმოადგენენ სასურსათო პროდუქტებით საზოგადოების უზრუნველყოფის, წარმოებიდან მომხმარებლამდე წინწაწევის და ამ ერთიანი ჯაჭვის ჩამოყალიბების რეკომენდაციებს. ამდენად, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთიანი გამანაწილებელი ცენტრის –

სურსათის საბითუმო ბაზრის შექმნისათვის, რომელიც იქნება ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის გარანტი.

კვლევაში ჩამოყალიბებული ცალკეული დებულებები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი დარგის მმართველობითი ორგანოების მუშაკების მიერ, ასევე უმაღლესი განათლების სისტემაში ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის განკუთვნილ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში.

**ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შესახებ მოხსენდა სამ საერთაშორისო კონფერენციას და გამოქვეყნდა ხუთ სამეცნიერო სტატიად.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდ 172 გვერდზე. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, ათი პარაგრაფის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია

# 1. სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

## 1.1. ბაზრის თეორიის განვითარების ზოგიერთი ასპექტები

ბაზარი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, საბაზრო ურთიერთობების მექანიზმი აღმოცენდა ათასეული წლების წინ ნატურალური მეურნეობის, შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და გაცვლის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ბაზრის შინაარსი იცვლებოდა და ვითარდებოდა, ის მაინც რჩებოდა ეკონომიკური თეორიის მკვლევარების მიერ მისი შინაარსის უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბების საგანი.

ბაზარი, ამ სიტყვის ყოფითი მნიშვნელობისგან განსხვავებით, - ის არის ადგილი სადაც, ერთმანეთს ხვდებიან გარკვეული საქონლის მყიდველები და გამყიდველები - მისაღმი მიძღვნილ სპეციალურ კვლევებში განსაზღვრულია, როგორც პირობების ერთობლიობა, რომელთა გამო საქონლის (მომსახურების) მყიდველები და გამყიდველები შედიან ერთმანეთთან კონტაქტში რომელიმე სახის საქონლის (მომსახურების) ყიდვა-გაყიდვის მიზნით. ასევე, ბაზარი განისაზღვრება, როგორც აბსტრაქციული ან რეალური სივრცე, რომელშიც მოქმედებენ როგორც მოთხოვნა - მიწოდება ამათუიმ სიკეთეზე (საქონელზე, მომსახურებაზე), ასევე მათ შორის ურთიერთობების ფორმები. [117].

მარკეტინგული პრობლემის მკვლევარი ფ. კოტლერი თვლის, რომ ბაზარი არის არსებული და პოტენციური მყიდველების ერთობლიობა, ხოლო ბაზრის თანამედროვე ამერიკელ ავტორთა ჯგუფის ხატოვანი გამოთქმით (თ. ლიპსი, პ. სტეინერი, დ. პერკისი) ბაზარი არის სცენა, სადაც თამაშდება პიესა იმათი მონაწილეობით, ვინც დებულობს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს: მილიონობით მომხმარებლები დამოუკიდებლად დებულობენ გადაწყვეტილებებს რომელი საქონელი რა რაოდენობით შეიძინონ, მეწარმეები - რა და როგორ აწარმოონ;



წარმოების ფაქტორების მფლობელები – ვის და როგორ მიყიდონ ესათუ ის საქონელი. მიკროეკონომიკური თეორიის მკვლევარების რ. პინდაიკისა და ბ. რუბილფედის აზრით, ბაზარი წარმოადგენს მყიდველებისა და გამყიდველების ერთობლიობას, რომელთა ურთიერთქმედებები საერთო ჯამში იწვევს გაცვლას, ეკონომიკური მოთხოვნა-მიწოდებისა და კონკურენციის კანონების საფუძველზე. [68]

კლასიკური სკოლის ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა (1936) გააკეთა ბაზრის კლასიკური ანალიზი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბაზარი არის ინსტიტუტი, მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ერთის მხრივ მყიდველების და გამყიდველების, მეორეს მხრივ საქონლის მოთხოვნას და მიწოდებას შორის კავშირების დამყარებას. ამ თეორიის თანახმად, ბაზარზე მოქმედებს ორი ძირითადი ძალა - მოთხოვნა და მიწოდება, რომელთა შორის წონასწორობა ქმნის ფასს, და სწორედ ფასი აძლევს შესაბამის სიგნალს (ინფორმაციას) როგორც საქონლის მწარმოებელს, ასევე მომხმარებელს. შესაბამისად, გამყიდველებისა და მყიდველების ურთიერთობა ვლინდება ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის ფორმით, ხოლო მათი გადაწყვეტილებების შედეგი წარმოქმნის პროდუქტებსა და რესურსებზე ფასების სისტემას. ფასი ის ორიენტირია, რომლის ხელმძღვანელობით რესურსების მფლობელები, მეწარმეები და მომხმარებლები თავიანთ თავისუფალ არჩევანს აკეთებენ, კორექტირდებიან პირადი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. ისევე, როგორც საბაზრო კონკურენცია, ბაზარიც წარმოადგენს მარეგულირებელ მექანიზმს და ფასების სისტემაც ძირითადად მორგანიზებული ძალის როლს ასრულებს. ბაზარი წარმოადგენს კავშირების მრავალფეროვან სისტემას, რომლის მეშვეობითაც ურიცხვი ინდივიდუალური და თავისუფლად არჩეული გადაწყვეტილებები მიიღება მხედველობაში, ჯამდება და ურთიერთწონასწორდება [57; 71].

შესაბამის ეკონომიკურ ლიტერატურულ წყაროებში, ბაზრის პრობლემის მკვლევარები მაგალითად, კემპბელ მაკკონელი და სტენლი

ბრიუ, ბაზარს მიიხნევენ, როგორც ინსტიტუციურ წარმონაქმნს, რომელიც ერთად უერის თავს ცალკეული საქონლის (მომსახურების) მყიდველებსა და გამყიდველებს. ამავდროულად, ბაზრები რეალურ პირობებში სულ სხვადასხვა ფორმას ღებულობენ [22].

ზემოთ დასახელებული და სხვა ავტორიტეტული მეცნიერების კვლევებიდან გამომდინარე, ბაზრის შინაარსი აიხსნება, როგორც ადამიანთა საქმიანობისა და წარმოების სხვადასხვა სახეობების კოორდინაციის სრული მექანიზმი, ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება ფასების სისტემასა და ბაზრებს. ეს კომუნიკაციის საშუალებაა მილიარდობით ცალკეულ ადამიანთა ცოდნისა და ქმედებათა გასაერთიანებლად. რაიმე ცენტრალიზებული ინფორმაციის ან სპეციალურ გაანგარიშებათა გარეშე ბაზარი წყვეტს მილიარდობით დამოუკიდებელი ცვლადების, დამოკიდებულებათა წარმოებისა და განაწილების პრობლემას. პრობლემებს, რომლებიც შორსაა გადაწყვეტისაგან. არავის არ შეუქმნია ბაზარი და მაინც იგი შესანიშნავად მოქმედებს. ეკონომიკაში არცერთი ადამიანი ან ორგანიზაცია არ აგებს პასუხს წარმოებაზე, განაწილებაზე, მოხმარებაზე, ფასებზე [26].

ჩვენი კვლევის ობიექტის - „სურსათის საბითუმო ბაზრის,“ როგორც სპეციფიკური ბაზრის უმნიშვნელოვანესი ფორმისა და შინაარსის შესაბამისად, ყურადღებას ვამახვილებთ მისი განმარტების უფრო გაფართოებულ და ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისი სახის განმარტებაზე, ამიტომ ვიზიარებთ მოსაზრებას (ა. ბუზგალინი, ა. კოლგანოვი) [58], რომ ბაზარს გააჩნია ორგვარი მნიშვნელობა: პირველი – საკუთარი არსით ბაზარი (მარკეტი) ნიშნავს გასაღებას, რომელიც ხორციელდება გაცვლის და მიმოქცევის სფეროში. მეორე – ბაზარი ეს არის ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას შორის. ის გამოდის, როგორც ეკონომიკის, სასაქონლო ფულადი კავშირებისა და

საფინანსო – საკრედიტო ურთიერთობების რთული მექანიზმი. გარდა ამისა ბაზარი, როგორც მიმოქცევის სფერო, მოიცავს:

- ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოების (ან საწარმოების ნაწილის და ეკონომიკის სხვა სტრუქტურების) არენასთან, როცა ორ სამეურნეო სუბიექტს შორის ურთიერთკავშირი ხორციელდება ბაზრის საფუძველზე;

- უცხოურ ფირმებთან ერთად შექმნილი ერთობლივი საწარმოების გაცვლითი პროცესები, საკრედიტო ურთიერთობები, კრედიტის გაცემა გარკვეული პროცენტით;

- შრომის ბირჟის მეშვეობით სამუშაო ძალის დაქირავება და გამოყენება;

- საბაზრო ინფრასტრუქტურა და მართვის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების პროცესი, რომელიც მოიცავს სასაქონლო, საფონდო, სავალუტო ბირჟებს და სხვა ქვედანაყოფებს.

როგორც ავღნიშნეთ, ბაზარი სხვადასხვა ფორმებითა და ხარისხით ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში. საკვლევი თემის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გამოვეყოფთ ბაზრის კვლევის იმ პერიოდს, როდესაც საფუძველი ჩაეყარა საბაზრო ურთიერთობების რეგულირების თეორიას (XVI სკ. ტომას მენი, ანტონიო სერა, იოჰან ბეხერ და სხვა) [57], ეს თეორია დიდ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების აუცილებლობაზე, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებში აქტიურ ჩარევაზე, რომელსაც ასაბუთებს იმ დროისათვის სარწმუნო არგუმენტებით. ამ თეორიის მიმდევრები თვლიდნენ, რომ ქვეყნის სიმდიდრის მთავარი მაჩვენებელი ოქროს რაოდენობაა, ამავდროულად მხარს უჭერდნენ ექსპორტის წახალისებას და იმპორტის შეზღუდვას, ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალის საზღვარგარეთ გატანას. მერკანტილიზმის წარმომადგენლები მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ ვაჭრობასა და მრეწველობაში, საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის

განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევას. საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე, ამ კონცეფციამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. მოღონიერებულ მეწარმეთა კლასს უკვე ხელს არ აძლევდა სახელმწიფოს მხრივ თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებათა განხორციელება და მათმა წარმომადგენლებმა ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების ქადაგება დაიწყეს. ეკონომიკური ლიბერალიზმის ქვაკუთხედი, კლასიკური ეკონომიკის მამამთავრის, ადამ სმითის ნაშრომებშია ჩამოყალიბებული. იგი ამტკიცებდა, რომ „საბაზრო ძალების თავისუფალი ქმედება წარმოშობს ჰარმონიულ წყობილებას. მისი კრედიო ის, რომ „საბაზრო ეკონომიკას ბაზრის „უჩინარი ხელის“ მეშვეობით სავსებით შესწევს თვითრეგულირების უნარი, ამიტომ კერძო ინიციატივისა და მოგებისადმი უსაზღვრო სწრაფვის გამოსავლენად, მას სჭირდება სრული თავისუფლება.“ ა. სმითის და მის თანამოაზრეთა შეხედულებით, სახელმწიფოს ჩარევას მხოლოდ უარყოფითი როლის შესრულება შეუძლია, ამიტომ სახელმწიფომ უნდა უკუაგდოს ეს ეკონომიკური ფუნქცია და თავისი საქმიანობა შემოფარგლოს იმ ფუნქციებით, რომელთა მოგვარება არ ძალუძს საბაზრო ეკონომიკის სისტემას. კლასიკური მიდგომით, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანისა და მისი საკუთრების უსაფრთხოებას, ქმნიდეს კანონმდებლობას და მის საფუძველზე განიხილავდეს საზოგადოებაში წარმოშობილ დაავებს“. სახელმწიფოს ფუნქციაა აკეთოს ის, რასაც ცალკეული მეწარმე ან ინდივიდი ვერ ან არაეფექტურად ასრულებს. ა. სმითი საბაზრო ეკონომიკის სისტემის აღწერისას ამტკიცებდა, რომ მეწარმის სწრაფვა - მიაღწიოს თავისი კერძო ინტერესების განხორციელებას, ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. XVIII საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკის, მეცნიერ-ეკონომისტ ბერნანდ-დე მანდვილის მტკიცებით, სამეურნეო სფეროს ნებისმიერი სუბიექტისთვის გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი ეკონომიკური თავისუფლება: მოღვაწეობის სფეროს არჩევა, კონკურენცია და თავისუფალი ვაჭრობა [28; 82].

კლასიკური სკოლის ამ, ერთი შეხედვით შეუვალ და თითქოს ყოველმხრივ დასაბუთებულ კონცეფციას მკაცრი გამოცდა მოუწყო ცხოვრებამ, პრაქტიკამ და განსაზღვრა კიდევ მისი რადიკალური გადასინჯვის აუცილებლობა. საუბარია მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საბაზრო ეკონომიკური სისტემის ყოვლისმომცველ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსა და დიდ დეპრესიაზე. ამ მოვლენებმა განაპირობა „კეინზიანური რევოლუციის“ ეპოქის დაწყება, რომლის არსი მდგომარეობდა ბაზრის „უჩინარი ხელის“ სახელმწიფოს „ხილული ხელით“ შევსების აუცილებლობის აღიარებასა და რეალიზაციაში. კეინზიანელები თავიანთი, ამ პრინციპულად განსხვავებული, კონცეფციის სამართლიანობას იმით ასაბუთებდნენ, რომ მათი აზრით, განვითარებულმა საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც ემყარება მსხვილ მრეწველურ წარმოებას, ვერ უზრუნველყოფდა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებას. ეს განაპირობა თავისუფალი კონკურენციის ნაწილობრივ შეცვლამ მონოპოლიების ფორმირებით, რომელიც ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, ზღუდავს თავისუფალ მეწარმეობასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას. ამრიგად, კეინზიანელობა არსებითად სახელმწიფო-რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის თეორიას ნიშნავს, თუმცა ის მთლიანად მოწყვეტილი არაა ნეოკლასიკური სკოლის ძირითადი იდეებისაგან, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ კეინზიანური სახელმწიფო რეგულირება კი არ გამორიცხავდა, არამედ მიზნად ისახავდა საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნებას, ოღონდ მისი შენარჩუნების გზები და საშუალებებია ახლებურად დანახული და შემოთავაზებული.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზიანურმა კონცეფციამ საყოველთაო აღიარება და საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა მუდმივი (რაც საზოგადოების განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს). კვლავ თავი იჩინა წინააღმდეგობების ფართო სპექტრმა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო მსჯელობის საგნად იქცა საბაზრო ეკონომიკის კეინზიანური

მოდელის ნეგატიური მხარეები და მათგან თავის დაღწევის გზების ძიება. ამჯერად, დისკუსიის ეპიცენტრად იქცა ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევა და ამის შედეგად, ბაზრის ფუნქციონირების მკვეთრად შეზღუდვა. ამ წინააღმდეგობების გადასაღასავად ობიექტურ აუცილებლობად მიჩნეულ იქნა ისეთი ეკონომიკური მექანიზმების შექმნა, რომელიც ოპტიმალურად შეახამებდა ბაზრისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებას ანუ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებას სახელმწიფოს ჩარევასთან. გამოინახა კიდევ ასეთი მექანიზმი, რომელიც დღეისათვის ცნობილია მონეტარისტული პოლიტიკის სახელწოდებით. მისი არსი მდგომარეობს მაკროეკონომიკურ დონეზე, კეინზიანური ინსტიტუტის - ფისკალური პოლიტიკის ნაცვლად, ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების მოქნილი პოლიტიკის გამოყენებაში. ხატოვნად თუ ვიტყვით, კეინზიანელთა ძირითადი დევიზია „ჩარევა“, თანაც „ქირურგიული“, ხოლო მონეტარისტებისა - რეგულირება, „თერაპიული მკურნალობა“. [57; 71]

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, მისი ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლების მიერ მუშავდებოდა მათი პირობების შესაბამისი თეორიები, ცალკეული ქვეყნების რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებოდა ინდივიდუალურად, საკუთარი ეკონომიკის განვითარების დონის, თავისებურებების შესაბამისი მართვის სისტემები (მოდელი), მათ შორის შერეულიც. ამაზე მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი არგუმენტებიც. სწორედ ამიტომაც, ზემოთ განხილული თითოეული კონცეფცია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ზომით და მასშტაბით გამოიყენებოდა და გამოიყენება. საერთო კანონზომიერება კი ისაა, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში მკვეთრად გამოიკვეთა სახელმწიფოს საქმიანობის მასშტაბების გაფართოებისა და მისი ეკონომიკური როლის გაძლიერების ტენდენცია. ამასთან, საყოველთაო აღიარება ჰპოვა იმ ფაქტმა, რომ მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი

პირობაა კონკურენციული საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირება. მაშასადამე, ყველასთვის სამოქმედო პრინციპი უნდა იყოს: კონკურენცია ყველგან, სადაც შესაძლებელია და სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედება ყველგან, სადაც აუცილებელია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში, ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ადგილის თაობაზე მრავალი მოსაზრება არსებობს. ამასთან, მეცნიერთა აზრი მსოფლიო მეურნეობის განვითარების კვალობაზე მნიშვნელოვნად იცვლებოდა და დღესაც იცვლება, რაც ითვლება ნორმალურ მოვლენად. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის საკითხი XX საუკუნისათვის სამი ძირითადი ეკონომიკური სკოლის - ნეოკლასიკოსების, კეინზიანელებისა და ინსტიტუციონალისტების მთავარი სადაო საკითხი იყო. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პროცესები საკმაო სირთულით და წინააღმდეგობებით ხასიათდება, რომელსაც როგორც სერიოზული წარმატებები, ისე წარუმატებლობებიც ახლავს თან.

XX საუკუნის 30-იან წლებში, ცივილიზებულ ქვეყნებში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური რყევის შემდეგ, გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა და ეკონომისტმა ასოციაციის პრეზიდენტმა ჯონ მეინარდ კეინზმა საზოგადოებას საკუთარი თეორია წარუდგინა, სადაც მან მთლიანად უარყო სახელმწიფოს შესახებ კლასიკოსების შეხედულებები. მისი მოსაზრებების სათავეებთან გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსები იდგნენ, პირველ რიგში კი, იოჰან ფიხტე, ფრიდრიხ შელინგი და კარლ იუსტი, ასევე გერმანელი ეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი და შვეიცარიელი ეკონომისტი, ღირებულებების შრომითი თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჟან შარლ სისმონდი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეინზმა შექმნა ახალი ეკონომიკური დოქტრინა, რომელსაც ფუნდამენტური დასაბუთება მისცა თავისსავე წიგნში „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“, რომელიც მიჩნეულ იქნა გადატრიალებად ეკონომიკურ მეცნიერებაში. მანვე შემოგვთავაზა ეკონომიკის ანალიზის ახალი ხერხი, რომელიც კლასიკური თეორიის ალტერნატივის სახით წარმოადგინა.


ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით, კეინზი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა რესურსების მიწოდება, არამედ მოთხოვნა. ხოლო ეკონომიკურ პროცესებს უნდა არეგულირებდეს როგორც სახელმწიფო, ისე ბაზარი. ამიტომ, ამ თეორიას კეინზის „შერეული ეკონომიკის თეორიასაც“ უწოდებენ. კეინზის თეორიის ყველაზე გაბატონებული ინტერპრეტაცია არის ე.წ. IS-LM მოდელი. აღნიშნულ მოდელში ფასების დონე მიიღება ეგზოგენურ პარამეტრებად და შემდგომ ნაჩვენებია, თუ რომელი ფაქტორი განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლების დონეს, ის ააშკარავებს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ მოკლევადიან პერიოდში შემოსავლის ცვლილებას ფასების ფიქსირებული დონის პირობებში. შეიძლება IS-LM მოდელის განხილვა ასევე იმ მოდელის სახით, რომელიც გვიჩვენებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების გამომწვევ მიზეზებს. მოდელის შინაარსის განმარტების აღნიშნული ორივე ხერხი ექვივალენტურია, რამდენადაც, როგორც I.I.I. ნახაზიდან გამომდინარეობს, საერთო შემოსავლების ცვლილებები ფასების ფიქსირებული დონის პირობებში გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს. ეს ნიშნავს, რომ მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასების დონე ფიქსირებულია, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება განსაზღვრავს საერთო შემოსავლების ცვლილებებს [113].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკაზე სახელმწიფოს გავლენის დონე ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ცვალებადია და ქვეყნის ტრადიციებსა და ინსტიტუციონალურ მდგრადობაზე დამოკიდებული. ინსტიტუციონალიზმის კლასიკოსების ცნობილი წარმომადგენლების, ამერიკელი ეკონომისტების და სოციოლოგების - თორსტაინ ვებლენის, ჯონ როჯერზ კომონზის და კლარენს ეირსის შეფასებით, ინსტიტუტები საზოგადოებაში მოქმედი ერთგვარი „თამაშის წესებია,“ ანუ ადამიანის მიერ შექმნილი შემზღუდავი ჩარჩოებია, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება ადამიანთა შორის ურთიერთობები [64, 113].

განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს. სწორედ ინსტიტუტების სრულყოფა ან ტრანსფორმაცია არის ნებისმიერი



ეკონომიკური რეფორმების ძირითადი დანიშნულება. სამეცნიერო წრეებში არსებობს ლაისსერ-ფაირე-ს ლიბერალური აქსიომა, ე.წ. „ეკონომიკური წესრიგი“, რომელიც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გვირგვინად მიიჩნევა [64].



ნახაზი. 1.1.1 საქონლისა და მომსახურების ბაზარი და IS მრუდი

იგი ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევას იძულებით ზომად მიიჩნევს და ამავედროულად, მისი როლი მინიმუმადე დაჰყავს. მაგალითისთვის მოყვანილი ყავს პირობითად ქვეყანა, სადაც საბაზრო ეკონომიკა აბსოლიტურად თავისუფალია, ასეთ გარემოში არსებობს ბაზრებისა და საქონლის მრავალფეროვნება, მოქმედებს სრულყოფილი კონკურენცია, მიღწეულია მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობა. ამგვარ გარემოში ვერავინ ვერ შეძლებს საგრძნობლად გაიუმჯობესოს საკუთარი მატერიალური მდგომარეობა, რომ არ გაუუარესოს იგი სხვას, ანუ მოქმედებს თვითრეგულირების პრინციპი, ამიტომ ინდივიდებმა უკეთ უწყიან როგორც საკუთარი, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის გზები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ჩარევა არ არის აუცილებელი. ისტორიულად, ლაისსერ-ფაირე-ს პრინციპების გამოყენებამ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში დიდი როლი

შეასრულა. თუმცა აზრი, რომ იდეალურია ის ეკონომიკა, რომელიც ადამ სმითის „უხილავი ხელით“ რეგულირდება, თანამედროვე ბაზრის ფუნქციონირების პროცესით არ მტკიცდება და თეორიაშიც არ არსებობს კატეგორიული პოზიცია მისი უნივერსალურობის შესახებ. რა თქმა უნდა ბუნებაში არ არსებობს „სრულყოფილი“ ბაზარი, ამიტომაც აუცილებელია მისი დახვეწა და რეგულირება. საუკუნეთა გასაყარზე მსოფლიო საზოგადოება ისეთი მოვლენების მოწმე გახდა, რომ ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირება მდგრადი ეკონომიკის და, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ურთიერთობის სტაბილურობის წინაპირობად იქცა.


იმისათვის, რომ გავიგოთ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, საჭიროა სხვადასხვა მომენტის გათვალისწინება და შეფასება. ამისათვის, ბაზრის პრობლემის მკვლევარები [22] გამოყოფენ ხუთი ფუნდამენტური კითხვის არსებობას, რომელზეც თითოეულმა ეკონომიკურმა სისტემამ უნდა გასცეს პასუხი:

1. რა ვაწარმოთ?
2. რამდენი უნდა ვაწარმოთ?
3. როგორ უნდა ვაწარმოთ?
4. ვინ უნდა მიიღოს პროდუქტი?
5. შეუძლია სისტემას ცვლილებებისადმი ადაპტირება?

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა - ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ცხადია, რომ ბაზარი თავისთავად ე.ი ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს, საჭიროა სახელმწიფო რეგულირებაც, განსაკუთრებით სასურსათო ბაზრის ფუნქციონირებაში.

ბაზრის საერთო თეორიის პრობლემების კვლევებს მიეძღვნა საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა, რომელშიც განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბაზრის ეკონომეტრიკულ აგებასა და მათემატიკურ ანალიზს. ეს სავსებით ბუნებრივია, რამდენად თვით საბაზრო მეურნეობრიობის ფუნქციონირება ითხოვს მის ახსნას, ანალიზს,

მისი რეგულირების პრაქტიკული ღონისძიების შემუშავებას, საწარმოების და ბირჟების ფუნქციონირების პრაქტიკული ინსტრუმენტების დადგენას. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარი განიხილება როგორც მთლიანი და არა მისი კონკრეტული სეგმენტი, ისე როგორც სასურსათო ბაზარი, სადაც მოქმედებს სპეციფიკური კანონები. სასურსათო ბაზრის შესწავლისას არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ თეორიულ დასკვნებს, არამედ აუცილებელია მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების პრაქტიკული შესწავლა და ბაზრის როგორც მთლიანი სუბიექტის ანალიტიკური ანალიზი. ბაზარი ღია და კონკურენტული ხასიათისაა, ხოლო მოთხოვნა და მიწოდება ელასტიური. ბაზრის ამ ხასიათის გათვალისწინებით ა. მარშალმა თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპები“ გამოსახა სქემით:




ნახაზი. 1.12 ღია და კონკურენტულ ბაზარზე მოთხოვნა – მიწოდების ელასტიურობა (სადაც ინგლისური ენით აღნიშნული  $P$  – ეს არის ფასი,  $Q$  – რაოდენობა,  $D$  – მოთხოვნა,  $S$  – მიწოდება [64])

აღნიშნული სქემით ხელმძღვანელობდნენ და დღესაც იყენებენ ბაზრის პრობლემის მკვლევარები, ვინაიდან მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მასში ასახულია მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დამოკიდებულება და ფასების საზღვრები, რაც წარმოადგენს ამოსავალ წერტილს ბაზრის ფუნქციონირებაში. რაც უფრო იზრდება ფასი, მით უფრო მცირდება გაყიდვების მოცულობა, ხოლო ძალიან დაბალი ფასების შემთხვევაში იქმნება პროდუქტის დეფიციტი, ისევე იმატებს ფასი, სწორედ

ფასისა და მიწოდების ასეთი ელასტიური დამოკიდებულება ქმნის ღია კონკურენტულ დამოკიდებულებას გამყიდველებსა და მომხმარებლებს შორის და ნელ-ნელა იცვლება ბაზარზე მდგომარეობაც.

თუმცა, ეს მოდელი ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს, რადგან ის არ ითვალისწინებს მოთხოვნის ელასტიურობას ანუ მის ცვლილებას, როგორც ფასისა და შემოსავლების გადაადგილებაზე რეაქციას. იგივე შეიძლება ითქვას მიწოდებაზე, რაც ნიშნავს მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებების კოეფიციენტების (ელასტიურობის კოეფიციენტი) გამოანგარიშებას და ფასებზე დამოკიდებულებით სხვა ფაქტორების გათვალისწინებას. შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი ურთიერთსაპირისპირო სიტუაცია, როცა მოთხოვნას გააჩნია აბსოლუტური ელასტიური ხასიათი ანუ როცა მომხმარებელი თავის დანახარჯებში ზუსტად ითვალისწინებს ფასების ცვლილებებს და აბსოლუტური არაელასტიური ხასიათი, როცა მომხმარებელი, ანუ მოთხოვნა რჩება აბსოლუტურად უცვლელი მიუხედავად ფასების დონის ცვლილებებისა.



ნახაზი 1.13 მოთხოვნის ელასტიურობის ვარიანტები (ა, ბ):

ნახაზი 1.13 ა) – აბსოლუტურად ელასტიური მოთხოვნა (მოთხოვნის ჰორიზონტალური მრუდისათვის  $Q/P$  უსასრულოა. ფასისი უმნიშვნელო ცვლილება იწვევს მოთხოვნის ძალიან დიდ ცვლილებას, ამიტომ მოთხოვნის ელასტიურობა უსასრულოა.

ნახაზი 1.13 ბ) აბსოლუტური არაელასტიური მოთხოვნა. მოთხოვნის ვერტიკალური მრუდისათვის  $Q/P=0$ . მოთხოვნის საჭირო რაოდენობა არ არის დამოკიდებული ფასზე, ასე, რომ მოთხოვნის ელასტიურობა ტოლია

ნულის. ორივე ეს ვარიანტი უფრო მეტად წარმოადგენს ჰიპოტეტურ მოვლენას, მაგრამ საშუალებას იძლევა, რომ დახასიათდეს მოთხოვნის ელასტიურობის მნიშვნელობა, რაც როგორც შემდგომში ეს იქნება ნაჩვენები გააჩნია დიდი მნიშვნელობა სასურსათო საქონლის ბაზრისათვის.

მოთხოვნა კვების პროდუქტების ზოგიერთ საქონელზე გააღწიას ახდენს სხვა ურთიერთშემცვლელი ასევე სუბსტიტუტი საქონლის ფასზე. მაგალითად, კარაქი და მარგარინი წარმოადგენენ ადვილად ურთიერთშემცვლელ საქონელს და ერთ პროდუქტზე მოთხოვნა დამოკიდებულია მეორე საქონლის ფასზე. ჯვარედინული ელასტიურობა - მოთხოვნა ფასის მიხედვით ტოლია საქონლის საჭირო რაოდენობის პროცენტული ცვლილებისა სხვა საქონელზე ფასის ერთი პროცენტით ზრდის შემთხვევაში. ამიტომ, კარაქზე მოთხოვნის ელასტიურობა მარგარინის ფასის მიმართ შეადგენს:

$$E_{Q_b/P_m} = \frac{\Delta Q_b / Q_b}{\Delta P_m / P_m} = \frac{P_m}{Q_b} \frac{\Delta Q_b}{\Delta P_m}$$


სადაც  $Q_b$  არის კარაქის რაოდენობა, ხოლო  $P_m$  არის მარგარინის ფასი. მოცემულ მაგალითში კარაქისა და მარგარინის ფასების ჯვარედინული ელასტიურობა დადებითია, ამიტომ, ისინი წარმოადგენენ ურთიერთშემცვლელ საქონელს და ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან. მარგარინზე ფასის ზრდა აიაფებს კარაქს მარგარინის ფასთან შედარებით და იწვევს მოთხოვნის ზრდას. მაგრამ, ეს ასე ყოველთვის არ არის. ზოგიერთი კვების პროდუქტები წარმოადგენენ ურთიერთშემცვლელს, ისინი ხშირად გამოიყენება ერთობლივად, ერთი მათგანის ფასის ზრდა ამცირებს მეორის მოხმარებას, ამიტომ ურთიერთქმედება მიწოდების მოცულობას, მოთხოვნისა და ფასებს შორის ატარებს რთულ ხასიათს და

ის თანამედროვე პირობებში ითხოვს არამარტო თეორიულ ანალიზს, არამედ მრავალრიცხოვან სტატისტიკურ ანალიზებს მიწოდებასა და მოთხოვნის შესახებ, მათი ურთიერგავლენისა და ასეთი ელასტიურობის კოეფიციენტების გაანგარიშებებზე. მთლიანად, ბაზრის ანალიზი მიმდინარეობს აბსტრაქციული მოდელიდან რთული სტატისტიკურ-ეკონომიკური საქმიანობისაკენ, რასაც გააჩნია არამარტო სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული ხასიათი სასურსათო პროდუქციის სუბიექტებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ ბაზარზე.

სამწუხაროდ, ბაზრის ასეთი კონკრეტული ანალიზი ელასტიურობის კოეფიციენტების გაანგარიშების მიხედვით ნაკლებადაა გავრცელებული, რაც ზოგადად ბაზრისთვის ეკონომეტრიკული მოდელების შექმნასთანაა დაკავშირებული.

როგორც ვიცით, კვების პროდუქტების მიწოდება დამოკიდებულია არამარტო ფასებზე, არამედ პროდუქციის თვითღირებულებაზე. რამდენადაც, მწარმოებელს არ შეუძლია გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიაწოდოს თავისი პროდუქცია თვითღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად (გასწიოს ზარალი), ამიტომ მისი ქცევის რეგულირება ხორციელდება ერთის მხრივ სარეალიზაციო ფასების დონით და პროდუქციის თვითღირებულებით (ასევე საჭირო მოგების გათვალისწინებით), მეორეს მხრივ, მიმწოდებელმა საკუთარი დანახარჯების ცვლილების დროს შეიძლება გაატაროს მიწოდების სხვადასხვა პოლიტიკა. ჰიპოტეტიურად შეიძლება განვიხილოთ ვარიანტი, რომელიც ამცირებს წარმოების დანახარჯებს, ამ შემთხვევაში მიწოდების მრუდი შეიძლება შეიცვალოს. მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ იგივე რაოდენობის საქონელი არსებული ფასით (ბაზრის გაჯერების გათვალისწინებით), ან გაზარდონ მიწოდება უფრო დაბალი ფასებით. მწარმოებლების ასეთი ქცევა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში 1.4.1.

ბუნებრივია, რომ დანახარჯების ცვლილების დროს საპირისპირო მდგომარეობა იქმნება, მიწოდების მრუდის შესაბამისი გადაადგილებით მიწოდების გაზრდისაკენ ან შემცირებისაკენ.



ნახაზი 1.14. მიწოდების მრუდის ცვლილება დანახარჯების ცვლილებისას [68]


ამ გრაფიკის უფრო მეტად გართულება შესაძლებელია თუ შემოვიღებთ ფასების მიხედვით მიწოდების ელასტიურობას, სხვადასხვა საქონლის ჯვარედინულ მიწოდებას, ბაზრის საერთო სიდიდისა და მოცემული პროდუქციის ბაზარზე წილის ამსახველ კოეფიციენტს.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, სურსათის ბაზარზე მოქმედ მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების საკმაოდ რთულ მექანიზმს, რომელიც მნიშვნელოვანი ხარისხით არის ფორმალიზირებული და მოდელირებული, რასაც ლიტერატურული წყაროების მიხედვით საკმაოდ დიდი ადგილი უკავია განვითარებული ქვეყნების აგრარული ბაზრის კვლევებში.

აღნიშნული მიდგომა ეფუძნება თავისუფალი და გამჭვირვალე ბაზრების პოსტულატებს - ფართო კონკურენციით, მომხმარებლისა და მწარმოებლის შესაძლებლობებით მოახდინოს საკუთარი რესურსების მანეჟირება და გაატაროს თავისუფლად არჩეული ქცევის მიმართულება.

ამავდროულად, ლიბერალური ეკონომისტების მიერ იდეალურად ითვლება ბაზარი, როცა ის არის თავისუფალი სახელმწიფოს ან რომელიმე სხვა სახის ჩარევისაგან, რამდენადაც ეს ამახინჯებს ფასწარმოქმნის შედეგს და იწვევს მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს. ასეთი მიდგომის აღწერა შეიძლება შემდეგი გრაფიკის მეშვეობით ნახაზი 1.15.

ეს მოვლენა კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მომხმარებლების იმ ნაწილისათვის, რომლებსაც მოუწიათ ცხოვრება საბჭოთა სინამდვილეში და, რომელსაც ადგილი ქონდა 80-90-იან წლების საბჭოთა აგრარულ პოლიტიკაში, საუბარია მეცხოველეობის პროდუქციაზე, როცა სახელმწიფო საცალო ფასები დაწესებული იყო მის თვითღირებულებაზე დაბლა, რამაც გამოიწვია მოთხოვნის დეფორმაცია და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სერიოზული გაუარესება.



ნახაზი 1.15 თავისუფალი ბაზრის პირობებში მოთხოვნის ცვლილება

კერძოდ, ეს აღმოჩნდა ძირითადი და მნიშვნელოვანი არგუმენტი 90-იანი წლებში სასურსათო ბაზრის ლიბერალიზაციის მიზნით შესაბამისი ლიბერალური პოლიტიკის გატარებისათვის. მიუხედავად ამისა, ფასების ასეთი წმინდა ლიბერალური მოდელი, საყოველთაო კონკურენციის პირობებში მოთხოვნა - მიწოდების ბალანსირება ძირითადად აღწერილია მხოლოდ პოპულარულ სახელმძღვანელოებში.



რეალურ ცხოვრებაში საბაზრო ურთიერთობები უფრო რთულია. დღევანდელ სასურსათო ბაზარს მნიშვნელოვანი ხარისხით გააჩნია ოლიგოპოლიური ხასიათი, ზოგჯერ კი მონოპოლისტური, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს ჩარევა მთელ რიგ დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წარმოებაში და სხვა სოციალურად მნიშვნელოვან სფეროებში, ამიტომ რეალურ ბაზარს გააჩნია უფრო რთული ხასიათი. ყოველ ბაზარს გააჩნია თავისი სპეციფიკა, მათ შორის სასურსათო ბაზარსაც, რომელიც თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. [55]

## 1.2 სასურსათო ბაზრის განვითარების ტენდენციები და ფუნქციონირების თავისებურება

როგორც წინა პარაგრაფში ავლნიშნეთ, ბაზრის ფუნქციონირებას გააჩნია სერიოზული განმასხვავებელი ნიშნები, რაც დაკავშირებულია მთლიანად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის (წარმოების) ბუნებრივ-კლიმატურ, წარმოების სეზონურ ხასიათთან და სოციალურ-ეკონომიკურ სპეციფიკასთან, ასევე სასოფლო - სამეურნეო საწარმოების არათვითკმარიანობასთან, წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის მალფუჭებადობასთან და ა.შ. აქვე უნდა ავლნიშნოთ ის მარტივად გასაგები, მაგრამ ძალიან ძნელად მიღწევადი ფუნქცია, რომელიც აკისრია მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსში ჩართულ სფეროებს: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულის წარმოების, გადამუშავების და მზა პროდუქციის მომხმარებლისათვის მიწოდების პროცესები. ასევე უდაოა,

რომ სასურსათო პროდუქცია არის საქონლის განსაკუთრებული სახე, რომელიც წარმოადგენს ადამიანების სიცოცხლის უზრუნველყოფის საფუძველს, მის უპირველეს სასიცოცხლო აუცილებლობის ელემენტს. ამავდროულად, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და ბაზრის სურსათით გაჯერების კვალობაზე, კვების პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის ტემპები ნელდება და მომხმარებელი გადაირთვება სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების სხვა სახეებზე, კერძოდ, საყოფაცხოვრებო, გრძელვადიანი მოხმარების საგნებზე. სხვა ტიპის ბაზრებისაგან განსხვავებით, სურსათის ბაზარს, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხრიდან გააჩნია რადიკალური განსხვავებები, განპირობებული როგორც ზემოთ ითქვა, თვით წარმოებისა და მოხმარების ხასიათით.

არ არსებობს როგორც წმინდა გეგმური ან წმინდა სასურსათო საბაზრო სისტემები, რადგან როგორც წარსულის გამოცდილებიდან ვიცით, გეგმურ-ადმინისტრაციულ სისტემაშიც მნიშვნლოვან როლს თამაშობდა ბაზარი (საკოლმეურნეო ბაზარი, ბირჟები, საბითუმო გაყიდვები და ა.შ), თვით საბაზრო სისტემა სავსებით არ გამორიცხავს, არამედ თანამედროვე ეტაპზე გულისხმობს კიდევ გარკვეული გეგმური საწყისების არსებობას.

ამრიგად, სურსათის ბაზრის განმარტებისას ჩვენ გამოვდივართ იმ პოზიციიდან, რომ იგი არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს, შემსყიდველებს, გადამამუშავებლებს, საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და საბოლოო მომხმარებელს შორის სასაქონლო - ფულადი ურთიერთობების ერთობლიობა. სახეზეა წარმოებას, გადამამუშავებას, ტრანსპორტირებას, შენახვას, განაწილებასა და მომხმარებას შორის კავშირების რთული სისტემა. ურთიერთობის ამ ჯაჭვში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტის ტრანსფორმაცია, მესაკუთრის ცვლა, ხდება რთული სასაქონლო-ფულადი და ფინანსური ურთიერთობების რეალიზაცია საკონტრაქტო სისტემის გამოყენებით.

სადისერტაციო თემის მიხედვით კვლევის პრობლემის გადაწყვეტის და დასახული მიზნების მიღწევის პროცესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ავლნიშნოთ, რომ სურსათის წარმოების, გასაღებისა და მოხმარების პროცესში მონაწილეთა ერთობლიობა საბაზრო მექანიზმის ზემოქმედების შედეგად (რაც ყოველთვის არ ხდება) უნდა ფუნქციონირებდეს გარკვეული წონასწორული მდგომარეობის პირობებში, წარმოების ყველა ფაქტორების, შექმნილი პროდუქციის და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების მეტნაკლებად რაციონალური ანაზღაურებით, ანუ როგორც მწარმოებლისთვის, ისე მიმწოდებლისთვის და მომხმარებლისთვის პროდუქციაზე მისაღები ფასებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებამ, მისმა ინდუსტრიალიზაციამ, სპეციალიზაციამ და კომერციალიზაციამ გამოიწვია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფუნქციონირება წარმოების ძირითადი საშუალებების გამოყენებით, რომელსაც აწვდის შესაბამისი მრეწველობის დარგის აგრარული საწარმოები. წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი არ მიეწოდება უშუალოდ მომხმარებელს, იგი უმეტესად შუამავლების მეშვეობით გადადის კვების მრეწველობაში და მომხმარებლები მას ჩვეულებრივ დებულობენ გადამუშავებული და დაფასოვებული სახით. ამასთან, უნდა ავლნიშნოთ, რომ ისტორიულად არსებული სასაქონლო – საბაზრო კავშირი: „მომხმარებელი – მწარმოებელი“ ძირითადად ლიკვიდირებულია და მიკუთვნებულია ბაზრის მეორე ხარისხოვან სეგმენტებზე - აგრარული ბაზრები, საბითუმო გაყიდვები, ბირჟები, აუქციონები და სხვა ფორმები.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდში, როცა ბაზრების ხასიათი რადიკალურად იცვლება მათ შორის სასურსათო ბაზრისაც, სურსათის მიმწოდებლის როლში გამოდის არა თვით სოფლის მეურნეობა, მითუმეტეს ერთი რომელიმე სასოფლო სამეურნეო-საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი, არამედ მთლიანად ქვეყნის აგროსაწარმოო კომპლექსი ან ტრანსნაციონალური სასურსათო კორპორაციები (ცხრილი 12.1). ისინი

უმეტეს წილად განსაზღვრავენ მდგომარეობას შიდა და საერთაშორისო სურსათის ბაზრებზე.

აღნიშნული ცხრილიდან ირკვევა, რომ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში სასურსათო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სამ უდიდეს კომპანიას. მაგალითად, ფინეთსა და ნიდერლანდებში ეს მაჩვენებელი 80%-ს აღწევს, ხოლო შვედეთში 95%-ს, სხვა ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი მერყეობს 50-დან 70%-მდე. ამრიგად, სურსათის ბაზარმა მიიღო დარგთაშორისი საერთო სახელმწიფოებრივი და მსოფლიო ხასიათი, შესაბამისად, გახდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ხარისხის განსაზღვრის ფაქტორი.

სურსათის ბაზარს გააჩნია საკმაოდ სპეციფიკური ხასიათი და მისი განსხვავება სხვა საქონლის ბაზრებისაგან აიხსნება იმით, რომ მას საქმე აქვს ადამიანის უპირველესი მოთხოვნილებების სურსათით დაკმაყოფილების მნიშვნელოვან ფუნქციასთან.

ცხრილი 1.2.1

მსხვილი ფირმების გავლენა სასურსათო პროდუქტების საცალო ვაჭრობაზე ევროპის ქვეყნებში [64. გვ. 273]

ქვეყანა	საკუთარი ბრენდის გაყიდვები	სამი წამყვანი ფირმა საცალო გაყიდვებში	ამ ფირმების წილი საერთო საქონელბრუნვაში %
ავსტრია	6,9	BMJ, EACPIAJ, Adag	56
ბელგია	25,8	GIB, Delhez, Kolirut	62
დანია	19,1	FOB, Danckylen, Dagrofa	63
ფინეთი	6,7	Kecko, Cok, Cyoshen, Cpar	80
საფრანგეთი	16,8	Intermersh, Leklerk, Ashan	44
გერმანია	11,3	Edeka, Reve, Oldi	53
საბერძნეთი	2,6	Marionopolic, Veropoulc, Cklavenitnc	25

ირლანდია	12,0	Tecko, diunnec, Cupervalu	54
იტალია	8,4	Koop, Intermedia, Evromadac	38
ნიდერლანდები	17,8	Axold, Cuperryni, Venedekc	80
პორტუგალია	11,9	Conae, Djemp, Ashan	55
ესპანეთი	16,2	Promede, Erocki, Prika	35
შვედეთი	9,7	NKA, KF, Dgrup	95
დიდი ბრიტანეთი	29,7	Tecko, Celeberi, Aeda	52

სურსათის ბაზარი პირველადია სხვა დანარჩენ ბაზრებს შორის. მისი მოშლა ან რყევა ყველა ქვეყანაში არამარტო იწვევს მძიმე სოციალურ შედეგებს, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თვით ადამიანის არსებობის ფაქტს, ამიტომაც რომ სასურსათო ბაზრის ფუნქციონირება საზოგადოებისთვის წარმოადგენს სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა მისი ფუნქციონირების ხასიათი შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმით.

სასურსათო ბაზარი თავისი არსით შედგება ორი - პირველადი და ძირითადი კომპონენტისაგან – მიმწოდებლისა და მყიდველისაგან, მწარმოებლისა და მომხმარებლისაგან. სასურსათო ბაზარზე ეს ორივე ძირითადი კონტრაგენტები მნიშვნელოვნად განხვავდება სხვა ბაზრების კომპონენტებისაგან. მყიდველს არ შეუძლია სურსათის მოხმარება გადადოს ხანგრძლივი ვადით, როგორც ეს შეიძლება ჩვეულებრივი მოვლენა იყოს სხვა საქონლის მიმართ. ხოლო მწარმოებელს ბევრ შემთხვევაში არ შეუძლია ოპერატიულად გაზარდოს ან შეამციროს წარმოების მოცულობა.

თუ ბაზრების დიდ ნაწილს, მიმწოდებელს და მყიდველს შეუძლიათ ფართო დიაპაზონში ცვალონ მიწოდებისა და მოთხოვნის ხასიათი და მოცულობა, სურსათის ბაზარზე როგორც მიმწოდებელს, ასევე მყიდველს თვით პროდუქციის ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სიდიდით არ შეუძლიათ შეცვალოს როგორც მიწოდება, ასევე შესყიდვა. სასოფლო-

სამეურნეო წარმოება, როგორც ბიოლოგიური პროცესი დაკავშირებულია რთულ ბიოქიმიურ გარდაქმნებთან, მეურნეობრიობების ხასიათთან – თესლბუნვასთან, მრავალწლიან ნარგავებთან, პროდუქციული ჯოგის რაოდენობასთან. იგი თავისი არსით სიახლეების მიმართ არის კონსერვატული. ისტორიულად, ხელშემწყობ პირობებშიც კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს არ შეუძლიათ გაზარდონ წარმოება ისეთივე ჩქარი ტემპებით, როგორც ეს ხდება მრეწველობაში, მითუმეტეს ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში. საერთაშორისო სტანდარტებით დღევანდელ პირობებში გრძელვადიან პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ყოველწლიური 2%-ანი მატება ითვლება საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად. საერთაშორისო გათვლებით XXI-ე საუკუნის პირველ – ორ ათეულ წლებში მსოფლიო სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური ზრდა არ გადააჭარბებს 1,7%-ს. [64.გვ.21] გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობის წარმოებაზე, როგორც ბიოლოგიურ სისტემაზე გავლენას ახდენს მუდმივი და გაუთვალისწინებელი გარემოს მრავალფეროვანი ფაქტორები. პირველ რიგში ბუნებრივ - კლიმატური კატაკლიზმები. ყოველივე ეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელს თავისი შედეგებით და ქცევით მნიშვნელოვნად ანიჭებს ალბათურ ხასიათს. ასეთ სისტემებს გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობები იმისათვის, რომ საკმაოდ სწრაფად შეცვალონ წარმოების მოცულობა და მოახდინონ ბაზარზე პერიოდულად მიმდინარე ცვლილებებზე რეაგირება - ბაზარზე ფასების მერყეობის შემთხვევაში სურსათის მიწოდების გაზრდით ან შემცირებით. ასევე, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია მაღალფუჭებადი ხასიათი და ის დაბალი ხარისხის ტრანსპორტირებადია. ასევე, მისი შენახვის ხანგრძლივობა სახეებს შორის საკმაოდ განსხვავებული 3 - კვირიდან 8 თვემდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება ბაზარზე

არაადეკვატურად რეაგირებს მოთხოვნის ცვლილებასა და ფასების რყევაზე მიწოდების დაბალი ელასტიურობით.


ამავდროულად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგები ფლობენ არაერთნაირ უნარს, რათა მოერგონ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს, ასე მაგალითად: მეფრინველეობას, როგორც საკმაოდ მაღალ მობილურ დარგს, შეუძლია რეაგირება მოახდინოს ბაზრის მდგომარეობაზე ერთი წლის ან რამდენიმე თვის პერიოდში. მეღორეობაში ამისათვის საჭიროა 3-5 წელი, ხოლო საქონლის ხორცის მწარმოებლებს ამისთვის 7-10 წელი სჭირდებათ. მემცენარეობაში თესლბრუნვის დაცვის გათვალისწინებით, ასევე რთულია ბაზრის ცვლილებებზე რეაგირება, მაგალითად: შაქრის ჭარხლის ან მზესუმზირის მწარმოებლებისთვის. უფრო რთულია ამ პრობლემის გადალახვა მრავალწლიანი კულტურის პროდუქციის მწარმოებლებისთვის. იმისათვის, რომ ადეკვატურად უპასუხოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეურნეობრიობის სუბიექტებმა ბაზრის ცვლილებებს, საჭიროა მნიშვნელოვანი დროის პერიოდი, რადგან ერთ შემთხვევაში ეს ითხოვს აგროფონის გაუმჯობესებას და საწარმოო პროცესების ტექნიკური საშუალებებით გადაიარაღებას, მეორე შემთხვევაში ანუ შემცირების დროს წარმოების საშუალებების გამოუყენებლობა იწვევს დანახარჯების ზრდას და მეურნეობრიობის ზარალიანობას. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში წარმოებას და მიწოდებას არ ძალუძთ მოახდინონ ადეკვატური რეაგირება ბაზარზე მიმდინარე ცვლილებად პროცესებზე ანუ უპასუხონ მოთხოვნის ყოველი პროცენტით ზრდას მიწოდების ისეთივე პროცენტის ზრდით და პირიქით მოთხოვნის ყოველი პროცენტით შემცირებას და ფასების ვარდნის შესაბამისად, ადეკვატურად შეამცირონ წარმოება. შესაძლებელია უკუ სიტუაცია, როცა წარმოება დატვირთულია ვალებით და მიმდინარე გადასახდელების აუცილებლობით, იძულებულია ფასების შემცირების დროს გამოიტანოს ბაზარზე დამატებითი პროდუქცია, რათა მიიღოს ფულადი შემოსავლების საჭირო მოცულობა. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ეკონომიკურად იქცევა ფასების მოძრაობის საპირისპიროდ.

საკმაოდ რთული და სპეციფიკურია აგრეთვე სურსათის ბაზარზე მომხმარებლის ეკონომიკური ქცევა. სურსათის, როგორც საქონლის მოხმარება, განპირობებულია არამარტო სამეურნეო ან ეკონომიკური მოთხოვნებით, როგორც სხვა საქონლის შემთხვევაში, არამედ ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებით. სურსათზე მოთხოვნა წარმოადგენს ეკონომიკური და ფიზიოლოგიური ფაქტორების სინთეზს, მოხმარების მინიმალური დონის დაბლა კლება იწვევს ადამიანისათვის გამოუსწორებელ ფიზიოლოგიურ შედეგებს, ამავდროულად ფიზიოლოგიური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიღწევას, მის შემდგომ მოხმარებასაც ადამიანისათვის მოაქვს ზიანი. ამ პროცესს ეკონომიკაში ზღვრული სარგებლიანობის თეორიას უწოდებენ. ამრიგად, მომხმარებელი იზღუდება გარკვეული ფიზიოლოგიური ჩარჩოებით, რომლის გარეთ გასვლას ის ვერ ახერხებს. როგორც ავღნიშნეთ, სურსათი წარმოადგენს პირველად სასიცოცხლო მოთხოვნას და საზოგადოებაც ადეკვატურად, თავის შემოსავლებს პირველ რიგში ახმარს კვების პროდუქტების შექმნას სხვა დანარჩენი სახით პროდუქტების უგულვებელყოფის ხარჯზე. მაგრამ, რაციონალური მოხმარების ჩარჩოდან გასვლის შემთხვევაში სურსათზე მოთხოვნა სწრაფად ეცემა, ამიტომ მომხმარებლის ქცევა, ისევე როგორც მწარმოებლის, განსხვავდება მნიშვნელოვანი კონსერვატიზმით, თუმცა არა ყოველთვის. ბაზრის ამ ორივე ძირითად კომპონენტს – მოთხოვნა და მიწოდებას შეუძლია ფასების სისტემის მეშვეობით რეაგირება მოახდინონ მეორე მხარის მდგომარეობის ცვლილებაზე. ამის შედეგად, სურსათის ბაზარი არ არის სრულად თვითრეგულირებადი და ითხოვს გარეშე ძალების ჩარევას, რის შესახებ ჩვენ საუბარი გვექნება მომდევნო თავში. აქ მხოლოდ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ სურსათზე მოთხოვნის თავისებურებას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანელმა ეკონომისტმა ენგელმა ჩამოაყალიბა კანონზომიერება, უფრო მოგვიანებით მან მიიღო სახელწოდება “ენგელის კანონი“ [116], რომლის მიხედვით:



მოსახლეობის ხარჯები სურსათზე არის ოჯახის საერთო შემოსავლის უკუპროპორციული, ანუ თუ ამას ვიტყვით თანამედროვე ეკონომიკური ერთ - არის შედარებით ნაკლებელასტიური. ამიტომ, შემოსავლის ზრდის დროს სურსათზე მოთხოვნა შედარებით ნელი ტემპებით იზრდება, ხოლო შემოსავლების შემცირების დროს მოთხოვნის ვარდნა პირიქით, მცირდება ნაკლები პროპორციით შემოსავლების ვარდნასთან შედარებით. ენგელის ზემოთ აღნიშნული კანონის გამოხატვა შესაძლებელია ნახაზი 1.2.1 მეშვეობით.



ნახაზი 1.2.1 ენგელის კანონის გრაფიკული სქემა

ამ გრაფიკზე  $Q_1$  სურსათზე მოთხოვნის რაოდენობითი მახასიათებელია, ხოლო  $Y$  მოთხოვნის ერთობლივი მოცულობა, რომელიც განისაზღვრება შემოსავლით.

ერთდროულად, აგრეთვე ადგილი აქვს მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილებას, მისი გადაადგილებით სურსათის უფრო დაბალი სახეებიდან უფრო მაღალ ხარისხიანზე, ეს მოვლენა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი მათემატიკური ფორმულით:

$$Q_{(g, y)} = \begin{cases} Q_1(y, g), & y < y_0 \\ Q_2(y, g), & y > y_0 \end{cases}$$

სადაც  $Q_1$  შემოსავლების და ხარისხის ფაქტორების მიხედვით მოთხოვნის მზარდი ფუნქციაა,  $Q_2$  შემოსავლების და ხარისხის მიხედვით მოთხოვნის კლებადი ფუნქციაა.


მოცემული ფუნქციების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი მათემატიკური ფორმულით:

$$Q_{(g,y)} = \begin{cases} a_0 + a_1 y + a_2 y g, & y < y_0, g_0 \leq g < g_1 \\ a_0 + \frac{a_1}{y} + a_2 \frac{g}{y}, & y > y_0, g_0 \leq g < g_2 \end{cases}$$

სადაც  $a_0, a_1, a_2$  მოთხოვნის ტოლობის კოეფიციენტებია,  $g < g_2$  – ხარისხის შემადგენლები.

ამ განტოლების პირველი შტო წარმოადგენს შემოსავლების სიდიდის მიხედვით მოთხოვნის მზარდ ფუნქციას, ხოლო მეორე შტო შემოსავლების მიხედვით კლებად ფუნქციას. ეს ფუნქციები მზარდია საქონლის ხარისხის მიხედვით [69. გვ. 103]

გამარტივებული სახით შეიძლება მოვიყვანოთ ენგელის კანონის მოქმედება ჰამბურგერების მოხმარებს მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სწრაფი კვების გავრცელებულ ფორმას და არის შედარებით იაფი, მაგრამ არა ყოველთვის კვების ხარისხიანი სახე. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დარბი ფენა ჰამბურგერებს განიხილავს, როგორც კვების ნორმალურ ტიპს, მაშინ როცა მდიდარი ფენა როგორც არასრულფასოვანს, ამიტომ მოსახლეობის შემოსავლების ზრდის საწყის ეტაპზე მოსახლეობა სწრაფად ზრდის ამ იაფი სურსათით მოხმარებას, ხოლო უფრო მაღალი შემოსავლების დროს მათ მიმართ იცვლება დამოკიდებულება და განიხილავენ როგორც კვების არასრულყოფილ და უხარისხო ტიპს, რაც ნაჩვენებია შემდეგ გრაფიკზე (ნახაზი 1.2.2):



ნახაზი 1.2.2 ენგელის კანონის მოხმარება ჰამბურგერის მოხმარების მიხედვით

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებიდან შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, რომელიც ასახავს ზემოთ მოყვანილი გრაფიკის მიხედვით აღნიშნულ მომხმარებელთა ქცევას.

ავიღოთ ისეთი საყოფლთაო პროდუქტი როგორცაა პური, ამ შემთხვევაშიაც ხდება მოთხოვნის ცვლილება. შემოსავლების ზრდის პროპორციულად იზრდება უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტების მოხმარება, რომელიც იწარმოება უფრო მაღალი ხარისხის მარცვლეულისაგან (წებოვნების შემცველობის მაღალი დონე). ამის წარმოდგენა შეიძლება გრაფიკული ფორმით, რომელიც უჩვენებს სხვადასხვა ხარისხის ხორბლის მოთხოვნაზე შემოსავლების დონის ზემოქმედებას.



შემოსავლების საერთო ზრდასთან დაკავშირებით. ელასტიურობა შეიძლება ჩაიწეროს ტოლობით:

$$h = \Delta Q\% / \Delta I\% = (Q_1 - Q_2) / Q_1 : (I_1 - I_2) / I_1$$

სადაც  $\Delta Q\%$  - მოთხოვნის სიდიდის პროცენტული ცვლილებაა,  $\Delta I\%$  შემოსავლის პროცენტული ცვლილებაა;  $I_1$  შემოსავლის საწყისი დონე,  $I_2$  – შემოსავლის საბოლოო დონე.

უმეტეს შემთხვევაში სასურსათო სეზონზე ელასტიურობის კოეფიციენტი არ აღემატება 1%-ს. ამაზე მოწმობს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები, რომელიც ასახავს დიდი ბრიტანეთის სასურსათო ბაზრის შესწავლის შედეგებს ცხრილი 1.2.2.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილების დროს ერთდროულად აღინიშნება ჯვარედინული ელასტიურობა, მაგალითად კარაქი და მარგარინი, ხორცის სხვადასხვა სახეები და ასე შემდეგ. ანუ შემოსავლების ზრდის შემთხვევაში იცვლება მოხმარების სტრუქტურა. ასეთი ცვლილებები ხდება ფასების ცვლილების დროსაც, როცა სამომხმარებლო მოთხოვნა გადაერთვება ერთიდან მეორე საქონელზე. მათემატიკურად ამის გამოხატვა შეიძლება შემდეგი ტოლობით:

$$e_{AB} = \Delta Q_A\% / \Delta P_B\%$$

სადაც  $\Delta Q_A\%$  – A საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილებაა;  $\Delta P_B\%$  - B საქონლის ფასის პროცენტული ცვლილებაა.

დიდი ბრიტანეთის სასურსათო ბაზარი [66, გვ.15-16]


საქონელი	ელასტიურობა შემოსავლების მიხედვით
სურსათის ყველა პროდუქტი	-0,01
პური	-0,25
შაქარი	-0,54
ახალი ბოსტნეული	0,35
ახალი ხილი	0,48
ხილის წვენი	0,94
რძე	-0,40
ყველი	0,22
მზესუმზირის ზეთი	-0,04
ხორცი	-0,01
მათ შორის:	
ძროხის და სბოს ხორცი	0,08
ცხვრის ხორცი	-0,21
ღორის ხორცი	-0,05
ბროილერის წიწილა	-0,08
კვერცხი	-0,05

მოთხოვნის ჯვარედინული ელასტიურობის ნიშანი ახასიათებს საქონლის ტიპს სხვა პროდუქტთან მიმართებაში: თუ  $e_{AB} > 0$ , საქონელი A და B წარმოადგენენ ურთიერთშემცველს (სუბსტიტუტებს); თუ  $e_{AB} < 0$  საქონელი A და B წარმოადგენენ ურთიერთშემცველ საქონელს (ურთიერთშემცველ მოთხოვნას) [64, გვ. 15-16] გარდა ამისა, ადგილი აქვს მოთხოვნის ელასტიურობის ისეთ სისტემას, რომელიც დამოკიდებულია მიწოდებაზე, სადაც მოთხოვნა იცვლება წარმოებისა და მიწოდების დონის ცვლილების შემთხვევაში, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემთხვევაში, წარმოების დონის შედარებით

კონსერვატიულობის დროს მოთხოვნის (და ფასების) ასეთი ცვლილება უმეტესად შეიძლება მოხდეს საგარეო სავაჭრო ოპერაციების შედეგად ან სახელმწიფო რეზერვებიდან სურსათის ბაზარზე საქონლის მიწოდების შემთხვევაში.

ამრიგად, სურსათის ბაზრის ორ შედარებით კონსერვატიულ კომპონენტს (მიწოდება და მოთხოვნა) ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ თვითრეგულირებისა და ბალანსირების უნარი, ფასები მცირე ელასტიური მოთხოვნისა და მიწოდების დროს ფლობს მაღალ (ზოგჯერ ზედმეტად მაღალ) ელასტიურობას, რაც კარგად არის ცნობილი სურსათის თანამედროვე ბაზრებზე არსებული მდგომარეობიდან. უნდა ითქვას, რომ ფასების მკვეთრი ცვლილება თამაშობს, როგორც მომხმარებლისათვის, ასევე მწარმოებლისათვის უკიდურესად დესტრუქციულ როლს, რომელთანაც ყოველდღიური შეხება აქვს ჩვეულებრივ მყიდველებს (მომხმარებლებს).

ხორბლის მსოფლიო ბაზრის დონეზე სტატისტიკური გამოკვლევა უჩვენებს ფასის მაღალ ელასტიურობას. ამავდროულად მიწოდებისა და მოთხოვნის შედარებით დაბალ ელასტიურობას. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბაზარზე ფასების რყევა საკმაოდ მტკივნეულად აისახება ხორბლის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებზე, ასევე მწარმოებელზე და მომხმარებელზე. ხორბლის მსოფლიო ბაზრის დინამიურობის ამსახველი გრაფიკი მოცემულია შემდეგნაირად:



ნახაზი 1.24 ხორბლის მსოფლიო ბაზარის დინამიურობა


ხორბალზე მსოფლიო მოთხოვნა განისაზღვრება ჰორიზონტალურად. შიდა მოთხოვნა აღნიშნულია AB მონაკვეთით, ხოლო საექსპორტო მოთხოვნა - CD მონაკვეთით, ყოველი ინდივიდუალური მრედი წრფეა, ხოლო საბაზრო მოთხოვნის მრედი გააჩნია ტეხილი ხასიათი, ეს ასახავს იმ ფაქტს, რომ საგარეო მოთხოვნის 1 ბუშმელ ხორბალზე 12 დოლარზე მეტი ფასის შემთხვევაში მოთხოვნა მცირდება. ამრიგად, ხორბალზე ფასების საკმაოდ სერიოზული ცვლილების დროს შიდა მოხმარება რჩება ძირითადად სტაბილური, ეცემა ექსპორტი, თუმცა ბევრ შემთხვევაში მისი კომპენსირება ხდება საექსპორტო სუბსიდიებით. მიუხედავად ამისა, ხორბალზე მსოფლიო მოთხოვნა არასტაბილურია, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა ხორბლის მსოფლიო ფასების ზრდის ტენდენცია გახდა მდგრადი.

სულ სხვა მდგომარეობაა კვერცხის უფრო მობილურ ბაზარზე. აქ ერთდროულად მოქმედებს ორი ფაქტორი - მიწოდების ელასტიურობა (რაც გამოწვეულია თვით მეფრინველეობის მეურნეობის ხასიათით) და მოთხოვნის კონსერვატიულობა, რადგან მომხმარებელი მუდმივად ყიდულობს ერთი და იგივე რაოდენობით კვერცხს. ასეთ შემთხვევაში, პროდუქციის დროებითი ჭარბწარმოების პირობებში მკვეთრად ეცემა



ფასები, შედეგად მწარმოებელმა უნდა განახორციელოს ფრინველების შემცირება. იგივე ხდება მეფრინველეობაში თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირების დროს (როგორც ცნობილია მეფრინველეობა წარმოადგენს ტექნოლოგიურად პროგრესულ დარგს). ფასები ამ შემთხვევაშიაც მკვეთრად ეცემა, მაგრამ მომხმარებელი მაინც არ ზრდის მოთხოვნას, მთლიანად ბაზარზე ასეთი მდგომარეობა შეიძლება აისახოს გრაფიკულად სამი სიტუაციის გათვალისწინებით: 1. სახელმწიფო არ ერევა ბაზარზე არსებულ სიტუაციაში, 2. სახელმწიფო ხელს უწყობს მწარმოებლის ფასების შენარჩუნებას, 3. სახელმწიფო ხელს უწყობს მომხმარებლის ფასებს (სქემა 1.2.5).

ამრიგად, წონასწორობა ბაზარზე მიიღწევა თვით საბაზრო ძალების ხარჯზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წარმოება და მოხმარება წონასწორული ფასების მეშვეობით ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო გარღვევების შემთხვევაში სახელმწიფოს ამათუ იმ ფორმით ჩარევის შემთხვევაში წესდება ფასის ქვედა ან ზედა ზღვარი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, ის, რომ მიუხედავად მთელი სირთულისა და ორივე კომპონენტის მოქმედების დაბალი ელასტიურობისა (მოთხოვნა, მიწოდება) ფასების თვითრეგულირების დონე თეორიულადაც არის იშვიათი მოვლენა.



## სქემა 1.2.5. სახელმწიფოს ზემოქმედება ბაზარზე

მწარმოებლის ან მომხმარებლის მხრიდან ფასების ცალმხრივი რეგულირება იწვევს ფასების არარაციონალური დონის ჩამოყალიბებას, დანაკარგებს მწარმოებლებისათვის ან მომხმარებლებისათვის. ამიტომ, საჭიროა მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც ერთდროულად იმოქმედებს ორივე მხარეზე.

თანამედროვე ბაზარზე მოქმედი ძალების ანალიზის დროს, რეკომენდებულია მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ახდენენ მასზე გავლენას. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, თანამედროვე სასურსათო ბაზარი წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივ ერთიან ბაზარს. გლობალური და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების განვითარების შედეგად ადგილობრივი და იზოლირებული ბაზრები ნელ-ნელა კარგავს საკუთარ ფუნქციას. როცა ჩვენ ვსაუბროთ დასავლეთის ქვეყნების სასურსათო ბაზრებზე, არ შეიძლება აგურიოთ ერთმანეთს სასურსათო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეული, განსაკუთრებით მაღაფუჭებადი და ნაკლებად ტრანსპორტაბელური. სასოფლო-სამეურნეო ნედლეული უმეტეს შემთხვევაში ხვდება სურსათის მიწოდების მთლიან ჯაჭვში მისი დამუშავების, გადამამუშავების, დაფასოების, დასაწყოების პროცესის გავლის შემდეგ. რაც ხელს უწყობს სასურსათო ნედლეულის გადამამუშავებელი სამეურნეო სუბიექტების (კომპანიების) რეგიონულ მონოპოლისტად ჩამოყალიბებას, ან მათი რამდენიმე ერთეულის არსებობის დროს ყალიბდება ოლიგოპოლისტური სტრუქტურები. ასე, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზარზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სურსათის ბაზრებისაგან, რომლებზეც მოქმედებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში მიმდინარე ობიექტური პროცესები და მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრების შექმნა-განვითარება. ჯერ კიდევ 300 წლის წინათ **დ. რიკარდოს** მიერ ჩამოყალიბებული აღიარებული შეფარდებითი უპირატესობის პრინციპების შესაბამისად, შრომის საერთაშორისო

დანაწილების ასეთი ტენდენცია იწვევს მსოფლიოს სოფლის მეურნეობისა და მსოფლიო სასურსათო ბაზრების შესაბამისად, მოხმარების ოპტიმიზაციას. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მდგომარეობას შიდა ბაზრებზე, ეს არის მსოფლიოს ეკონომიკის გლობალიზაციის ობიექტური ფაქტორი და მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრების განვითარება. თეორიულად შრომის საზოგადოებრივი ასეთი გადანაწილება, მისი გაღრმავება „შედარებითი უპირატესობის თეორიის“ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა იწვევდეს მსოფლიო სოფლის მეურნეობის და მსოფლიო სასურსათო ბაზრებსა და შესაბამისად, მოხმარების ოპტიმიზაციას. ეს პრინციპები, როგორც უკვე ცნობილია, საფუძვლად უდევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამოქმედო აქტებს. მიუხედავად ამისა, მრავალი ქვეყანა სათანადოდ არ იცავს ამ ორგანიზაციის სამოქმედო ჩარჩოს მოთხოვნებს. როგორც ამას აღნიშნავს რუსი მეცნიერ-ეკონომისტი ვ. ნაზარენკო, მიზეზი სავსებით გასაგებია და მდგომარეობს საკუთარი წარმოების მხარდაჭერის აუცილებლობაში, ქვეყნის სოციალური წონასწორობის უზრუნველყოფაში, ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური დაბალანსების აუცილებლობაში, სასურსათო უსაფრთხოებაში და სხვა მიზეზები. აქედან გამომდინარე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უდიდესი ნაწილი ფართოდ იყენებს ეროვნული სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ბერკეტებს (სამართლებრივი ინსტრუმენტებთან ერთად ეკონომიკურ და ფინანსურ, პირდაპირ და ირიბ მეთოდებს), საგარეო ვაჭრობის პროტექციონიზმს და სხვა.

მაგალითად, ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი და განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყანა როგორცაა აშშ, გარდა ფინანსური ღონისძიებებისა, იყენებს საგარეო ვაჭრობის რეგულირების მკაცრ მექანიზმებს სასურსათო მეურნეობის ნაკლებად კონკურენტუნარიან სექტორებში (მაგ. შაქრის წარმოება). აშშ-ში სოფლის მეურნეობის სუბსიდირება ორი პრინციპით ხდება. ერთის მხრივ, ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ ჩეკები და პირდაპირი ფულადი

გზავნილები სახელმწიფო ხაზინისგან. მეორეს მხრივ, სახელმწიფო იყენებს ბერკეტებს უცხოური კონკურენტების მიმართ და ართულებს ანალოგიური საიმპორტო პროდუქციის შემოდინებას ქვეყანაში. ასეთი პოლიტიკის ქვეყნის მომხმარებელი უპირატესად იძენს სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციას (იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი წარმოება უზრუნველყოფს იმპორტის ჩანაცვლებას და საკუთარი ბაზრის გაჯერებას).

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციების გამოთვლებით, პროცენტულად სუბსიდირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ახალ ზელანდიასა (ქვეყნის შემოსავლების 2%-ს) და ავსტრალიაში (4%) ფიქსირდება. აშშ-ში კი ეს მაჩვენებელი 16%-ს, კანადაში 22%-ს, ევროკავშირის ქვეყნებში 32%-ს, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მხრივ შვეიცარიას გააჩნია და ის 68%-ს შეადგენს.

ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან აზერბაიჯანი გამოირჩევა სოფლის მეურნეობის სუბსიდირების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით, სადაც 2009-2010 წლების მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში გაიზარდა 3,5%-ით.

სომხეთში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 20%-ს შეადგენს და ამ სფეროში შრომისუნარიანი მოსახლეობის 50%-მდეა დაკავებული. 2010 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის სუბსიდირებამ ამ ქვეყანაში 723 ათასი დოლარი შეადგინა.

თურქეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა არის ერთ-ერთი ძირითადი სექტორი. ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 12-14%-ს შეადგენს. სოფლის მეურნეობის სექტორი გამოირჩევა მაღალი სახელმწიფო მხარდაჭერით, ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნებში. სახელმწიფოს ყოველწლიური სუბსიდიები აგრარული სექტორისათვის 4 მილიარდ დოლარს აღემატება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მაჩვენებელი 2004-2012 წლებში მერყეობს 112,7-დან 253,1 მლნ. ლარამდე. როგორც მონაცემებიდან ჩანს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სუბსიდირება

ხასიათდება ცვალებადი ტენდენციებით, მაგრამ ამ ციფრებს თუ განვიხილავთ შედარებითი თვალსაზრისით, არის უმნიშვნელო. დღევანდელი ქართული სოფლის მეურნეობაში სამართლებრივად აღიარებული მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმების თანაფარდობის პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ათჯერ და მეტჯერ გაზრდაც ვერ გადაწყვეტს პრობლემას, რადგან ჯერ არ არის შექმნილი ისეთი მეურნეობრივი სუბიექტები, რომლებსაც შესწევთ უნარი მიიღონ და შესაბამისი უკუკავშირებით გამოიყენონ ფინანსური წყაროები. ჩვენი მოსაზრებით, ეს აიხსნება არამართო დარგისადმი ცენტრალური ხელისუფლების უყურადღებობით, არამედ ობიექტური ფაქტორებით, რაც შემდეგში მდგომარეობს: პირველი ობიექტური ფაქტორია ის, რომ 90-იან წლებში ქართული სოფლის მეურნეობა ძირეულად მოიშალა, ფაქტიურად მისი ფუნქციონირება მიეცა თვითღინებას, რამაც მოიცვა ქვეყნის საბაზრო პირობების განვითარების უდიდესი ნაწილი. 2000 წლიდან შეინიშნება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ჩარევის ტენდენციები, რომელსაც არ შეიძლება მოჰყოლოდა სწრაფი რადიკალური ცვლილებები დარგის ფუნქციონირებაში. მეორე ობიექტური ფაქტორი არის ის, რომ ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული მეურნეობრიობის პროგრესული ფორმები (აღნიშნულმა ფორმებმა განვითარებულ ქვეყნებში გაიარეს სერიოზული პრაქტიკული გამოცდა). მესამე, 2005 წლამდე ქვეყნის ბიუჯეტი იყო იმდენად მწირი, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის დარგების ფინანსური მხარდაჭერა, ვინაიდან ქვეყნის პრიორიტეტი იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

მიუხედავად იმისა, რომ ვმო-ს წევრობა ქვეყნებს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს სოფლის მეურნეობის პირდაპირ სუბსიდირებაზე, აგრარული წარმოების დარგის მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამების საშუალებით. ამგვარი პროგრამებით ფინანსდება სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის

განვითარება: შიდა სასოფლო გზები, სარწყავი სისტემები, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ჯიშების რეაბილიტაცია, სასაწყობო მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკები და სხვა. ამ ორგანიზაციის მიმართ აღებული ვალდებულებების დარღვევად არ ჩაითვლება ის დახმარება, რომელიც მიმართულია მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში, დახმარების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სოფლის მეურნეობის რეალიზებული პროდუქციის მთლიანი ღირებულების 5%-ს.

ამრიგად, სურსათის ბაზრის სპეციფიკა და უკიდურესი სირთულე არ ტოვებს სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, გარდა სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობისა, საბაზრო წონასწორობის მხარდაჭერისა, მათ შორის როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის ფასების დონის სტაბილურობის უზრუნველყოფისა.

### **1.3 სასურსათო საბითუმო ბაზარი, როგორც მასში მონაწილეთა**

#### **ინტერესების რეალიზაციის მექანიზმი**

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და მისი მომხმარებლამდე წინააღმდეგობის ერთიან ჯაჭვში მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პრობლემის გადაწყვეტა, მათი შეთანხმებულობის შეფასებების კრიტერიუმების დასაბუთება, შეუძლებელია ინტერესების ბუნებისა და მის არსში გარკვევის, აგრარული სფეროს სტრუქტურების ეკონომიკურ განვითარებაში საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების სისტემაში მათი როლის, ურთიერთქმედების შესწავლის გარეშე. ადამიანის სასარგებლო საქმიანობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ეკონომიკური ინტერესი,

რომლის რეალიზაცია ხორციელდება ერთიან ეროვნულ საბითუმო სასურსათო ბაზარზე შრომის შედეგების გაცვლის პროცესში. ამრიგად, ბაზარს ჩვენ განვიხილავთ მის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესის რეალიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად.

ცნობილია, რომ დიალექტიკური მატერიალური პარადიგმის პოზიციიდან გამომდინარე, სწორედ ეკონომიკური ინტერესები პირველ რიგში განაპირობებენ ადამიანების საწარმოო საქმიანობის მოტივაციას. ასევე, ინტერესები წარმოადგენენ საზოგადოებრივი ეკონომიკური ინფორმაციის გავრცელების მამოძრავებელ ძალას, ამიტომ მათი ანალიზი აგრარული წარმოშობის პროდუქციის წარმოების და მომხმარებლამდე წინწაწევის მთელი ჯაჭვის მიხედვით წარმოადგენს მატერიალური წარმოების სფეროს უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ პრინციპს.

ეკონომიკური ინტერესების, როგორც ადამიანის საწარმოო საქმიანობის სამოტივაციო ინსტრუმენტის კვლევისადმი მიძღვნილია არაერთი სტატია, მონოგრაფია და სადისერტაციო ნაშრომი (გერშკოვიჩი ბ, კამანინი ვ, ლივშიცი ვ, რადაევი ვ, ლოღობერიძე კ, გოგოხია რ, და სხვა). დასახელებული და სხვა ადრინდელი თუ თანამედროვე ავტორების პოზიციების ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ადამიანები ერთიანდებიან საწარმოო საქმიანობის მიზნით. წარმოების ორგანიზაცია და მისი უწყვეტი განახლება წარმოადგენს კაცობრიობის არსებობის აუცილებელ პირობას, რადგან ადამიანები მოიპოვებენ მატერიალური წარმოებიდან სიკეთეებს საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა რიგი მკვლევარის აზრით არ არის საკმარისი იმისთვის, რომ იგი განვიხილოთ როგორც ეკონომიკური ინტერესი. მატერიალური მოთხოვნები იძენენ ეკონომიკური ინტერესების ფუნქციას არა უშუალოდ, არამედ საწარმოო ურთიერთობების მიხედვით. მხოლოდ აღნიშნული ურთიერთობები და მატერიალურ რესურსებში მოთხოვნები ანიჭებენ ეკონომიკურ ინტერესს სპეციფიკურ შინაარსს. მაშასადამე, მოთხოვა

გარდა მატერიალური საფუძვლებისა, განიცდის ტრანსფორმირებას ეკონომიკურ ინტერესებში. მოთხოვნა, როგორც საწარმოო ურთიერთობების ელემენტების შემადგენელ ნაწილს, ასევე გააჩნია სოციალური საფუძველიც. ეკონომიკურ ლიტერატურაში კატეგორია „ეკონომიკური ინტერესი“ განიხილება, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტების მატერიალური მოთხოვნების ფორმა, რომელთა ფუნქციონირება განსაზღვრავს ყოველი მოცემული წარმოების წესის ერთიანობას. მაგალითად, რიგი მკვლევარები ეკონომიკური ინტერესებსა და მატერიალური მოხმარების ცნებებს შორის თანხვედრისა და განსხვავებების შესახებ აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური ინტერესების მოქმედების სფერო როგორც მატერიალური ინტერესი, უნდა იზღუდებოდეს მატერიალური წარმოების სფეროთი, რადგან ეკონომიკური მოთხოვნების დინამიურობა და დაკმაყოფილება მიმდინარეობს საზოგადოებრივი წარმოების სფეროში, სწორედ ამიტომ ინტერესი ყოველთვის დაკავშირებულია აღწარმოების სისტემაში მატერიალური ფასეულობების დინამიურობასთან. ამასთან, იგი „მატერიალურია“ იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობს საგნების მოძრაობის გარეშე (ვ. რადაევი) [73]. ეკონომიკური თეორია საწარმოო ურთიერთობებს განსაზღვრავს, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობებს, ამავდროულად იგი გულისხმობს სოციალურ ასპექტსაც, რაც თვით მეურნეობრიობის სუბიექტებს ხდის ამ ურთიერთობების მონაწილეს. ცნობილია, რომ ყოველგვარი საწარმოს საქმიანობა ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით მიბმულია გარკვეულ სამეურნეო ერთეულებზე და მათ სტრუქტურულ წარმონაქმნებზე (ეკონომიკური სუბიექტები). ამრიგად, ეკონომიკის ევოლუციური განვითარების ზოგადი კანონზომიერების განხილვა, რომლის თანახმადაც ამ ურთიერთობებში ცენტრალურ ადგილს იკავებს მეურნეობრიობის სუბიექტების ინტერესები, წარმოადგენს ეკონომიკური ინტერესის თეორიის განვითარებაში ამოსავალ წერტილს. მიუხედავად ამისა, ადამიანები ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიანდებიან




კოლექტივებში, ამიტომ ინდივიდუალურ-ეკონომიკური ინტერესი გარდაიქმნება საზოგადოებრივში და მათ მოქმედებასა და ურთიერთქმედებაში იძენს ახალ ხასიათს. ერთის მხრივ, მიმდინარეობს შრომის დანაწილება ინდივიდების ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, მეორეს მხრივ, ახლადჩამოყალიბებული კოლექტიური ინტერესი ხელს უწყობს ინდივიდების ამავე ინტერესების რეალიზაციას. ამასთან, საზოგადოებრივი ინტერესი, მათ შორის აგროსამრეწველო სუბიექტის ინტერესიც არსებობს დამოუკიდებლად, რაც გამოიხატება კატეგორიის მეშვეობით, რომელიც არცერთ შემთხვევაში არ მდგომარეობს მუშაკების ინტერესების მარტივ მექანიკურ აღქმაში, ეს ეხება ეკონომიკური ინტერესების უფრო მაღალ დონეს, ისეთების, როგორცაა მუნიციპალური წარმონაქმნი, რეგიონული და საერთო სახელმწიფო ინსტიტუტები. საზოგადოებრივი წარმონაქმნის ყოველ დონეს გააჩნია თავისი ინტერესი: პირადი, ჯგუფური, რეგიონული, სახელმწიფოებრივი. აგრარული ბაზრის სამეურნეო აგენტების ეკონომიკური ინტერესი არის საზოგადოებრივი ინტერესის განსაკუთრებული ფორმა, განპირობებული მოცემულ სფეროში საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების ობიექტური პირობებით. მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკით, იგი განსაზღვრავს ამ ინტერესის შინაარსს, ხასიათს და ეფუძნება განვითარებადი ბაზრის ეკონომიკის დომინირებას საწარმოო საქმიანობის ეკონომიკური შედეგების ხარჯზე სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ცნობილია, რომ ინდივიდის (ადამიანის) მოთხოვნის ზოგადი ფორმით წარმოდგენა შეიძლება, როგორც მატერიალური და სულიერი სიკეთეების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მისი (ადამიანის) განვითარებისათვის. თავის მხრივ თვით ადამიანების ეს მოთხოვნა განიცდის ცვლილებას, გარდაიქმნება სიკეთეებში საწარმოო ძალების დონის განვითარებისა და მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად, რაც ასახვას პოულობს მეურნეობრიობის გარკვეულ ფორმებსა და წესებში, მის ეფექტურობაში. იმისათვის, რომ უფრო ღრმად წარმოვიდგინოთ ეკონომიკური ინტერესის

კავშირი მთლიან, როგორც საწარმოო ურთიერთობებთან, ასევე კვლევის სისტემაში კერძო წარმოების პროცესთან და ჩამოვყალიბოთ საკუთარი პოზიცია საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების ინტერესების ბუნების, როლისა და ხასიათის შესახებ, აუცილებელია გამოვლენილ იქნეს მისი მატერიალური საფუძველი, რეალიზაციის ფორმა და დაკმაყოფილების ხარისხი, ხოლო ეს შესაძლებელია მისი სუბიექტურ-ობიექტური ანალიზის საფუძველზე. მაგალითად, ფრანგი ეკონომისტი რ. ბარი ეკონომიკურ ინტერესს ახასიათებს, როგორც კმაყოფილების და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება, ხოლო ჩეხი ეკონომისტი ო. შიკი, როგორც ადამიანის მდგრად მიმართულებას, ადამიანთა ფსიქიკურ განცდას [60]. არის მოსაზრება, რომ ინტერესი ეს არის ადამიანებში ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების სუბიექტური გამოვლენა. ეკონომიკური ინტერესის ბუნების სუბიექტურობის შესახებ მოსაზრება აშორებს მას ისეთი სუბსტანციიდან, როგორც არის ობიექტური მატერიალური მოთხოვნები და აყენებს თვით საწარმოო ურთიერთობებს მატერიალური წარმოების პროცესის ობიექტურობის გარეთ.

ეკონომიკური ინტერესის შინაარსისადმი ჩვენი მიდგომა მდგომარეობს მის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში და მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთიანობაში. როგორც აღვნიშნეთ, მატერიალური საშუალებების მოპოვების პროცესში ადამიანები შედიან ერთმანეთში სხვადასხვა სახის ურთიერთობაში: ბუნებასთან, ერთმანეთთან, ასოცირებულ ეკონომიკურ სუბიექტებთან, საზოგადოებასთან გარკვეული ინსტიტუციონალური სისტემის სახით, რომლებიც ფუნქციონირებენ გარკვეულ სფეროში მათი რეალიზაციის გარკვეულ გარემოში. ეს სუბიექტები, რომლებიც აერთიანებენ და აზოგადებენ თავის მატერიალურ მოთხოვნებს მეურნეობრიობის სუბიექტების ინტერესების მეშვეობით, იყენებენ მათი დაკმაყოფილების სხვადასხვა ფორმას, ეს კი განპირობებულია საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების დონით. ცალკეული ინდივიდის მატერიალური მოთხოვნების გაფართოებული ასპექტი მეურნეობრივი

სუბიექტების საზღვრებამდე მნიშვნელოვნად ახდენს მათი განმარტების მოდიფიცირებას. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარები ბრუნვაში იყენებენ ცნებას - „სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური მოთხოვნები“, რომელიც ატარებს მათ მახასიათებლებს (სქემა 1.3.1):



სქემა 1.3.1. ეკონომიკური მოთხოვნებისა და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება

ეკონომიკური მოთხოვნები განპირობებულია როგორც აღვნიშნეთ აღწარმოებით ციკლთან საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარებით. მაგალითად, აგრარულ სფეროში მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი პროცესის - „წარმოება-გაცვლა-განაწილება-მოთხოვნა“ ფარგლებს შიგნით მატერიალური სიკეთის მოძრაობა უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუ ეკონომიკური მოთხოვნები ვლინდება გარკვეულ ეკონომიკურ გარემოში პერსონიფიცირებული წარმომადგენლობითი

ფუნქციების მიხედვით, მაშინ ის წარმოადგენს ეკონომიკური ინტერესის მთავარ ამოსავალ წერტილს.

ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, ვახდენთ ეკონომიკური ინტერესის პერსონიფიცირებას არა პოლიტიკურ-სოციალურ ასპექტში (კლასები, საზოგადოებრივი წყობილებები, ჯგუფები), არამედ ეკონომიკური სუბიექტების მიხედვით, რომლებსაც მიეკუთვნება არამარტო საკუთრივ აგროსამრეწველო წარმოება, ასევე აგროსაწარმოო ინფრასტრუქტურული ფინანსური სუბიექტები. ფინანსური - იმ ნაწილში, რომელიც ეხება აგროსამრეწველო წარმოებებში შემავალი სფეროების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, და სხვა. ამრიგად, ცნებას „ეკონომიკური მოთხოვნები“, ჩვენ განვიხილავთ წმინდა ეკონომიკური მხრიდან, გაფართოებული აღწარმოების პროცესში ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობების რეგულირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის მოთხოვნები, როგორც საწარმოო საქმიანობის საფუძველი, წარმოადგენს მის ერთ-ერთ კომპონენტს. ეკონომიკური მოთხოვნები კი განიხილება წარმოების პროცესის კონტექსტში, თუმცა ეს სხვა არაფერია თუ არა ადამიანის განზოგადებული მატერიალური მოთხოვნები, განპირობებული საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების მიმდინარეობით.

თავისთავად, ეკონომიკური მოთხოვნები გამოხატავენ აღწარმოების პროცესის ეკონომიკური მდგომარეობის მხოლოდ ერთ ასპექტს, ამ მოთხოვნების გათვითცნობიერება და რეალიზაცია ახასიათებს მათ გადასვლას ეკონომიკური ინტერესის კატეგორიაში. ამიტომ, მოთხოვნების ობიექტური ბუნება ხდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა. ეკონომიკურ ინტერესებში მათი ტრანსფორმაცია ხორციელდება სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის მეთოდებით ადამიანების, მათ წინაშე მდგარი პრობლემების გათვითცნობიერებისა და ურთიერთქმედების პროცესის მეშვეობით. როგორც ვხედავთ, ეკონომიკური ინტერესი არ აყალიბებს ეკონომიკურ ურთიერთობებს ისევე, როგორც ეკონომიკური

ურთიერთობები პირდაპირ არ აყალიბებენ ეკონომიკურ ინტერესებს, მაგრამ წარმოადგენენ მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურების უშუალო წინამძღვარს.

მთლიანად, ეკონომიკური და მათ შორის აგროსამრეწველო დარგების ურთიერთობების რეფორმირებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ჩამოყალიბდა კერძო საწარმოო სტრუქტურები, შედეგად მოხდა ეკონომიკური ინტერესის ტრანსფორმაცია, რამაც ხელი შეუწყო საკუთრების ფორმების დიფერენციაციას. ჩამოყალიბდა ცალკეული საქონელმწარმოებლების კერძო ინდივიდუალური ან კერძო კოლექტიური ინტერესი. საწარმოო გაერთიანებების და მათი მუშაკების ეკონომიკურ ინტერესში შეინიშნება სუბიექტურობის გარკვეული ელემენტები. ეს ცვლილებები ერთიანად ვლინდებიან აგრარულ ბაზარზე არსებული არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში, სადაც მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ ფონდ და რესურსმწარმოებელ დარგებს. წლების განმავლობაში აგროსამრეწველო სფეროში შემავალი რესურსმწარმოებელი სუბიექტები, დარგები და სფეროები იმყოფებიან არათანაბარ მდგომარეობაში, რომელშიც ყოველთვის წაგებულნი არიან საკუთრივ აგრარული სფერო. ეს ვითარება ყველა ქვეყნისთვის რჩება გადაუწყვეტელ პრობლემად, რადგან სოფლის მეურნეობისათვის მიწოდებული მატერიალური რესურსების განსაკუთრებით ტექნიკისა და ტექნოლოგიების ფასის ინდექსი მათი სიმძლავრის ერთეულზე გაანგარიშებით საკმაოდ მზარდი ტემპით უსწრებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შესასყიდი ფასების ზრდის ინდექსს. ასეთ ვითარებაში, სურსათის წარმოების ჯაჭვში მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ელემენტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლებს კარნახობს აგროსამრეწველო წარმოების პროდუქციის წინწაწევის ერთიან ტექნოლოგიურ ორგანიზაციულ – ეკონომიკური სისტემის ჯაჭვში საკუთარ ეკონომიკურ ინტერესს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად აგროსამრეწველო სფეროს ურთიერთობის რეგულირების პროცესში აპრობირებულ იქნა მათი ფუნქციონირების პირობების გამოთანაბრების

მრავალი სახის ფორმები და მეთოდები (ფასების ორდონიანი სისტემა, სუბსიდიები, ფასდაკლებები და ფასნამატები და სხვა).


სხვა დანარჩენ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის აგრარული პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების სისტემაში მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის უთანაბრო მდგომარეობა, დაკავშირებულია ქვეყანაში ერთიანი სასურსათო ბაზრის, სასოფლო – სამეურნეო საქონელწარმოებისა და მომხმარებლისათვის მათი მიწოდების სტრუქტურებს შორის მოწესრიგებული ურთიერთობების და სხვა სახის რეგულაციების არარსებობასთან. სურსათის წარმოებისა და წინწაწევის ჯაჭვში ყოველი მონაწილის ეკონომიკური ინტერესების პრივატულობა ანიჭებს ამ ინტერესებს სუბიექტურობის ელემენტს. თვით ეკონომიკური ინტერესების ობიექტურობის მომხრეები არ უარყოფენ მის ეგოისტურობას, ანუ იგი შეიცავს სუბიექტურობის ელემენტს. ეკონომიკური ინტერესების გათვითცნობიერება მიმდინარეობს ობიექტურობიდან სუბიექტურობაზე გადასვლის პროცესში. მართალია ამ პრობლემის მკვლევარები აკეთებენ განმარტებას, რომ ინტერესი წარმოადგენს არა თვით ეკონომიკური ობიექტურობისა და სუბიექტურობის ერთიანობას, არამედ მისი რეალიზაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება ადამიანების პრაქტიკული საქმიანობის პროცესში [59]. ამრიგად, ეკონომიკურ ინტერესს აიგივებენ ადამიანების მატერიალურ მოთხოვნებთან, მის ობიექტურობას გამოყოფენ მისი შინაარსის, აღქმისა და რეალიზაციის სუბიექტური ფორმის მიხედვით.

ინტერესის ობიექტურ მომენტს წარმოადგენს სუბიექტის მდგომარეობა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში (წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესში), სუბიექტურ მომენტს კი განაპირობებს იდეალური ადმძრავი ძალები: სურვილი, სწრაფვა და პროცესების მართვა.

ეკონომიკური ინტერესების პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული ლიტერატურის შესწავლისა და განზოგადების შედეგად,

ჩვენ გამოვკვეთეთ პოზიცია, რომ ინტერესის შინაარსს განსაზღვრავს ობიექტურობისა და სუბიექტურობის ერთიანობა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს მთლიანად წარმოდგენილია ინტერესების ფორმირების ეტაპებით, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს კიდევ ერთ ეტაპს – დაკმაყოფილებას [73]. რადგან, თუ არ არის მიღებული უკუკავშირი, ეკონომიკური მოთხოვნები რჩება მიუღწეველი. ეკონომიკური ინტერესის რეალიზაციის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ცხოვრების დონის და ეკონომიკის ფუნქციონირების განვითარების რაოდენობრივი - ზომიერი მაჩვენებლები (სქემა 1.3.2).

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულება, რომ ეკონომიკური ინტერესი განპირობებულია როგორც მატერიალური მოთხოვნებით, ისე საბაზრო ურთიერთობების სისტემით და ატარებს ობიექტურ-სუბიექტურ ხასიათს. შედეგად, კატეგორია ეკონომიკური ინტერესი უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე მატერიალური და ეკონომიკური მოთხოვნები (ადამიანი, საბაზრო სუბიექტები).



სქემა 1.3.2. ეკონომიკური ინტერესების სტრუქტურულ-ლოგიკური მოდელი

ეკონომიკური ინტერესის რეალიზაციის პროცესში მონაწილე ელემენტები უკავშირებენ მოცემულ სისტემაში დაკმაყოფილების საწყისების აღმძრავ ფაქტორებს წარმოებას და ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რაც სქემატურად ასახულია სქემა 1.3.2 - ზე.

ეკონომიკური ინტერესის სუბიექტური მხარე ვლინდება ადამიანის მოთხოვნების, მისი სუბიექტური და წარმომადგენლობითი გათვითცნობიერებით მათ „სწორ“ ან „დამახინჯებულ“ აღქმაში, ანუ ეკონომიკური მოთხოვნილების გათვითცნობიერება, მისი რეალიზაციის გათვალისწინებით, წარმოადგენს ამ მოთხოვნების ეკონომიკური ინტერესების ფორმაში გადასვლას.

ცხადია, რომ ეკონომიკური ინტერესის კატეგორიის კვლევას ვუკავშირებთ ჩვენი კვლევის ობიექტს ანუ სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების პრობლემებს, რომელიც ითვალისწინებს მრავალი სამეურნეო სუბიექტის მონაწილეობას ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესებით (რეალურ პრაქტიკაში ისინი ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს). აღნიშნული კი გულისხმობს სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიან ჯაჭვში მონაწილე სუბიექტების ინტერესთა შეთანხმებულობის აუცილებლობას, რაც როგორც წესი იწვევს ურთიერთშეთანხმებულობის სინერგიულ ეფექტს და საბოლოო ჯამში იზრდება სურსათის წარმოებაში დასაქმებული ადამიანებისა და ჯგუფების ინტერესების რეალიზაციის ხარისხი. რაც მთავარია, ეს მცდელობა მიმართულია სურსათის საბოლოო მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის და ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რომელშიც ძალიან დიდია სახელმწიფოს ინტერესი.

აგრარული წარმოების სუბიექტების სამეურნეო კავშირების სტრუქტურა მოწმობს საწარმოო ურთიერთობების მრავალფუნქციონალურ, რთულ სისტემაზე, რომელშიც სამეურნეო სუბიექტები შედიან თავიანთი



ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მიზნით. ისინი მუდმივად წარმოიქმნებიან და იძენენ თავისი გამოვლენის კონკრეტულ ფორმებს. შედეგად იქმნება ეკონომიკური კავშირების განშტოებული სისტემა როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით.

ინტერესის არსისა და მისი რეალიზაციის პრობლემის მკვლევარები (გერშკოვიჩი, რ. შეპიტკო და სხვები [59, 60, 73]) მიუთითებენ, რომ საჭიროა კონკრეტული ობიექტის კვლევებში ეკონომიკური ურთიერთობების გამოყოფა და მასში მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის პირობების განვითარების ობიექტური კანონზომიერებების და სუბიექტური ფაქტორების დადგენა. მაშასადამე, წინააღმდეგობების გამოვლენა ხდება ამ ურთიერთობის პროცესში. რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაში ინტერესების რეგულირების მექანიზმების გამოვლენის წინაპირობების შემუშავებას.

როგორც ავღნიშნეთ, წინამდებარე კვლევის ობიექტის ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიხილავთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც მიმდინარეობს სურსათის წარმოების და მომხმარებლამდე წინწაწევის ერთიანი ჯაჭვის სისტემაში. მათი ძირითადი სახეები მდგომარეობს შემდეგში:

- ურთიერთობები მეურნეობრივ სუბიექტებსა და საზოგადოებას შორის (სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით) საბითუმო სასურსათო ბაზრის ფორმირების პროცესში;

- ბაზრის სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობები, რომლებიც ხასიათდებიან მრავალფეროვნებით: ურთიერთობები ცალკეულ სახელმწიფოს შორის, აგროსამრეწველო სფეროებსა და საწარმოებს შორის, ეკონომიკის აგრარული სექტორის სტრუქტურულ ერთეულებსა და ეკონომიკის სხვა სფეროებს შორის;

- ურთიერთობები კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტებს შორის, რომლებიც ახორციელებენ საწარმოო კომერციულ საქმიანობას. ესაა ურთიერთობები ერთი და იგივე კონკრეტული სახის შრომის

წარმომადგენლებს შორის (ასევე კონკრეტული სახის შრომის განსხვავებულ სახეებს შორის), სოციალურ ჯგუფებს შორის, შიდასაწარმოო ქვედანაყოფებს შორის, წარმოების საშუალებების მესაკუთრეებს და მუშაკებს შორის, ერთი და იგივე პროფესიის მუშაკებს შორის, რომლებიც დასაქმებული არიან სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოებაში და სხვა.

ამრიგად, ეკონომიკური ურთიერთობები მთლიანობაში შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ფორმამდე: გარე და შიდა (შიდასამეურნეო). გარე ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავს ურთიერთობებს, რომლებიც მყარდება აგროსამრეწველო სფეროში შემავალი სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესში (გაცვლისა და მოგების გადანაწილება). ისინი ვლინდებიან იმ სუბიექტებთან ურთიერთობის პროცესში, რომლებიც წარმომადგენენ სახელმწიფოს ინტერესებს, (მატერიალურ – ტექნიკური რესურსების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის, საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე). მაგალითად, განვიხილოთ ეკონომიკური ინტერესების რეალიზების პროცესი სურსათის წარმოების ფუნდამენტურ დარგში – სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რომელიც დღეს სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოდგენილია საკუთრების მრავალფეროვნებით და სადაც დასაქმებული ადამიანების ინტერესების შეჯერება ამ პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტების და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის არის საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი პრობლემა. სურსათის წარმოების სფეროში კოლექტიური ინტერესები შეიძლება განვიხილოთ როგორც შიდა ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სფეროში. ასევე, ინტერესი ამოძრავებს თვით საწარმოს შრომით კოლექტივებს, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც ერთობლივი საკუთრების (მათ შორის მიწის), ასევე წილობრივი საკუთრების ფლობის საფუძველზე.

თუ განვიხილავთ სამეურნეო სუბიექტების პირად და კოლექტიურ ინტერესებს, როგორც ეკონომიკური მოთხოვნების შემადგენელ ნაწილს, დავინახავთ, რომ ისინი წარმოადგენენ მათ სტრუქტურულ ელემენტებს: მატერიალურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოთხოვნებს და რომელთა დაკმაყოფილება ხორციელდება საერთო შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების მეშვეობით.


აგრარულ სფეროში და სურსათის წინწაწევის ერთიან ჯაჭვში მონაწილეთა ინტერესების სახეობების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია მატერიალური წარმოებით და ეკონომიკური ურთიერთობებით, რომელიც მყარდება მათი განხორციელების და შექმნილი პროდუქტის განაწილების პროცესში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ინტერესთა სისტემა განვიხილოთ, როგორც კერძო და საერთო ინტერესების გამოვლენისა და შეთავსების პროცესი.

ამრიგად, აგროსასურსათო სფეროში დასაქმებული ადამიანების ეკონომიკური ინტერესები წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას, რომელსაც სწავლობენ არა მარტო ეკონომიკური, არამედ სხვა არამატერიალური ინტერესის სისტემაშიც, რაც დაკავშირებულია სულიერ, ქცევით, ეროვნულ, კულტურულ, ეთნიკურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ განხილული ეკონომიკური ინტერესი არ არის უშუალოდ აბსტრაგირებული არამატერიალური სფეროს მოთხოვნებისაგან. ვინაიდან, არამატერიალური მოთხოვნებიდან აბსტრაგირება ძალიან ძნელი ამოცანაა და არცაა მიზანშეწონილი, რადგან ისინი აყალიბებენ: პირველი - სოციალურ ბაზას, და მეორე - არასაგნობრივ სიმდიდრეებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კვლევის ობიექტის - სურსათის ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილე სუბიექტზე ადამიანური კაპიტალის ფორმირების მეშვეობით. რაც, თავის მხრივ წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური ეკონომიკური ინტერესის წარმოებულს. აქვე არ შექმდება არ ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ მატერიალური და

არამატერიალური მოთხოვნები განაპირობებენ ერთი მეორისაგან დეტერმინირებული კავშირის არსებობას.

საერთო სახით ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება არაპირდაპირ ვლინდება აგროსამრეწველო კომპლექსში იმ ფორმით, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანულ სქემაზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მაგალითზე და რომელიც ასახავს მთლიან ერთიანობას, მათ განყენებულობას და ურთიერთდამოკიდებულებას პიროვნების ინტერესების, როგორც ეკონომიკური ინტერესები საწყისს (სქემა 1.3.3).

მაშინ, როცა დეცენტრალიზებულია აგრარული საწარმოო პროცესი, შეუძლებელია პრიორიტეტი მივანიჭოთ რომელიმე ერთი სახის ინტერესს, რადგან ყველა სუბიექტის ინტერესები ურთიერთგადახლართულია და არ დომინირებს ერთი მეორეზე, ყოველი მათგანის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს შეთავსებისა და შეთანხმებულობის პრინციპებზე დაყრდნობით.



სქემა 1.3.3. ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედების სქემა სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესში [ადაპტირებულია რ. შეპიტკოს მიხედვით, 73. გვ.70]

შეთანხმებულობის კრიტერიუმი შეიძლება იყოს გარკვეული ტიპის მეურნეობის პროცესში ობიექტური გამოკვლევა, რომელიც ეფუძნება გაფართოებულ აღწარმოებას, ამავედროულად სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების სამეურნეო სუბიექტის ინტერესებს და შედეგები სასარგებლო და საჭიროა მთლიანად საზოგადოებისათვის. სახელმწიფო ატარებს აგროწარმოების სფეროში ეკონომიკური პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. მოცემულ ასპექტში საერთო ეროვნული ინტერესის უპირატესობა ნათელია, მაგრამ სახელმწიფო რეგულირება ეფუძნება არა იძულებას, არამედ ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებებს. ასეთი მიზნების განხორციელება უნდა მოხდეს არამარტო ცენტრალიზებული მართვით, არამედ სახელმწიფო საბაზრო მექანიზმების საშუალებით. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ მწვავე საკითხს წარმოადგენს პირადი და კოლექტიური ინტერესების შეთავსება საზოგადოებრივ ინტერესებთან.

ამრიგად, ეკონომიკური ინტერესების სისტემის შეთანხმებულობა დონების მიხედვით, წარმოადგენს როგორც ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ფორმას. განსაკუთრებით, ეს ეხება აგროსამრეწველო წარმოებას, რომელიც როგორც უკვე ავლნიშნეთ, არის რთული ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურა, სადაც ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში ფუნქციონირებენ სხვადასხვა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ საბოლოო პროდუქტის წარმოებაში და მომხმარებლამდე წინააღმდეგის პროცესში. ბუნებრივია, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, სურსათის წარმოება და მისი საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების პროცესში შრომის დრმა საზოგადოებრივი დანაწილება წარმოების ცალკეული ეტაპების და მათი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულების გამოყოფა აძლიერებს დარგთაშორის და მეურნეობათაშორის გაცვლის პროცესს (აღრმავებს ამ პროცესს). ყოველივე ეს, იწვევს კვების პროდუქტების წარმოების

მონაწილეებს შორის გრძელვადიანი ეკონომიკური პარტნიორობის საფუძველზე კავშირების დამყარებას, და წარმოადგენს ინტერესების რეალიზაციის ერთ-ერთ ეფექტიან მიმართულებას. მაშინ როცა მათი დაქსაქსულობისა და თანამშრობლობის შემთხვევითობა იწვევს ერთობლივი მეურნეობრიობის საბოლოო სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებას.

დარგთაშორისი, ისევე როგორც მეურნეობათაშორისი კავშირები იქმნება და ვითარდება, როგორც საწარმოო ძალების გაერთიანების შედეგი და ეს გაერთიანებული კავშირები გამოდიან მოცემული სისტემის მონაწილეების ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების მექანიზმად. თავისთავად, დარგთაშორისი და მეურნეობათაშორისი კავშირები გაერთიანებული ტექნოლოგიური პროცესის ერთიანობით ვერ წყვეტენ ეკონომიკურ წინააღმდეგობებს, არამედ მხოლოდ აყალიბებენ წანამძღვრებს, ერთიანი სივრცის ჩარჩოებში ეკონომიკური ინტერესების შეთანხმების პირობებს. ინტერესების ერთიან საფუძველს დარგთაშორისი გაცვლების სისტემაში წარმოადგენს შეთანხმების მექანიზმი (კონტრაქტების მექანიზმი) და ერთიანი წარმოების პარტნიორებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაცია. მეურნეობათაშორისი კავშირები სურსათის წარმოების ჯაჭვში შეიძლება ერთდროულად განვიხილოთ, როგორც ინტეგრაციის გამოვლენა სხვადასხვა ფორმით (ვერტიკალური და ჰორიზონტალური) საბოლოო პროდუქტის წინწაწვევის უზრუნველსაყოფად. ვერტიკალური ინტეგრაცია ვლინდება დარგთაშორისი კავშირებში. სურსათის საწარმოთაშორის წარმოებაში მონაწილე ყველა დარგის საწარმოო კავშირებია: სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი წარმოება, სოფლის მეურნეობა და დამზადების და მიმოქცევის სფერო, სოფლის მეურნეობა და სატრანსპორტო საწარმოები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგები, საბითუმო ვაჭრობის ობიექტები, დარგთაშორისი კავშირები კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის საფუძველზე და მათი კოოპერირება. საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში მეურნეობათაშორისი

ურთიერთობები ერთის მხრივ უზრუნველყოფენ პროდუქტის წინააღმდეგობას საბოლოო პროდუქტის ტექნოლოგიური ჯაჭვის რგოლებს შორის, მეორეს მხრივ კი წარმოადგენენ შეთანხმებულობის პირველ ინსტანციას, როგორც საწარმოს ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ფორმა. საკითხის მოცემული ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ შრომის დანაწილების პროცესში ხდება პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიური ჯაჭვის გახლეჩვა ცალკეულ სტადიებად, რომელთა დიფერენციაციის ზრდა ობიექტურად განაპირობებს საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა წარმოებებს შორის გაცვლებს. რადგან თავისთავად გაცვლა არ ქმნის განსხვავებას წარმოების სფეროებს შორის. მაგრამ, ამყარებს კავშირს მათ შორის და საზოგადოებრივი წარმოების პროცესში აქცევს მათ მეტნაკლებად ერთმანეთთან დაკავშირებულ დარგებად. სხვადასხვა სუბიექტებისა და დარგების სამეურნეოთაშორისი კავშირების ეფექტიანი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ პირობებში:

- პირველი, როცა მომხმარებელი განიცდის მწარმოებლის პროდუქციაზე მოთხოვნას და ამავედროულად აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ექვივალენტური გაცვლა (ფული - საქონელი);

- მეორე, როცა მწარმოებელი არამარტო ფლობს წარმოებისათვის საჭირო რესურსს, არამედ ეკონომიკურად დაინტერესებულია მუდმივად და მაღალი ხარისხით დააკმაყოფილოს მომხმარებელი. მოცემულ შემთხვევაში, მწარმოებლის პროდუქციაზე მოთხოვნა და მოხმარება განპირობებულია ცხოვრების მატერიალური პირობებით, მაშინაც კი, როცა ეკონომიკური დაინტერესება უზრუნველყოფს დარგთაშორისი და საწარმოთაშორისი გაცვლის სისტემაში თანამშრომლობით თანაბარსარგებლიანობას.

ყოველი სამეურნეო სუბიექტის სამეურნეო ცხოვრება განპირობებულია უპირველეს ყოვლისა, მისი ეკონომიკური ინტერესის რეალიზაციით. როცა იგი გადის ბაზარზე, გამოხატავს მის ინდივიდუალურ მოკლე ან გრძელვადიანი პერიოდის ინტერესს, ბაზრის სხვა აგენტების ინტერესს, „სხვის“ და „არა თავის“ ინტერესებს ის

ითვალისწინებს უშუალოდ, რამდენადაც, ეს განპირობებულია საწარმოო და სამეურნეო კავშირებით. დარგებსა და საწარმოებს შორის ინტერესების შეუთანხმებლობა გამოწვეულია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორებით. ობიექტურ მიზეზებს შორის გამოყოფენ ეკონომიკურად განყენებულ საწარმოს და ეკონომიკური ურთიერთობების არაადეკვატურ ფუნქციონირებას. ფაქტორების მეორე ჯგუფი წარმოიქმნება მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგად, რომლებიც არ შეესაბამება საწარმოო ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პერიოდს, სახელმწიფო მექანიზმის არარსებობას, ინდივიდუალური (პიროვნული), კოლექტიური (ჯგუფური) ინტერესების ურთიერთშეუთანხმებლობას საზოგადოებრივ ინტერესებთან. დარგთაშორისი გაცვლის სისტემაში წინააღმდეგობების გადალახვა უნდა ხორციელდებოდეს ურთიერთდინტერესების, შეთანხმებების მეშვეობით, რომლის ფუნქცია მდგომარეობს აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ეკონომიკური პარტნიორობის ურთიერთობების ექვივალენტური გაცვლის პროცესების დაცვით.

ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობა არის ეკონომიკური წინააღმდეგობების თავიდან აცილების პროცესი, აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის წინააღმდეგობის მონაწილეებს შორის წარმოადგენს სურსათის წარმოების პროცესში მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის აუცილებელ პირობას. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერესების რეალიზაციის ერთიან ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე ბიზნესსტრუქტურების ინტერესები წინააღმდეგობრივია და აუცილებელი ხდება მათი სტრუქტურულიზაცია. როგორც წესი, ამ შემთხვევაში განყენებული ერთეულების ინტეგრირებული ინტერესების გათვალისწინებით, იწყებენ საერთო ე.წ თანაწევრი ინტერესების შესამუშავებასა და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე ორიენტაციას. სურსათის წარმოების სფეროში დასაქმებული დარგებისა და სფეროების საერთო ინტერესები მდგომარეობს შემდეგში: წარმოების




ტექნოლოგიურობის ინტეგრაციის გაღმავება, საწარმოო ეკონომიკური კავშირების სისტემაში ერთიანი სამეურნეო სივრცის ფორმირება, ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის მუშაობის რითმულობა, ინტეგრირებულ სისტემაში მონაწილე ყველა რგოლის მუშაობა გაფართოებული აღწარმოების რეჟიმში, მდგრადი კონკურენტული წარმოების ფორმირება.

ინტერესთა შეთანხმება სურსათის წარმოებაში მონაწილე დარგებს, სფეროებსა და საწარმოო ერთეულებს შორის არის საკმაოდ აქტუალური და რთული პრობლემა, ვინაიდან საბაზრო მექანიზმს მისთვის დამახასიათებელი ფორმებითა და მეთოდებით არ შეუძლია გახდეს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში ინტერესთა პარიტეტობის მექანიზმი. ეს განპირობებულია: პირველი, მისი რესურსების მომწოდებელი დარგების მონოპოლიური მდგომარეობით, რომლებიც გაცვლით ურთიერთობებში შედიან უშუალოდ აგრარულ წარმოებასთან (ტექნიკისა და სხვა სახის წარმოების საშუალებების მომწოდებლები), მეორე - ამ უკანასკნელის არათვითკმარიანობით, არაკონკურენტუნარიანობით და სახელმწიფოს სუსტი შესაძლებლობით ისეთ საკითხებში, როგორც არის დარგთაშორის გაცვლებში ექვივალენტურობის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ისევე როგორც სხვა სფეროებში სურსათის წარმოების პროცესში ჩართული დარგებისა და სფეროების ეკონომიკური წინააღმდეგური ინტერესების გაერთიანება წარმოადგენს საკმაოდ გრძელვადიან პროცესს და რომლის მიღწევაში გამოყოფენ შემდეგ ეტაპებს: შეთანხმებულობა და რეალიზაცია. შეთანხმებულობა ეს არის აგრარული პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციის პროცესში მონაწილეებს შორის ეკონომიკური წინააღმდეგობების თავიდან აცილების პროცესი. სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში, რომელიც იხილავს ინტერესთა რეგულირების პროცესს, რეკომენდებულია ინტერესთა შეთანხმებაზე მიდგომის პროცედურა, რომელიც გამომდინარეობს ინტერესთა შორის წინააღმდეგობების ბალანსის შენარჩუნებიდან.

აგროსასურსათო დარგების ერთიანობის სისტემის ანალიზისადმი დარგთაშორისი მიდგომით შემოთავაზებულია სტრუქტურისებული მოდელი (სქემა 1.3.4), რომელიც აღწერს აგროსამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა სფეროების საწარმოო შესაძლებლობებს. მოცემული მოდელის დარგთაშორისი ფუნქციონირების წონასწორულ ცვლადებს წარმოადგენს

ს



არამარტო ფასი, არამედ მოთხოვნა და მიწოდება, ვინაიდან ეს უკანასკნელნი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ხასიათდებიან დაბალი ელასტიურობით.

როგორც ვხედავთ, ჩაკეტილ მოდელში მასში მომუშავე ურთიერთკავშირები იზრდება. ამ თვალსაზრისით მოდელი რჩება საკმაოდ რთულ კონსტრუქციად, სადაც წინასწარი გათვლების გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მასში მმართველობითი ფუნქციის ზრდის შემთხვევაში, საწარმო-ტექნოლოგიური ცვლის ეტაპებზე, ასევე სისტემის შიდა ურთიერთქმედების მექანიზმის შემუშავებით. მოცემული მოდელის შინაარსობრივი ლოგიკა შეესაბამება ეკონომიკურ წრებრუნვას, რომელიც აღწერილია აგრარული პროდუქციის წარმოების მონაწილეების ინტერესების ბალანსის იდეოლოგიის ასპექტში და მოდელს გააჩნია ორი მხარე: საწარმოო და გამანაწილებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესთა შეთანხმებულობა მიიღწევა ახალი ტიპის მეურნეობათაშორისი კავშირების ფორმირების პროცესში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- ერთობლიობა და შეთანხმებულობა, პარტიორების ინტერესების არაწინააღმდეგობრიობა;
- ყველა კონტრაქტორ-მეურნის ინტერესების გათვლა;
- ექვივალენტური გაცვლა;
- ინტერესთა შეთანხმების საფუძველზე შემოსავლების განაწილებაში მონაწილეობა;
- მომხმარებლის პრიორიტეტის განსაზღვრა, დარგთაშორისი და საწარმოთაშორისი ინტერესების გათვალისწინება კავშირების სისტემაში;
- სახელშეკრულებო თანახმობა;
- პარტიორთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;
- სოციალური და ეკონომიკური თანამშრომლობა;
- აგროსამრეწველო კომპლექსში საქონელმომცემის უზრუნველსაყოფად საქონელმწარმოებელთა პირობების დადგენა;


- აგროსასურსათო წარმოებაში პროპორციულობის და რითმულობის ინტეგრირება;

- მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის განსაზღვრა ტექნოლოგიური ჯაჭვის ყველა რგოლზე;

- მისაღწევი შედეგების ორიენტაცია და რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე, აგროსასურსათო მწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობა შესაძლებელია განიმარტოს შემდეგნაირად: ეკონომიკური ინტერესების შეთანხმება – არის ორგანიზაციულ – ეკონომიკური ზემოქმედების ღონისძიებათა საკანონმდებლო ერთობლიობა, რომელიც მიმართულია აგროსამრეწველო ბიზნეს-ერთეულების ინტერესების დაახლოებაზე და მიღწევაზე აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებლამდე წინწაწევის პროცესში ყველა მონაწილის მიხედვით.

პროცესის შესაძლო მაქსიმალური შეთანხმება მდგომარეობს წარმოების გაფართოებისა და აგრარული წარმოების პროდუქტების საქონელმომოქცევის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის სტრუქტურირებული ელემენტები და ფაქტორები წარმოდგენილია სქემაზე 1.3.5:



სქემა 1.3.5 ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის პრინციპ-სქემა აგროინდუსტრიაში [ადაპტირებულია რ. შეპიტკოს მიხედვით, 73. გვ.90]

საწარმოთაშორის (დარგთაშორის) სისტემაში ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციის დროს ინტერესების შეთანხმებულობა წარმოადგენს აგროსამრეწველო წარმოების ეფექტურობის უზრუნველყოფის ობიექტურ აუცილებლობას, რომელიც ემსახურება სურსათის წარმოებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების ერთიან ჯაჭვში მონაწილეთა სამეურნეო ერთეულების ინტერესების გათვალისწინების და რეალიზაციის პირობების ფორმირებას. ამისთვის ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ) ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სურსათის საბითუმო ბაზარი.

#### **1.4. აგრარული ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობის შეფასების კრიტერიუმები**

მეურნეობრიობის სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების შინაარსის ახსნა, მისი პირად, ჯგუფურ და სხვა ინტერესებთან ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, მეურნეობრიობის სხვადასხვა სუბიექტების ინტერესების ერთიანობა და წინააღმდეგობა წარმოადგენს მათი შეთანხმებულობის დონის შეფასების, დასაბუთების კრიტერიუმების საფუძვლიან თეორიულ წანამძღვარს.

სასურსათო კომპლექსში შემაჯავლ დარგებსა და საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირების ინტენსიურობის ზრდისა და ამავდროულად მათი განყენებულობის პირობებში აუცილებელი ხდება ეკონომიკურად დასაბუთებული ერთიანი სასურსათო გაერთიანების ფორმირება. კვების პროდუქტების წარმოებაში მონაწილე პარტნიორების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის კრიტერიუმები გამომდინარეობს თვით შინაარსისაგან, განპირობებული მისი დეფინიციით, აღწარმოებითი კონცეფციით, და ამიტომ უნდა გამოავლინოს ეკონომიკური ინტერესების

ყველა სუბიექტებისათვის გაფართოებული აღწარმოების პირობების თანაბარი შესაძლებლობა, მატერიალ-ტექნიკური რესურსების წარმოების დაწყებიდან და დამთავრებული საბოლოო პროდუქციის რეალიზაციით. ეს სავესებით არ ნიშნავს ეფექტურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის სფეროების, საშუალებების მარტივ გადანაწილებას რომელიმე მათგანის სასარგებლოდ (მაგ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტების). საუბარია მათ შორის ურთიერთმოქმედებაზე, როგორც ეკონომიკური მექანიზმებისა, ასევე სახელმწიფო რეგულირებაზე. ამ ორი შემადგენლის მოქნილი და სწორად გამართული ფუნქციონირება ხელს შეუწყობს სურსათის წარმოებაში დასაქმებული პირების დინამიურად და მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობას. შეთანხმებულობის კრიტერიუმს წარმოადგენს სურსათის წარმოებისა და მომხმარებელამდე წინწაწევის ყველა მონაწილის გაფართოებული კვლავწარმოების თანაბარი შესაძლებლობა, ანუ პროცესები ცალკეული მხარის რაოდენობრივი დონის გამოხატულებაში, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: გაფართოებული აღწარმოების თანაბარი შესაძლებლობის პირობები პირველ რიგში ნიშნავს აღწარმოების პროცესის ეკონომიკური წანამდგრების არსებობას, სადაც შემფასებელ კრიტერიუმებად გამოიყენება: დაგროვების ნორმა (კოეფიციენტი), გაფართოების აღწარმოების კოეფიციენტი, ერთობლივი რენტაბელობის კოეფიციენტი და რენტაბელობა კაპიტალის მიხედვით, რომელიც ახასიათებს დაგროვების საკუთარი კაპიტალის არსებობას. ამავდროულად, საქონლის და მომსახურების ბაზარზე ხისტი კონკურენცია უბიძგებს მეწარმეს წარმოების განუხრელი სრულყოფისაკენ: პროგრესული და რესურსმომჭირნე ტექნოლოგიების ათვისება, პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, რასაც თან სდევს ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა. ჩამოთვლილი და სხვა ფაქტორები არის საბაზრო ეკონომიკის ნორმალური მოვლენები, მიუხედავად ამისა, ინვესტორი უნდა იყოს დარწმუნებული დაბანდებული კაპიტალის უკუგებაში, ამიტომ ზემოთჩამოთვლილ მაჩვენებლებთან

ერთად, ეკონომიკური ინტერესების ინდიკატორებად ითვლება: საბაზრო მდგრადობის კოეფიციენტი, გადამხდელუნარიანობა, კრედიტუნარიანობა, ლიკვიდურობა, საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის დონე და სხვა. უდავოა, რომ ჩამოთვლილი მაჩვენებლები ასახავენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და მის უნარიანობას პასუხი გასცეს ყველა მის ვალდებულებებს. თუმცა, მათი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შესაძლებელია იყოს არაეფექტურობის შედეგი არა აღწარმოების პროცესის თვალსაზრისით, არამედ მიღებული მოგების არაეფექტიანი გამოყენებით (მოგების სხვა მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში).

თუ, ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ ეკონომიკური საქმიანობის შემფასებელი პარამეტრების ერთიანობას, დავინახავთ, რომ როგორც დაგროვების ნორმა, ასევე გაფართოებული აღწარმოების ნორმა, რომლებიც გაიანგარიშება დაგროვების ფონდის მთლიანი მოგების საწარმოო კაპიტალთან შეფარდებით, ახასიათებს არამარტო მეურნეობრიობის გარე პირობებს, არამედ მოგების განაწილებას. შედეგად შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როცა დაგროვების ფონდში მიმართული იქნება (მოგების მასის საკმარისობის შემთხვევაში) მისი უმნიშვნელო ნაწილი (მოგების სხვა ფონდში დანაწილების შედეგად), მაშინ შედარებით ხელსაყრელი გარე ეკონომიკური ფონის დროს საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება გართულდება, ამიტომ სიტუაციის შეფასების დროს ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც კრიტერიუმი, ისე მისი განსაზღვრის მაჩვენებელი, ინდიკატორები, რომლებიც ირიბად მოწმობენ სურსათის წარმოების სისტემაში შემავალი სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის რეალიზაციის ხარისხზე.

სამეურნეო პრაქტიკაში გამოყენებადი ერთობლივი რენტაბელობის დონე, როგორც დარგთაშორისი გაცვლების რეგულირების ნორმატივი, უჩვენებს სრული დანახარჯების ერთეულზე საერთო მოგების მიღების სიდიდეს. იქნებ მოგვეჩვენოს, რომ ეს მაჩვენებელი უფრო ობიექტურად ასახავს სურსათის წარმოების პარტნიორების ეკონომიკურ ინტერესებს, მაგრამ სრული დანახარჯები წარმოდგენილია მხოლოდ მოხმარებული

ძირითადი საწარმოო კაპიტალის რესურსის (ამორტიზაციით) ნაწილით. მაშინ, როცა წარმოების პროცესში მონაწილეობს მთლიანად საწარმოო კაპიტალი, რომლის არამარტო განახლება უნდა ხდებოდეს, არამედ შევსებაც. ამ პოზიციიდან გამომდინარე, რენტაბელობის დონე კაპიტალის მიხედვით უფრო მეტად ახასიათებს გაფართოებელი აღწარმოების პირობებს, რადგან ხდება საერთო მოცუბის შეწონვა მთლიან საწარმოო კაპიტალთან (შეფარდება). მართლაც, სრული დანახარჯები ასახავს მხოლოდ მიმდინარე პერიოდს, საერთო აღწარმოების პროცესის შემადგენელს დროში, რომლის განახლება და გაფართოება ითხოვს დიდ კაპიტალდანახარჯებს, რადგან მათი არსებობა წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონირების, მისი ფინანსური მდგრადობისა და ლიკვიდაციის საფუძველს. მაგრამ, ეს მაჩვენელი სურსათის წარმოების ერთიან პროცესში მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესის შეთანხმებულობის ამომწურავი მაჩვენებლების ფუნქციას ვერ შეასრულებს, რადგან იგი არ ითვალისწინებს დანახარჯებს სამუშაო ძალაზე, შრომაზე, რომლებიც შეიძლება გახდეს გადამწყვეტი რესურსების ჩანაცვლების დროს ალტერნატიული ვარიანტების შერჩევისათვის. მოცემული ინდიკატორი განისაზღვრება საწარმოო ურთიერთქმედების პროცესში მიღებული საერთო მიდგომის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულ ერთობლივ საშუალებებთან და დაბანდებული საწარმოო კაპიტალის შეფარდებით.

ამრიგად, სურსათის წარმოების და წინწაწევის ერთიან ჯაჭვში მოქცევა ემსახურება მასში მონაწილე სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების მიღწევისათვის ძალისხმევის შეთანხმებულობას. იგი არბილებს ამ ჯაჭვში მოქცეულ სამეურნეო სუბიექტებს შორის შიდა დარგობრივ კონკურენციას, და პირიქით, ამაღლებს ერთობლივ ძალისხმევას საბოლოო შედეგის მისაღწევად და რაც მთავარია, მათი ინდივიდუალური ინტერესების უფრო მაღალი ხარისხით მიღწევას.

ცნობილია, რომ კონკურენცია ეს არის ურთიერთობაში მონაწილეთა შორის მაქსიმალური ეფექტის მიღწევისათვის, ხელსაყრელი გარიგებებისათვის ბრძოლა. კონკურენცია ხომ ბრძოლაა საბაზრო



ურთიერთობების მონაწილეთა მიერ მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, ან კონკურენცია ეს არის მწარმოებლებს შორის ურთიერთობები ბაზარზე ფასების დაწესებისა და პროდუქციის მიწოდების მოცულობებზე, ასევე მომხმარებელთა ურთიერთობები ფასების ფორმირებისა და ბაზარზე მოთხოვნის რეგულირებისათვის. დარგთაშორისი კონკურენციის მიმართ მისი დახასიათება შეიძლება, როგორც აგროსამრეწველო სისტემაში შემაგალი სუბიექტების (ბიზნეს-ერთეულების) ურთიერთობების ტიპი გაფართოებული აღწარმოების პირობების ფორმირების შესახებ. დარგთაშორისი კონკურენციის სუბიექტების როლში გამოდიან დარგები და სფეროები, რომლებიც მონაწილეობენ სურსათის წარმოებაში და მომხმარებელამდე წინწაწევის ფორმირებაში, რომელთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება არა მარტო საკუთარი წარმოების გაზრდის შედეგად, არამედ გაცვლის მეშვეობითაც. რაზედაც მოწმობს გადამამუშავებელი საწარმოების მცდელობა ნედლეულზე შედარებით დაბალი ფასების დაწესების ხშირი შემთხვევებით, ასევე მომსახურების სფეროების მცდელობა რესურსებზე ფასებისა და ტარიფების ზრდაზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დარგთაშორისი კონკურენცია წარმოდგენილია სხვადასხვა დარგების მეტოქეობით, რომელიც ვლინდება ორი ფორმით: 1. კაპიტალის უკეთეს პირობებში დაბანდება, 2. მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება სხვადასხვა ფორმების და წესების გამოყენებით. ამ ორივე მიდგომას ადგილი აქვს სურსათის წარმოებისა და წინწაწევის პროცესში. კაპიტალის ხელსაყრელ პირობებში დაბანდება შესაძლებელია ხელსაყრელი გარე ეკონომიკური პირობების არსებობის შემთხვევაში. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ როგორც მოწმობს მსოფლიო გამოცდილება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე სოფლის მეურნეობა სულ უფრო სცილდება მის მიერ წარმოებული პროდუქციის საბოლოო მომხმარებელს. ფასების დისპროპორციები, რომლებიც წარმოიქმნება სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის, ინარჩუნებს ზრდად ტენდენციებს, მოსახლეობის დაბალმა მსყიდველობითუნარიანობამ, იაფი კვების

პროდუქტების იმპორტმა, გადამამუშავებელი საწარმოების და ვაჭრობის ფორმების ოლიგოპოლიურ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ სოფლის მეურნეობა დარგთაშორის კონკურენციაში ჯერჯერობით ყველა ქვეყანაში რჩება წაგებული, რაზეც მოწმობს კაპიტალის დაბანდების არათანაბარი პირობები.


დარგთაშორისი კონკურენციის მეორე ფორმას, როგორც მომხმარებლის მოთხოვნების იდენტური პროდუქტების დაკმაყოფილებისათვის მეტოქეობას, განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების მიერ საკუთარი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას და წარმოებული პროდუქციის აღნიშნული საწარმოსთვის „გადასამუშავებლად“ გადაცემას, ასევე აგროსერვისული მომსახურების რიგი ფუნქციების შესრულებას.

აქედან გამომდინარე, აგროსამრეწველო საწარმოთა სისტემა, რომელიც წარმოადგენს ერთიან ტექნოლოგიურ პროცესს, ერთდროულად წარმოადგენს დარგების კონგლომერანტს, რომლებიც ხასიათდებიან მათი კორპორატიული ინტერესებით. კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანა ეხება მათი რაციონალური პარამეტრების დასაბუთებულ შერჩევას და შენარჩუნებას სამეწარმეო პროცესის ყველა სტადიაზე ურთიერთქმედების რეჟიმში და პარტნიორთა ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებით (სქემა 1.4.1).

როგორც სქემა 1.4.1-დან ჩანს, საქონლის წინწაწევის ყოველი სტადია წარმოდგენილია განყენებული ორგანიზაციული ფორმირებით. ყოველ სტადიაზე ხორციელდება საქონლის წარმოება, ამიტომ აგროსამრეწველო პროდუქციის საქონლის წინწაწევის სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საქონლის კონკურენტუნარიანობის პირობების დაკმაყოფილებით.

1.4.1 სქემაზე წარმოდგენილ სისტემათა კრიტერიუმები ახასიათებენ სურსათის წარმოებაში მონაწილე სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობას, ერთიანი აღწარმოების პროცესში მონაწილეთა

ტექნოლოგიური, სამომხმარებლო და ეკონომიკური პარამეტრებით, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს გაცვლის არა ურთიერთსარგებლიანობაზე, არამედ აღწარმოების პირობების განსხვავებულობაზე, მაშინ კი მოხდება წმინდა პროდუქციის გადანაწილება ეფექტურად მეურნეობრიობის ნაკლებად ეფექტურზე.



სქემა 1.4.1 სურსათის წარმოებაში მონაწილეთა ინტერესების შეთანხმების ინდიკატორები

აგროსაწარმოო სისტემაში შემავალი ბიზნესერთეულების ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის სისტემურ შეფასებაზე

მოცემული მიდგომა საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის წარმოების ყველა სტადიაზე კონკურენტუნარიანობა, როგორც გაფართოებული აღწარმოების ძირითადი შემადგენელი, რომელიც შექმნის თანაბარ შესაძლებლობებს და თანაბარი სარგებლიანობის ობიექტურ წანამდგვრებს – ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებულობის კრიტერიუმს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მატერიალურ წარმოებაში, მათ შორის სურსათის წარმოებასა და მომხმარებელამდე წინწაწევის პროცესში მონაწილე სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის მიზანია მასში მონაწილე ყველა სუბიექტის ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება, რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სისტემა უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნების მაღალი ხარისხისა და რაოდენობის სურსათით დაკმაყოფილებას.

სისტემის ჩამოყალიბებაში სამეურნეო სუბიექტებზე არანაკლებ დაინტერესებულია სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება.

სურსათის წარმოების და მომხმარებელამდე წინწაწევის ერთიანი სისტემის ფორმირება საშუალებას იძლევა სამი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ინტერესთა რეალიზაციის: ინდივიდი, სურსათის წარმოებასა და წინწაწევის ერთიან ჯაჭვში დასაქმებული საწარმო და სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია და დაინტერესებულია მოსახლეობის სრულფასოვანი, მაღალი ხარისხის და ფართო ასორტიმენტის პროდუქციის მიწოდებაზე, ანუ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

## 2. სასურსათო ბაზარი მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის სისტემებში და სტრუქტურებში

### 2.1 სასურსათო ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მიზნები, ფორმები და მექანიზმები

სასურსათო ბაზარი და მისი ფუნქციონირების მექანიზმები მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, აგრარული წარმოების და მთლიანად სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სასურსათო ბაზრის გაჯერების პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელ პირობას.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების რეგულირებას საფუძველი ჩაუყარა ჯეიმს მეინარდ კეინსის ნაშრომმა სახელწოდებით - „დასაქმების საერთო თეორია, პროცენტი და ფული“. [57]. დასახელებულ ნაშრომში ჩამოყალიბებულმა კონცეფციებმა შექმნა ეკონომიკის რეგულირების პრაგმატული ღონისძიებებისა და პრაქტიკული განხორციელების თეორიული ბაზა, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, უფრო მოგვიანებით კეინსის ეს იდეები შედარებით მკაცრ და განვითარებულ ფორმებში საფუძველად დაედო ევროკავშირის ქვეყნების ერთიან აგრარულ პოლიტიკას.

განვითარებული ქვეყნის აგრარული პოლიტიკა გამომდინარეობს ორი პოსტულატიდან: პირველი - სასურსათო ბაზარი არ წარმოადგენს თვითრეგულირებად სფეროს (რაც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ) და საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას მისი რეგულირების აუცილებლობიდან გამომდინარე. ეს აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ აგრარულ ბაზარს შესწევს უნარი, შეასრულოს თვითრეგულირების ფუნქცია მხოლოდ შეზღუდულ მასშტაბებში და მეორე - სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი არ არის თვითკმარიანი. ითვლება, რომ დრო, როცა სოფლის მეურნეობა იყო ინდუსტრიალიზაციის პროცესის დონორი, დიდი

ხანია გავიდა, ახლა კი ქვეყნების ეკონომიკის პოსტინდუსტრიული განვითარება ითხოვს მისი ყველა დარგის, განსაკუთრებით კი აგრარული სფეროს დაბალანსებას, მათ შორის სოციალური პრობლემის გადაწყვეტას, ანუ მთლიანად სოფლის მეურნეობის პროცესში თანამშრომლობას.

სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების კანონზომიერება განპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის შედარებით კონსერვატიულ დარგს და ხასიათდება დაგვიანებული რეაქციით ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტექნო-ტექნოლოგიური სიახლეებისადმი. გარდა ამისა, ის დღევანდელ პირობებში ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველია კომერციული კაპიტალისათვის. ამავდროულად, ხასიათდება კაპიტალდაბანდებიდან უკუგების დაბალი მაჩვენებლით, ანუ ხასიათდება უკუგების შედარებით ხანგრძლივი პერიოდით და სხვა სპეციფიკური თავისებურებებით. ეს და სხვა თავისებურება ყველა ქვეყანაში მეტნაკლებად არასაინტერესოს ხდის სოფლის მეურნეობის დარგს, როგორც ბიზნესსაქმიანობის სფეროს და ამის გამო, სახელმწიფოები იყენებენ ამ დარგის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა კომპლექსს: ფინანსური მექანიზმების ნაირსახეობებს (სუბსიდიები, ფასების რეგულირება, შეღავათიანი დაკრედიტება და სხვა.), პირდაპირ ინვესტირებას დარგის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში, წარმოებისა და ექსპორტის წახალისების სხვადასხვა ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ფორმებს და მეთოდებს.

ქვეყნის აგრარული წარმოების მხარდაჭერის პოლიტიკა, როგორც ამაზე მოწმობს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, უნდა ხასიათდებოდეს უწყვეტობით და ძლიერდებოდეს ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობის განვითარების კვალობაზე. რასაკვირველია, ღონისძიებათა ერთობლიობა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტებისაგან. როცა საუბარია ქვეყნის გარდამავალ ეტაპზე მყოფი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებათა

კომპლექსზე, მათ რიცხვში პირველი ხარისხის მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას, რომელიც ემსახურება როგორც თვით აგრარული სფეროს საწარმოების რესურსული პოტენციალის ამოქმედებას, ისე საკმაოდ აქტიურ როლს ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის და საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების სამეწარმეო აქტივობის გაძლიერებაში. ყოველივე ზემო აღნიშნული უნდა აისახოს ქვეყნის აგრარული სფეროს განვითარების სტრატეგიულ პოლიტიკაში და მისი პრაქტიკაში გატარების საუკეთესო ინსტრუმენტად აღიარებულია ცალკეული მიმართულებების პროგრამული მართვის სისტემის რეალიზაცია. მოცემული პროგრამების ფორმირებასა და რეალიზაციაში ცენტრალური ხელისუფლების გარდა, აქტიურად უნდა ჩაერთოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და რასაკვირველია, ამ პროცესის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი როლი აკისრიათ თვით აგრარული სფეროს სამეურნეო სუბიექტებს.

ამ თეზისის პრაქტიკაში გატარების წინა პირობაა ქვეყნის მმართველობით ღონეებს შორის უფლებამოსლებისა და პასუხისმგებლობის რაციონალური გადანაწილება. ისევ დავეყრდნობით პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის შედეგებს და ავლნიშნავთ, რომ ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებათა სისტემის გასატარებლად მხოლოდ ასეთი წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ შესაძლებელი ხდება ცენტრის, რეგიონის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო ბიზნესის ინტერესების შეჯერება (როგორც ამაზე ვისაუბრეთ 1.3 თავში) და წარმართვა საბოლოო მიზნის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ასეთი ბალანსის უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესს საკმაოდ მოკლე ისტორია აქვს და სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების არსებობის გამო, საბაზრო ურთიერთობების მართვისა და წარმოების კულტურა არ არის განვითარებული იმ დონემდე, როგორც ეს არის ასეთი ურთიერთობების

პრაქტიკული გამოცდილების ქვეყნებში, წარმატებით ვერ განხორციელდებოდა. აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების ამ ეტაპზე საკმაოდ დაბალია მუნიციპალიტეტების ჩართულობა სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრობლემების სრულყოფასა და განვითარებაში. ასევე, მუნიციპალური მართვა არ ხორციელდება შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც შეძლებენ გაუწიონ ოპერატიული დახმარება სასოფლო-სამეურნეო ერთეულებს წარმოების პროცესების სწორად წარმართვაში.

როგორც პირველი თავის მესამე პარაგრაფში განვიხილეთ, აგროსამრეწველო სფეროს მართვის, როგორც სისტემის ჩამოყალიბება ხელისუფლების ვერტიკალის ყველა დონის მონაწილეობით, ემსახურება ინტერესთა ბალანსის დამყარებას, ურთიერთპასუხისმგებლობის და ურთიერთშეთანხმებულობის გაძლიერებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს, რეგიონის, ადგილობრივი ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კერძო ბიზნესის და სოფლის ტერიტორიების ინტერესების შეთანწეობას. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარეშე სოფლისა და სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინება, მოსახლეობის ადგილობრივი წარმოებული სურსათით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება გახდება შორეული პერსპექტივა. ასევე, საკმაოდ გართულდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დამყარება და ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის დაძლევის პრობლემის გადაწყვეტა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს როლი აგრარული წარმოების მართვაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ფუნქციებით, თუნდაც ამის ქვეშ იგულისხმებოდეს საკუთრივ ეკონომიკური ფუნქციების ფართო სპექტრი. აგრარული სექტორის სახელმწიფოს მიერ ეფექტური მართვა გულისხმობს მინიმუმ ოთხი სფეროს ურთიერთქმედებას: პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ გარემოს და ეკოლოგიის. ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევაში მმართველობითი გადაწყვეტილების მაქსიმალური



რეალიზაციის მიუხედავად, ვერ იქნება მიღწეული სასურველი შედეგი და ვერ განხორციელდება აგრარულ სფეროში მეურნეობის პოტენციალის ამადლებისათვის დასახული მიზნები.

საბაზრო ეკონომიკის განვითარება, მისი პრინციპების დამკვიდრება სურსათის წარმოებასა და მომხმარებელამდე წინწაწევის პროცესი, მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს, განსაკუთრებით მისი უმნიშვნელოვანესი სფერო - სოფლის მეურნეობა, სადაც მოსახლეობის მენტალიტეტი ჯერ კიდევ ჩამორჩება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის მოთხოვნებს. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ჩვენი ქვეყნის სოფლის მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილი იმყოფება საბჭოური იდეოლოგიის ტყვეობაში, ჯერ კიდევ არ არის მზად ადექვატურად უპასუხოს საბაზრო ურთიერთობების კანონების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, დარგის მართვაში არასწორად გატარებული მოკლევადიანი ღონისძიებები (რომლის მაგალითები მოგვეპოვება ქართული აგრარული პოლიტიკის ღონისძიებათა სისტემაში) აძნელებენ და ახანგრძლივებენ სოციალისტური მეურნეობრიობის ურთიერთობების ელემენტებისაგან გათავისუფლების პროცესს. შედეგად, თანამედროვე „ფერმერები“ არამარტო ფორსმაჟორული და სხვა არასახარბიელო სიტუაციის დროს, არამედ ყველა სხვა შემთხვევაშიც კი აპელირებენ სახელმწიფოსთან და ითხოვენ ბიუჯეტის ხარჯზე ყველანაირი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას, რაც ეკონომიკურად და სოციალურად გაუმართლებელია, ვინაიდან წახალისების აღნიშნული ფორმები ახანგრძლივებს აგრარულ სფეროში დასაქმებული ადამიანების საბაზრო ურთიერთობებში ადაპტირების პერიოდს.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან, ნათლად იკვეთება ჩვენი მიდგომა, არ ვიზიარებთ უკიდურეს პოზიციას (რომელიც თან ახლავს ლიბერალურ თეორიას), რომ აგრარული წარმოების აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ წმინდა საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობის თავისებურებებიდან

გამომდინარე, კერძო კაპიტალი ნაკლებად არის დაინტერესებული ისეთი დარგით, რომელიც ითხოვს მის დიდ მოცულობას და ხასიათდება უკუგების შედარებით დიდი პერიოდით. ცნობილია, რომ კაპიტალის მეპატრონეები საკუთარ ფინანსურ რესურსებს მთლიანად არ აყენებენ გარდაუვალი საფრთხის წინაშე. ეს არის ერთ-ერთი არგუმენტი იმისა, რომ სახელმწიფომ თავისი ეკონომიკური პოლიტიკის წინა ხაზზე უნდა წამოწიოს სოფლის მეურნეობის განვითარება და გაუწიოს მას ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ თანადგომასთან ერთად ქმედითი ფინანსური მხარდაჭერა. მხოლოდ ასეთი დაბალანსებული მიდგომა შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის წარმოებაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას. ყველა შემთხვევაში, ფინანსური და ეკონომიკური მხარდაჭერა აგრარული სექტორისადმი განპირობებულია ქვეყნის საბიუჯეტო შესაძლებლობებით. აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია ზოგიერთი ექსპერტის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის წარმოების ტოტალური დაფინანსება, რაც გაუმართლებელია სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების სტიმულირების თვალსაზრისით და შეუძლებელია ქვეყნის ბიუჯეტის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე. მოცემული ქმედების გამართლების მიზნით, ზოგიერთი ეკონომისტის თუ ექსპერტის მიერ კეთდება არაკორექტული მინიშნებები, რომ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ხორციელდება აგრარული პროდუქციის მწარმოებლების ფინანსური მხარდაჭერა. ვფიქრობთ, რომ არაკორექტულია შედარებითი ანალიზის დროს არ გაითვალისწინოთ ის რეალობა, რომლებიც განასხვავებენ აშშ-ს, სხვა განვითარებულ ქვეყნებს და საქართველოს საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და ფუნქციონირების ისტორიას. ამავდროულად გასათვალისწინებელია, თვით აგრარული წარმოების მექანიზმების სრულყოფის ტენდენციები, ფინანსური მხარდაჭერის ფორმები, მეთოდები და ეტაპები. დღევანდელ პირობებში ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში

ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება მეტწილად სურსათის ექსპორტის სტიმულირებისათვის.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განვითარებულ ქვეყნებში აგრარული სექტორის მხარდაჭერა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გრძელვადიანი პროცესის შედეგს, რომელიც ყოველთვის ხორციელდებოდა და ითვალისწინებდა ყველა ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასის მენტალიტეტს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარულ სექტორზე სახელმწიფოს ზემოქმედების ფორმები უპირველეს ყოვლისა, ვლინდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში და მისი პრაქტიკის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, აგრარული სფეროს სამეურნეო სუბიექტების ნორმალური ფუნქციონირების ჩარჩოს ფორმირებას, მასზე კანონმდებლობით დაშვებული კონტროლის დაწესებას და ცივილიზებული კონკურენციის პირობების შექმნას. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი აგრარული სექტორის განვითარებაში მდგომარეობს საკუთრების დაცვის და მეურნეობრიობის ყველა ფორმის განვითარებაში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის ხელშეწყობაში, შეკვეთებისა და კონტრაქტების დამკვიდრებაში და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი მიზნობრივი, კომპლექსური პროგრამების (სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვა, მეცნიერული კვლევები, სელექცია, ინფრასტრუქტურის ელემენტების გაფართოება და ა.შ.) შემუშავებასა და მათი რეალიზაციის ორგანიზებაში. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგულირების ბერკეტები უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ დროში ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, აგრარულ სფეროში წარმოების მეურნეობრიობის ფორმებსა და სტრუქტურას, მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონეს. ყოველივე ეს და სხვა სპეციფიკური პირობები გასათვალისწინებელია აგრარული წარმოების რეგულირების პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევისას.

განვითარებული ქვეყნების აგრარული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს გლობალიზაციის შედეგად აღმოცენებული პრობლემების გააზრებას და გადაწყვეტის პირობებს, კერძოდ: ინოვაციურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, სოციალური, რომელიც მოიცავს ყოველი ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მისი ჯანმრთელობის დაცვას, განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, კულტურის განვითარებას და სხვა. ზემოაღნიშნულის პრაქტიკაში გატარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობების განვითარების ხარისხიდან გამომდინარე, ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, საბაზრო ურთიერთობების განვითარება სოფლად და მისადმი ხელშეწყობა უნდა ითვალისწინებდეს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტას.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, თუ რამდენად რეგულირებულია აშშ-ს და ევროკავშირის ქვეყნებში შიდა სასურსათო ბაზარი, ამ ქვეყნებში პრაქტიკულად შეუძლებელია შეამჩნიო საბაზრო თვითრეგულირების კვალი. ქვეყნისა და აგრარული სექტორის განვითარების მიღწეული დონის პირობებში, სავსებით ნათელი გახდა ის, რომ აგრარული ბაზარი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე არ შეიძლება იყოს თავისუფალი, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ადგილს იკავებენ ხელოვნური მონოპოლიები, სპეკულანტები და სხვა დაჯგუფებები, რაც ფართოდაა გავრცელებული მრავალ ქვეყანაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში.

პრობლემებში გარკვეული სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში შიდა ფასები ფერმერული წარმოების პროდუქციაზე შედარებით მაღალია, ვიდრე საექსპორტო ფასები, ამავდროულად, ექსპორტის განვითარებისა და მასში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით ფერმერებს ეძლევათ სპეციალური სუბსიდიები ფასნამატების სახით. რის შედეგადაც, მსოფლიო ბაზარზე მიიღწევა ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე და ამავდროულად ფერმერები სრულად ინაზღაურებენ

სხვაობას წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის. ადვილი მისახვედრია, რომ ეს მეთოდი პირდაპირ ეწინააღმდეგება კონკურენციის თანამედროვე კონცეფციებს, თუნდაც იმის გამო, რომ ეს კონცეფციები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ თეორიულ აბსტრაქციას და ასეთ მოდელებს არანაირი კავშირი არ აქვთ აგრარული პოლიტიკის რეალურ პრაქტიკასთან.

დასავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებულია და ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო მხარდაჭერის ოთხი ძირითადი მიმართულება: 1. პირდაპირი საბიუჯეტო მხარდაჭერა; 2. სოფლის ტერიტორიების განვითარების მხარდაჭერა; 3. საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება; 4. საერთო სახის სახელმწიფო დახმარებები. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ დროთა განმავლობაში იცვლება საბიუჯეტო მხარდაჭერის ფორმები და მოცულობები სასოფლო – სასოფლო სამეურნეო წარმოების დარგების მიხედვით.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების და თვით სოფლის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ კარგად გააზრებული აგრარული პოლიტიკის მეშვეობით, რომლის ფორმირება და რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს მოცემულ დარგთან სხვადასხვა სახით დაკავშირებული მმართველობითი ორგანოების კოორდინირებული ფუნქციონირების საფუძველზე. საუბარია, სოფლად ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს არამარტო ამ სფეროში სოფლის ფუნქციების განვითარებას, არამედ სასურსათო რესურსების წარმოების აღორძინებას.

ამრიგად, სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინებისადმი სწორი მიდგომა მდგომარეობს საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებაში, რაც არ გამორიცხავს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი მიმართულებების რეგულირებაში. როგორც ავლნიშნეთ, უმთავრესი მიზეზი საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენისა, არის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განუვითარებლობა,

რომლებიც მთელ მსოფლიოში ასრულებენ გადამწყვეტ როლს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში. სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინების ღონისძიებათა კომპლექსში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა მიეკუთვნოს აგრარული მეურნეობრიობის თანამედროვე პროგრესულ ფორმას, კერძოდ, საუბარია მსხვილ საწარმოებზე, რომელთა მიზანია ყველა ბიზნესერთეულის მოგების მაქსიმიზაცია. როგორც ცნობილია, მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული სამეწარმეო ერთეული იბრძვის წარმოების მოცულობის ზრდისკენ და დანახარჯების შემცირებისკენ. ასეთი სახის წარმოების ორგანიზაცია ეფუძნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისკენ და სხვა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების გატარებისკენ სწრაფვა საბოლოო ჯამში განაპირობებს წარმოების მაღალ პროდუქტიულობას. ასეთი ორგანიზაციული ფორმები, როგორც წესი იქმნება კოოპერირების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრირებისა და სხვადასხვა სახის დარგობრივი კავშირების ფორმირების საფუძველზე. მხოლოდ მსგავს გაერთიანებებს შესწევთ უნარი, გადაწყვიტონ სურსათის წარმოებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა: კოოპერაციის გარეთ მყოფი ფერმერული და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ერთეული მეურნეობის ნაწილობრივი დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური და წარმოების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და ა.შ. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობები ოჯახურ (ფერმერულ) მეურნეობებთან შედარებით. ასეთი სახის საწარმოები, როგორც წესი, ფლობენ დიდი მოცულობის საკუთარ ფინანსებს, გააჩნიათ საბანკო კრედიტების და სხვა წყაროებიდან ინვესტიციების მოზიდვის საშუალება. ხშირ შემთხვევაში თვითონვე საკუთარი თავისუფალი სახსრებით აფინანსებენ მათთან კოოპერაციული ხელშეკრულებით მყოფ ინდივიდუალურ, ფერმერული მეურნეობის სამეურნეო სუბიექტებს. ისინი ქმნიან საკუთარ საწარმოო და სოციალურ

ინფრასტრუქტურას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მთლიანად მოსახლეობისათვის. მეურნეობრიობის აღნიშნული ფორმები უზრუნველყოფენ საწარმოო ოპერაციების მექანიზაციას, ინოვაციური ტექნოლოგიების, ახალი სელექციური ჯიშების დანერგვას მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, ქმნიან საკუთარ შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოებს, უშვებენ პროდუქციას დიდი მოცულობით და შედარებით დაბალი დანახარჯებით. ყოველივე ამის შედეგად, იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე და მათი დასაქმება ხდება არა უშალოდ ვიწრო სპეციალიზაციით სოფლის მეურნეობაში, არამედ მომსახურების სფეროშიც, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. როგორც ცნობილია, განვითარებულ ქვეყნებში მიუხედავად ფერმერული მეურნეობების სიმრავლისა, პარალელურად ფუნქციონირებენ კოოპერატიული ფერმების გაერთიანებები, არასაოჯახო ტიპის მსხვილი კომერციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა სახის აგრარული წარმოების ფორმირებები. [51].

ამრიგად, აგრარული წარმოების რეგულირების ღონისძიებები უნდა იყოს მიმართული ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორცაა: ეკონომიკური ურთიერთობების პარიტეტების დაცვა, სასოფლო-სამეურნეო დარგებისა და სახეების ფინანსური მხარდაჭერა (დოტაციები, სუბსიდიები, სახელმწიფო კრედიტები), სადაზღვევო სისტემის აქტიური დანერგვა, სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალური დაცვა. იმის გამო, რომ ფაქტიურად არ არის ჩამოყალიბებული რეგიონული მართვის ორგანოების შესაბამისი სამართლებრივი და ფინანსური უფლებამოსილება აგრარული ურთიერთობების რეგულირების სფეროში, ცენტრალურმა ორგანოებმა და მუნიციპალიტეტებმა მთლიანად უნდა გაინაწილონ სოფლის მეურნეობის წარმოებისა და სოფლის აღორძინებასთან დაკავშირებული ღონისძიებათა კომპლექსის გატარების ფუნქციები.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, ქართული სახელმწიფო წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების მართვის პროცესის სრულფასოვან მონაწილეს, რადგან, თეორიულად და პრაქტიკულად დასაბუთებულია, რომ როგორც ვიცით სოფლის აღწარმოების ყველა პრობლემების გადაწყვეტა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძალისხმევით შეუძლებელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში წვრილ საოჯახო (ფერმერულ) მეურნეობებს უკავია წარმოების მოცულობის მიხედვით 90-97%-ამდე, რომელთა უდიდესი ნაწილი არის დაბალშემოსავლიანი ან ზარალიანი.

ეს მდგომარეობა აუცილებელს ხდის სოფლად მეურნეობრიობის ფორმების განვითარებას მსხვილი აგრარული სამეწარმეო ფორმების ჩამოყალიბების მეშვეობით. სოფლის მეურნეობის წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესების შექმნისათვის საჭიროა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესის გაძლიერება, რომელიც მოიცავს წარმოების და სოციალური ინფრასტრუქტურის ერთიანობას, საბაზრო ინსტიტუტების ფორმირებას და ა.შ. განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ წარმატებას აღწევენ იქ, სადაც ტარდება ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ერთიანი (კომპლექსური) აგრარული პოლიტიკა.


დაუუბრუნდეთ ბაზრის რეგულირების საკითხს და გავისხენოთ რა არის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება? თავიდან იგი განიხილებოდა როგორც წმინდა ანტიკრიზისული ღონისძიება. ბაზრის რეგულირება ვითარდებოდა სურსათის ბაზრის ფუნქციონირების თეორიული ანალიზის გათვითცნობიერების კვალობაზე. სასურსათო ბაზრის რეგულირება, როგორც თვით სოფლის მეურნეობის დარგის ნაწილი, ხშირ შემთხვევაში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების აგრარული და სასურსათო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი ხდებოდა.

ამავდროულად, პირველი სახის ამოცანა მდგომარეობს ფერმერული ფასების მერყეობის შემსუბუქებაში, მეტნაკლებად მდგრადი



შემოსავლებისა და გაფართოებული აღწარმოების დაფინანსების პირობების შექმნაში. განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ აშშ-ში ამ დებულების პრაქტიკული გამოვლენა მდგომარეობს მინიმალური, გარანტირებული ფასების დადგენაში და ფასების დადგენილ დონეზე დაბლა დაცემისას წარმოებული პროდუქტის სახელმწიფოს მიერ ნაწილის შექმნაში (რომელიც ექვემდებარება შენახვას, პირველ რიგში მარცვლეული), მეორე ესაა მიზნობრივი ფასის კონცეფციის გამოყენება, ტიპური კომერციული წარმოების რაიონების (ზონების) მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებით, რათა ყოველ შემთხვევაში ამ მიზნობრივმა ფასმა გადაფაროს წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოს რენტაბელობის გარკვეული დონე. ბაზარზე ფასის ზრდის შემთხვევაში, მოქმედებაში შემოაქვთ სახელმწიფოს სასაქონლო ინტერვენციის უკუმექანიზმი – საქონელი, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს განკარგულებაში გაიტანება ბაზარზე. ზოგადად ეს მექანიზმი საკმაოდ ცნობილია ეკონომიკურ ლიტერატურაში და მისი გრაფიკული გამოხატვა შეიძლება შემდგენიარად (სქემა 2.1.1).

ყველა ქვეყანა, თავისი შიდა აგრარული პოლიტიკიდან გამომდინარე, ირჩევს მისთვის მისაღებ რეგულირების ფორმებსა და მეთოდებს. ამავედროულად, ყოველთვის წინ აყენებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ფასისმიერ და ფინანსურ სტიმულირებას, რომელიც ძირითადად მიმართულია ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის რეალიზაციისათვის ხელშეწყობაზე.



სქემა 2.1.1. სახელმწიფოს ჩარევა ბაზარზე საქონელზე ფასების ზრდისას [22]

ევროკავშირის ქვეყნებში სურსათის ბაზრის ფასისმიერი რეგულირება განსხვავდება ამერიკული მიდგომისაგან, რომელიც სქემატურად გამოსახულია სქემაზე 2.1.1. [64, გვ. 41]. თუმცა ამ მექანიზმში არ არის გათვალისწინებული საგარეო ვაჭრობა, რომელიც აშშ-ზე არანაკლებ განვითარდა დასავლეთ ევროპაში. დღეს ამ ქვეყნებში სურსათის ჭარბი ნაწილის გამოყენება ქვეყნის შიგნით გახდა შეუძლებელი, ამიტომ ექსპორტის წახალისებაზე ზრუნვა აქტუალური საკითხია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ყველა ქვეყანა ითვალისწინებს შიდა პირობებს და ისე ირჩევს სასურსათო ბაზრის რეგულირების საკუთარ გზას, ფორმებსა და მეთოდებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სკანდინავიის ქვეყნების მაგალითი. ყველა ამ ქვეყანაში სურსათის ბაზრებზე ბატონობენ კოოპერატივები, რომლებიც აკონტროლებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, მისი გადამუშავების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შესასყიდი ფიქსირებული ფასების გამოყენების მაგალითისთვის უპრიანია შვედურ მოდელზე ყურადღების შეჩერება. ამ ქვეყანაში კოოპერატივების კავშირებს გააჩნიათ სოფლის მეურნეობის მართვის საკუთარი ინსტრუმენტები, რომლებიც ახორციელებენ დანახარჯების, ბაზრის მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების მონიტორინგს, ამზადებენ კოოპერატივისა და მთავრობების სახელმძღვანელოდ შესაბამის მოხსენებებს შესასყიდი ფასების დონის რეკომენდაციისათვის. ამის შემდეგ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კოოპერატივების საბჭოებს შორის. აღნიშნული შეთანხმება კი შედის პარლამენტში და იღებს ნორმატიული აქტის სახეს.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობაში, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, შრომის განსაზოგადოების პროცესი მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს განსხვავებულ ფორმებში. სოფლის მეურნეობა ნახევრად ნატურალური ყოფიდან გამოსვლის პროცესში ერწყმოდა კაპიტალისტურ სამყაროს. იგი პირველ რიგში ექცეოდა სავაჭრო კაპიტალის ბატონობის ქვეშ, შემდეგ კი ფინანსურ და სამრეწველო კაპიტალის დაქვემდებარებაში. ამ პროცესის პირველად ფორმებს წარმოადგენდა პროდუქციის შესყიდვები. შემსყიდველი ერთდროულად იმყოფებოდა მყიდველთან უშუალო კონტაქტში, რომლის დროსაც იგი ერთდროულად გადაცემდა უშუალო მწარმოებელს მზა პროდუქციის მომხმარებლების სურვილებს (ხარისხი, რაოდენობა, დრო და ა.შ). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელსა და მათ საბოლოო მომხმარებლებს შორის დროთა განმავლობაში ჩნდებოდა უამრავი შუამავალი, რაც იწვევდა ე.წ **ფასისმიერი ჯაჭვის** წარმოქმნას და ამ ჯაჭვში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის ფასის ხვედრითი წილის შემცირებას მოხმარების საბოლოო ფასის სტრუქტურაში. ეს ტენდენცია მუდმივ განვითარებაშია. განსაკუთრებით ინტენსიურად ეს პროცესი მიმდინარეობს ქვეყნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. რაც უფრო მეტად იზრდება შუამავალთა რაოდენობა „მინდორი – მაღაზია“, მით უფრო მცირდება ფერმერის ფასის ხვედრითი წილი საბოლოო პროდუქციის ღირებულების სტრუქტურაში (ფასში). მიუხედავად ამისა, **მოცემულ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამეურნეო სუბიექტები რჩებიან იურიდიულად და მეურნეობრივად დამოუკიდებელი, ერთგებიან ინტეგრაციულ პროცესებში კონტრაქტების მეშვეობით, ინარჩუნებენ სრულ დამოკიდებული რესურსების მოხმარებისა და პროდუქციის გასაღების საკითხებში, ტექნოლოგიების, სელექციის, ინფორმაციის და ა.შ სამეურნეო საქმიანობაზე გავლენის მრავალ მიმართულებაზე.**

## 2.2 სურსათის წარმოებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების სისტემები და სტრუქტურები

როცა ვმსჯელობთ მოსახლების სურსათით უზრუნველყოფის პრობლემებზე, საკმარისი არ არის მისი წარმოებისა და მოსახლეობისათვის მიწოდების პროცესის მთლიანი ჯაჭვის მხოლოდ პირველ რგოლზე – სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაზე ყურადღების კონცენტრირება. ცნობილია, რომ აგრარული წარმოების პროდუქციის დაახლოებით 40% საბოლოო მომხმარებელს მიეწოდება გადამუშავებული სახით, რომლის პროცესში მონაწილეობს არაერთი სპეციალიზირებული სამეურნეო სუბიექტი (ნედლეულის მიწოდება, დამუშავება, გადამუშავება, დაფასოვება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა).

მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდების პროცესის ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო მისი სრულყოფა იმ მიმართულებით, რომ მიწოდებული კვების პროდუქტები აბსოლიტურად უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებელს. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში დიდი ხანია აღიარებულია კონცეფცია, რომ სურსათის მიწოდება უნდა ხდებოდეს თანამედროვე ცივილიზებული, ორგანიზაციული სისტემებისა და სტრუქტურების მეშვეობით, მათ შორის პოპულარულია სურსათის საბითუმო ბაზარი, რომელიც გულისხმობს სურსათის წარმოების პირველი რგოლიდან (სასოფლო-სამეურნეო წარმოება) მომხმარებელამდე მიწოდების ჩათვლით ერთიან ჯაჭვში მოქცევას. მომხმარებლისათვის სურსათის მიწოდების ასეთი ფორმის არსებობის შედეგად იქმნება მთელი რიგი უპირატესობები, როგორც სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილეთათვის, ასევე მომხმარებლისთვის. ამდენად, იგი დღეს გახდა

მრავალი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშველოვანესი ფაქტორი, კერძოდ, იძლევა შესაძლებლობას: მიწოდების რყევის ნიველირების, ხარისხის კონტროლისა და სურსათის მიწოდებას საწყისი ეტაპიდან მის საბოლოო ეტაპის ჩათვლით, ფასების დონის უკონტროლო ზრდის თავიდან აცილების და სხვა მრავალი დადებითი ეფექტის მქონე შედეგების, სურსათის რეალიზაციაში მონაწილეების მიერ მიღებული შემოსავლების სრული ლეგალიზაციის, სურსათის მიწოდების სტაბილურობის და ხელმისაწვდომობის რყევის თანმდები სოციალური დაძაბულობის თავიდან აცილების და ა.შ. აქ საუბარია ეროვნული საბითუმო სასურსათო ბაზრის ისეთი სისტემის ფორმირებაზე, რომელიც მოიცავს ანალოგიური ბაზრების ქვესისტემებს რეგიონული ფორმირებების სახით. ამრიგად, სურსათის ერთიანი ეროვნული საბითუმო ბაზარი გულისხმობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის უშუალო მწარმოებელს, შემსყიდველს, გადამმუშავებელს, საბითუმო, საცალო ვაჭრობას და მომხმარებელს შორის მათი სასაქონლო - ფულად ურთიერთობების ცივილიზებულ და ურთიერთსასარგებლო რეგულირებას.

თუ ვიმსჯელებთ დღეისათვის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებით, შეიძლება იმის მტკიცება, რომ დღევანდელ საქართველოში სასურსათო ბაზრის გაჯერება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ წარმოების ორგანიზაციის ფერმერული ხასიათის მეურნეობრიობაზე დაფუძნებით შეუძლებელია. ეს ხაზგასმით აღსანიშნავია, რადგან დღეს განვითარებული ქვეყნების სასურსათო ბაზრების გაჯერების 70%-ზე მეტი მოდის მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, რაზეც მეტყველებს ცხრილი (1.2.1), რომელიც მოცემულია დისერტაციის პირველი თავის მეორე პარაგრაფში.

მოკლედ დავახასიათოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. როგორც უკვე ითქვა, მწარმოებელსა და ბაზარს შორის თანამედროვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოძრაობის პროცესში მონაწილეობს სპეციალიზებული ფირმების მთელი

ინდუსტრია (სპეციალიზებული სტრუქტურები, პროდუქციის შეგროვება, გადამუშავება, დახარისხება, შეფუთვა და შენახვა, ტრანსპორტირება, სურსათით საბითუმო და საცალო ვაჭრობა). მოცემულ სიტუაციაში კვების პროდუქტების უშუალო მწარმოებელს (ფერმერს), სასოფლო-სამეურნეო საწარმოს არანაირი კონტაქტი არ აქვს კვების პროდუქტების საბოლოო მომხმარებელთან, რაც აძლიერებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალო მწარმოებელზე გარედან ზემოქმედების შესაძლებლობას. წარმოებული სურსათის მომხმარებელზე მიწოდების ამდაგვარი ჯაჭვის ფუნქციონირების პროცესი არის ობიექტური და ითხოვს მისი მართვის პერმანენტულ განვითარებას. **ინტეგრირებული სასურსათო ფირმები** თავის თავზე იღებენ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოძრაობის მთელ ჯაჭვის მიხედვით სურსათის ხარისხზე კონტროლის პასუხისმგებლობას და მომხმარებლისთვის სტანდარტიზირებული მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება.

ამრიგად, **ვერტიკალური ინტეგრაცია ნიშნავს ფირმის (ინტეგრატორის) კონტროლის დაწესებას სურსათის წარმოებისა და გასაღების ორ ან რამდენიმე თანმიმდევრულ სტადიაზე.** მოცემულ შემთხვევაში „წარმოებასა“ და „გასაღებაში“ იგულისხმება ყოველგვარი პროცესი, რომლის მიმდინარეობის დროს პროდუქციის თავდაპირველი ღირებულება იზრდება მის წინწაწევაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯების პროპორციულად.

აგროსამრეწველო სექტორში ასეთი ინტეგრატორების როლს ასრულებენ გადამამუშავებელი ან სავაჭრო ფირმები, რომლებიც ბაზრის მოთხოვნებისადმი სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ კონტროლს უქვემდებარებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ფირმებს. ინტეგრატორი ფირმა აფორმებს გრძელვადიან ხელშეკრულებას სოფლის მეურნეობის სამეურნეო სუბიექტებთან ან პირველად დილერებთან. კონტრაქტში მკაცრად ხდება პროდუქციაზე მოთხოვნების პარამეტრების გაწერა, მისი წარმოების ტექნოლოგიის შესრულების პირობები, მიწოდების ვადები და ფასები. ზოგ შემთხვევაში

კონტრაქტებში აისახება მწარმოებლისათვის რესურსების მიწოდების პირობები. მოცემულ სიტუაციაში ფერმერი კარგავს კონტროლს საკუთარ პროდუქციაზე, ან მისი წარმოებისა და გასაღების პროცესებზე. მას არ შეუძლია შეცვალოს ტექნოლოგია, წარმოების საშუალებების შექმნის წყაროები და მყიდველები.

ჩამოთვლილი და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბება ხელს უწყობს მემცენარეობის და მეცხოველეობის ახალი სელექციური ჯიშების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას წარმოებაში. საბოლოოდ ამ მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება იწვევს შრომის ეფექტიანობის ამაღლებას და სხვა პროგრესულ მოვლენებს ქვეყნის აგრარულ სექტორში.

არსებობს კარგად ცნობილი მეორე ჯგუფის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ აგრარულ სექტორში ვერტიკალური ინტეგრაციის განვითარებას. ეს პროცესი დაკავშირებულია აგრარული წარმოების სპეციფიკასთან: წარმოების გრძელვადიანი ციკლი, ბუნებრივი პირობები, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალი ელასტიურობა, დაბანდებული კაპიტალის შედარებით დაბალი რენტაბელობა და გამოსყიდვის (უკუგების) შედარებით ხანგრძლივი პერიოდი, წარმოებული პროდუქციის გრძელვადიანი შენახვის ხანგრძლივობის პარამეტრები, გამყიდველების დიდი რაოდენობა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციულ-მმართველობითი სიახლეებისადმი დაბალი რეაქცია და ა.შ. ყველაფერი ეს ხდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას საკმაოდ სარისკოს და არაპროგნოზირებადს. ვერტიკალური ინტეგრაცია, როგორც ორგანიზაციული ფორმა, განსაკუთრებით საწარმოო პროცესების კონტრაქტირების სახე, საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რისკების ნაწილის გადატანის ფერმერებიდან ინტეგრატორ ფირმებზე. რადგან, ამ შემთხვევაში იზრდება გასაღების გარანტია წინასწარ დადგენილი ფასებით. ამრიგად, ვერტიკალური ინტეგრაცია განსაზღვრული მოცულობით ხელსაყრელი ხდება სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის (აგრარული სამეურნეო სუბიექტისათვის).

აგრეთვე შეუძლებელია გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ვერტიკალური ინტეგრაცია აგროსაწარმოო სექტორში იწვევს დადებით სოციალურ მოვლენებს. მისი განვითარებით ტრადიციულ ფერმერულ მეურნეობაში საქმიანობის ფუნქციები რადიკალურად იცვლება. ფერმები თანდათანობით ეწყობიან მიმდინარე ინტეგრაციის პროცესის უპირატესობებს, თანხმდებიან მათ მიერ შემოთავაზებულ პირობებს და კარგავენ კონტროლს საკუთარი პროდუქციის წარმოებაზე, რადგან ინტეგრატორი ფერმები მნიშვნელოვანი ხარისხით იღებენ საკუთარ თავზე პროდუქციის ფასის ცვლილების რისკს. მაშასადამე, ფერმერი ღებულობს გარანტიას მის მიერ მოწეული პროდუქციის ღირებულებაზე. ინტეგრაციის პროცესში კონტრაქტით გაერთინებული ფერმერის ტრადიციულად შესასრულებელი მრავალი ფუნქცია გადადის კოორდინატორზე (ინტეგრატორზე). ამავდროულად, ფერმერი ნელ-ნელა კარგავს მცირე მეწარმის თვისებას და სულ უფრო იძენს დაქირავებული მუშაკის ხასიათს. ზემოთ ჩამოყალიბებული პროცესის შედეგი არის ის, რომ იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და შესაბამისად, ქვეყანაში მცირდება ფერმერული მეურნეობის რაოდენობა (ამავდროულად ნარჩუნდება ოჯახური მეურნეობები). ფერმერი, რომელიც ეკუთვნის მსხვილ ინტეგრირებულ ერთეულს ნაკლები ხარისხით ხდება დამოკიდებული ადგილობრივ თვითმართველობაზე. შემჩნეულია, რომ ინტეგრაციული პროცესების განვითარება იწვევს ტრადიციული სოფლის მეურნეობის წყობის რღვევას და სოფლად თვითმართველობის გაყვანის შემცირებას ფერმერულ მეურნეობების საქმიანობის ჩარევის თვალსაზრისით.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნები, მათი საერთო სახელმწიფოებრივი ბაზრებით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნები სახელმწიფოთაშორისი ბაზრებით შეთანხმდნენ ბაზრის ერთიანი სივრცის შექმნაზე. ამავდროულად, თვით აგრარული წარმოების კონცენტრაცია



ოპტიმალურ (წარმოებისათვის ხელსაყრელ) ზონებში მიმდინარეობს (საწარმოო და ეკონომიკური პროცესების თავსებადობის). წარმოების ადგილზე ხდება ნედლეულის გადამუშავება, შემდეგ მისი ტრანსპორტირება ხორციელდება მომხმარებელთა ცენტრებში. ბუნებრივია, სურსათის წარმოებაში მასიური ოპერაციებისათვის, მაგალითად, ნედლეულის შესყიდვა, მისი დამუშავება და გადამუშავება, ტრანსპორტირება და განაწილება, საჭიროებს ძლიერ ორგანიზაციულ სტრუქტურებს: კოოპერატიულ გაერთიანებებს, კერძო კორპორაციებს, საწარმოო გაერთიანებებს და სახელმწიფო მონოპოლიებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობები ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ მრავალმხრივი და ფართომასშტაბიანი ოპერაციები. სურსათით ვაჭრობის ყველა სხვა ტრადიციული ფორმები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ადგილობრივ წარმოებაზე და ადგილობრივ მომხმარებელზე, რომლებიც ნელ-ნელა კარგავენ პოზიციებს (მაგრამ ინარჩუნებენ სურსათის ბაზრის გარკვეულ სეგმენტებს), მნიშვნელოვანწილად აფერხებენ ეკონომიკური ცხოვრების განვითარებას და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ რელიქტური წარსულის ნიმუშს. მიუხედავად ამისა, სურსათით ვაჭრობის ზემო დასახელებული ფორმები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, საქართველოში ჯერჯერობით სურსათით ვაჭრობის დასახელებულ ფორმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სურსათის ბაზრის ფორმირებაში.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის შესაბამისი სასურსათო ბაზრების ნაირსახეობები წარმოადგენენ საკმაოდ რთულ სტრუქტურულ ერთეულს (ინსტიტუტს), რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღაფუჭებადი პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფაზე და ითხოვს მასში შემაჯავალ ყველა რგოლებს შორის ურთიერთობების კოორდინაციას - ფერმერული მეურნეობიდან დაწყებული სურსათის დამოუკიდებელი საცალო სავაჭრო ობიექტების ჩათვლით. ასეთი პირობით ნათელია, რომ

სურსათის წარმოებისა და მომხმარებლამდე მიწოდების პროცესი არ შეიძლება ეფუძნებოდეს ქაოსურ მოქმედებებს (რასაც ადგილი აქვს დღეს საქართველოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პროცესში), მისი ფუნქციონირება შეუძლებელია მკაცრი კავშირების მართვის, რეგულირებისა და დაგეგმვის გარეშე.

მოსახლეობის სურსათის დროსა და სივრცეში მიწოდების რეგულირება, განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქციის ჩართვა ამ პროცესში შეუძლებელია უწყვეტი ვერტიკალური ინტეგრაციის ჩარჩოებში კონტრაქტებისა და გარიგებების სისტემის გარეშე. პრაქტიკულად, ეს ეხება სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს. გამონაკლისს წარმოადგენს ცალკეული მათგანი, მაგალითად, მარცვლეული, რომელიც შეიძლება იყოს მოქცეული წყვეტილ სისტემაში, ვინაიდან ექვემდებარება შენახვის შედარებით ხანგრძლივ პერიოდს, ასევე, ხორცის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც იყიდება გაყინული ფორმით და რეალიზაცია შესაძლებელია მისი წარმოებიდან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ (აღნიშნულ საკითხს უფრო სრულად განვიხილავთ მომდევნო თავში). ცხადია, რომ რიგი სახის სურსათის წარმოება და მიწოდება მიმდინარეობს უწყვეტად, ხდება მისი შენახვა და დასაწყობება სპეციალურ შესანახ ნაგებობებში, სტანდარტით დადგენილი ვადით.

ზოგადად, აგრარული ბაზრის ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო ძალებისა და სახელმწიფო რეგულირების კომბინაცია. ამავდროულად, საბაზრო ძალები ასრულებენ ბაზრის მამოძრავებელი ძალის ფუნქციას და მოქმედებენ დინამიურად. ხოლო სახელმწიფო, როგორც მმართველი ინსტიტუტი, აძლევს მათ მიმართულებას და არეგულირებს. ეს დებულება აქვს საუკეთესოდ ფორმულირებული ამერიკელ ეკონომისტ ვ. ლეონტიევს, როცა აღწერს ეკონომიკურ სისტემას, როგორც ნავს, რომლის იალქანს ავსებს საბაზრო ძალები, ხოლო სახელმწიფო როგორც მესაჭე აძლევს მას მიმართულებას. [64. გვ.61] სასურსათო ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ მრავალკომპონენტიან სისტემას – კერძო, კოოპერატიული

ორგანიზაციებისა და შესაბამისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სახით, საკმაოდ დიდი მოცულობის პროდუქტის გადამუშავების აუცილებლობით, წარმოების ზონიდან მოხმარების ზონაში მიწოდებითა და გასაღებით. მაშასადამე, როგორც უკვე ავნიშნეთ სახეზეა ურთულესი სისტემა, რომელიც ითხოვს სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი ჯაჭვის ფარგლებში მონაწილეთა შორის მკაცრ შეთანხმებულობას და მუდმივი კავშირების არსებობას. მათი ერთობლიობის სისტემის სახით ფუნქციონირება საჭიროებს პირველ რიგში აგროსაწარმოო კომპლექსების ფორმირებას, ორგანიზაციული სქემის სრულყოფას და ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. ასეთი სისტემების მეშვეობით შესაძლებელი იქნება უზრუნველყოფილ იქნეს სურსათით საცალო ვაჭრობის კონდიციები შესაბამისი მზა პროდუქციით. უდავოა, რომ ამის წინაპირობა იქნება სურსათის მოსახლეობისთვის მიწოდების ფორმირება ვერტიკალურ – ინტეგრირებული სისტემების სახით, რომლებიც მოიცავენ კვების პროდუქტების წარმოების მთელ ციკლს – ნედლეულის წარმოებიდან საცალო ვაჭრობის ჩათვლით.

დღევანდელი მმართველობითი და ინფორმაციული რევოლუცია თანამედრვე ორგანიზაციული ტექნიკით და კავშირების სისტემით, მსხვილი და უმსხვილესი კომპანიების ცენტრალიზებული მართვის საშუალებას იძლევა. ამრიგად, მთლიან სისტემაში შემავალი ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც ადრე ასრულებდნენ საწარმოს ორგანიზაციის მთელი კომპლექსის ტოპ - მენეჯერების ფუნქციებს, დღეს ისინი ორგანიზაციების პირველადი რგოლების მართვის ფუნქციით შემოიფარგლებიან. აღნიშნული თეზისი შესაძლოა სადაო გახდეს, მაგრამ ცხადია ეს პროცესები ადრე მიმდინარეობდა მხოლოდ მრეწველობის დარგებში, დღეს ეს პროცესები აქტიურად ვითარდება სურსათის წარმოებაში დასაქმებულ გაერთიანებებში, რომლებიც როგორც უკვე ვიცით მოიცავს სურსათის სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან მომხმარებლამდე მიწოდების მთელ სისტემას.

სწორედ ასეთი მსხვილი სისტემები ითხოვენ გეგმურ, რითმულ მუშაობას და ბუნებრივია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით საიმედო მომარაგებას. განსაკუთრებით, ეს ეხება მალფუჭებად პროდუქტებს, რომლის წარმოების რომელიმე სტატიაზე შეწყვეტა შეუძლებელია. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ წარმოების პროცესის ინტეგრაციული სისტემის შექმნით, ხელშეკრულების გაფორმებით და კონტრაქტაციის საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში ხარისხიანი პროდუქტების მიწოდების ფასების მკაცრი რეგულირებით, ასევე თვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიაზე და აგროწარმოებაზე კონტროლის დაწესებით.

იმისათვის, რომ დაგასაბუთოთ თუ რატომ ავირჩიეთ და ვანიჭებთ უპირატესობას სურსათის გასაღების სხვა გამოყენებად სისტემებსა და სტრუქტურებს შორის საბითუმო ბაზარს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ რამდენიმე მათგანი, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში.

**საკონტრაქტო სისტემა.** ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში გადამამუშავებელ საწარმოებსა და ვაჭრობის სისტემას შორის ფართო განვითარება ჰპოვა სოფლის მეურნეობის ვერტიკალურმა ინტეგრაციამ. ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმა ითვალისწინებს ხელშეკრულების, კონტრაქტის გაფორმების პროცედურას ფერმერსა და ფერმერ-ინტეგრატორს შორის (კვების, კომბინირებული საკვების, სავაჭრო ორგანიზაციები) გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებასა და გასაღებაზე. ინტეგრაცია ეფუძნება კონტრაქტებს და პირველ რიგში მოიცავს სოფლის მეურნეობაში სანედლეულო დანიშნულების პროდუქტების წარმოებას, რომელზედაც მოთხოვნა შედარებით სტაბილურია. ამასთან, ის ვრცელდება პროდუქტების იმ სახეობაზე, რომლებიც ხასიათდებიან გამძლეობის დაბალი პერიოდით. საკონტრაქტო სისტემის ინტეგრაცია იშვიათად მოიცავს სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გასაღებას. იგი არ მოიცავს პროდუქტებს, რომლებიც ექვემდებარებიან ხანგრძლივ შენახვას.

ევროპის ქვეყნებში გამოიყენება კონტრაქტების სამი სახე: 1. კონტრაქტები შესყიდვის გარკვეული პირობებით; 2. კონტრაქტები, რომელთა საფუძველზე ინტეგრატორი (სამრეწველო ან სავაჭრო ორგანიზაცია) აწვდის ფერმერს ზოგიერთი სახის წარმოების საშუალებებს და ღებულობს მონაწილეობას წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ამასთან, იგი არ არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მფლობელი, სანამ ის იმყოფება ფერმერის მეურნეობაში; 3. კონტრაქტი, რომლის საფუძველზე მომხმარებელი აწვდის წარმოების უმეტეს საშუალებებს, განსაზღვრავს როგორ უნდა მიმდინარეობდეს წარმოების პროცესი საკუთრივ ფერმერულ მეურნეობაში. ფერმერის მიერ კონტრაქტის გაფორმება ხდება კვების მრეწველობის საწარმოსთან და სურსათის საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციებთან. ფერმერები დაინტერესებული არიან ასეთი სახის თანამშრომლობით, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ვარდნის შემთხვევაში ისინი ღებულობენ შესაძლებლობას წარმოების სრულყოფის საფუძველზე შეამცირონ დანახარჯები.

ბოლო წლებში ევროპის მრავალ ქვეყანაში (განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთსა და კანადაში) გაგრძელდა კონტრაქტის სახე, რომელიც ითვალისწინებს წარმოებისა და გასაღების რისკებს. იგი ითვალისწინებს ერთობლივ პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებისა და გასაღების დროს წარმოშობილ რისკზე, ანუ რისკს პროდუქციის გაყიდვამდეც. ამისათვის, მხარეები უნდა ითვალისწინებდნენ ერთმანეთის ეკონომიკურ მდგომარეობას. მათ უნდა შექდონ წინასწარი გათვლების გაკეთება ამათუ იმ საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. ამ კუთხით არსებითი მნიშვნელობა აქვს შეთანხმების დეტალურად ჩამოყალიბებას და საკითხების ფორმულირებას. კონტრაქტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და რეალიზაციაზე როგორც წესი, გულისხმობს ფერმერის ვალდებულებას, რომ მან აწარმოოს გარკვეული რესურსების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული ოდენობის პროდუქტი შეთანხმებული ხარისხით, ხოლო

ინტეგრატორი საწარმოს წინაშე იღებს ვალდებულებას მიიღოს პროდუქცია, უზრუნველყოს მისი შემდგომი გადამუშავება, აანაზღაუროს შესყიდული პროდუქციის ღირებულება კონტრაქტით გათვალისწინებული წესით. ამრიგად, კონტრაქტში გათვალისწინებულ ძირითად რეკვიზიტებს წარმოადგენენ: წარმოებული პროდუქციის მოცულობა, მისი რეალიზაციის წესი, ფასები. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, კონტრაქტის გაფორმების დროს ინტეგრატორის ვალდებულებაში შეაქვთ ფერმერის უზრუნველყოფა წარმოების საშუალებებით – როგორც წესი კომბინირებული საკვებით, სათესლე მასალით, სასუქებით, შხამ – ქიმიკატებით და სხვა.

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის გასაღების კოოპერაციული სისტემა.** კოოპერატივები წარმოიშვა, როგორც შედარებით წვრილი სასოფლო – სამეურნეო მწარმოებლების, არაორგანიზებული და დაქსაქსული მასის სამეურნეო და სამეწარმეო ძალების გაერთიანებებისა და წინააღმდეგობების გადალახვის საშუალება. კოოპერაციული გაერთიანებების ფორმირებისთვის მიზანშეწონილად მიჩნეული იქნა მათი საქმიანობის მომსახურების თვითორგანიზაცია, იმისათვის, რომ მათ შეძლებოდათ კომერციულ ბაზარზე გასვლა, როგორც მსხვილი ეკონომიკური ძალა. მისი აღმოცენებისა და განვითარების ისტორია მოიცავს 150 წელზე მეტს და აგრძელებს განვითარებას თანამედროვე ქვეყნებში, რაზეც მოწმობს ის ფაქტი, რომ დღეს მსოფლიოში ითვლიან ექვსას მილიონზე მეტ კოოპერატივებს, რომელთა უდიდესი ნაწილი გაერთიანებულია კოოპერაციულ ალიანსებში, რომლის შემადგენლობაში შედის 170 ეროვნული კავშირები 70-ზე მეტი ქვეყნიდან [64; 65].

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფერმერული კოოპერატივები აგრარული სფეროს ურთიერთობის სისტემაში და სურსათის წარმოების კომპლექსში ტრადიციულად თამაშობენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კოოპერატივებში გაერთიანებულნი

არიან 80%-მდე ფერმერთა მეურნეობები, აშშ – ში 60-80%-მდე, ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერული მეურნეობები უზრუნველყოფენ სასურსათო პროდუქციის 60%-ზე მეტის წარმოებას, აშშ-ში 30%-ზე მეტს, მათ შორის 77% რძეს, 53% შაქარს, 25% ხილ-ბოსტნეულს, ამავდროულად კოოპერატივები უზრუნველყოფენ წარმოების საშუალებების 25% მიწოდებას ფერმერული მეურნეობებისათვის. იაპონიაში მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 90% გადამუშავებული სახით იყიდება კოოპერატივების მიერ, იგივე კოოპერატივები ამ ქვეყანაში უზრუნველყოფენ ფერმერებისათვის წარმოების საშუალებების 90%-ის ოდენობით მიწოდებას.

ვერტიკალური ინტეგრაციის კოოპერატიული ფორმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი საწარმო ერთდროულად დაკავშირებულია რამდენიმე კოოპერატივთან, რამდენიმე მათგანი სასოფლო-სამეურნეო ფერმებიდან აწოდებენ ნედლეულს კოოპერატიულ საწარმოებს და უზრუნველყოფენ მის გადამუშავებას და მზა პროდუქციის გასაღებას, მეორე ნაწილი კი – ამარაგებს საქონელმწარმოებლებს წარმოების საშუალებებით, მესამე კი უზრუნველყოფენ საკრედიტო რესურსებით და სხვა.

ქვეყნების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს განიხილავენ ეკონომიკის ძირითად მექანიზმად და სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ მათ სტიმულირებას, გამოყოფენ სახელმწიფო სუბსიდიებს პრიორიტეტების მიხედვით, მაგალითად, კოოპერატიული სათავსოების მშენებლობისთვის, ფერმერული პროდუქციის გადამუშავების საწარმოების შექმნასა და სრულყოფისთვის. სახელმწიფო კოოპერატიულ წარმოებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდერნიზაციისთვის უწევს საკრედიტო დახმარებას მიწის შესაძენად, საწარმოო ფართის რემონტისთვის, გზების მშენებლობაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკაში ხდება აქცენტების გადატანა ისეთი სახის პროდუქციის წარმოებაზე, რომლებსაც ბაზარზე გააჩნიათ გაზრდილი მოთხოვნა,

მიხნეულია, რომ ასეთი პოლიტიკა გამოიწვევს მსხვილ და საშუალო კოოპერატივების განვითარებას და წვრილი კოოპერატივების დანგრევას, ეს, რომ ასე არ მოხდეს სახელმწიფოები იყენებენ მათ დამცავ მექანიზმებს. (მაგალითად, კოოპერატივების სუბსიდირება წევრების ასაკის მიხედვით).

ვინაიდან აგრარულ ბაზრებზე მწვავედება კონკურენცია სურსათის მწარმოებლებს შორის, თანამედროვე კოოპერატივები იჩენენ ფართო ძალისხმევას, განავითარონ თავიანთი საქმიანობის ახალი მიმართულებები: ფქვილის წარმოება, პურ – ფუნთუშეულის წარმოება, კომბინირებული პროდუქტის წარმოება, ახალი პროდუქტების შექმნა ხორბლისა და სიმინდისაგან. ისინი ყოველ ორ წელიწადში გადასინჯავენ თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკას იმისათვის, რომ შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა და პირველ რიგში განავითარონ ის მიმართულებები, სადაც არის ინოვაციური პოტენციალი. წარმოების კონცენტრაცია და მსხვილი კოოპერატიული გაერთიანებების შექმნა თანამედროვე კოოპერატივებს საშუალებას აძლევს კონკურენცია გაუწიონ მსხვილ ოლიგოპოლიურ გაერთიანებებს, და არამარტო შეინარჩუნონ, არამედ განავითარონ საკუთარი ნიშა სურსათის ბაზრებზე.

ისევე, როგორც სურსათის გასაღების სხვა სისტემებში, კოოპერატიულ სისტემაშიც ყალიბდება და ვითარდება ვერტიკალური ინტეგრაცია ან როგორც მას უწოდებდა ა. ჩაიანოვი – ვერტიკალური კოოპერაცია, როგორც სურსათის წარმოებისა და გასაღების ეფექტური სისტემა. კოოპერაცია მისი მრავალი სახეობით, წარმოება და გასაღება წარმოადგენს აგროსაწარმოო ინტეგრაციის ერთ-ერთ ფორმას, სადაც იქმნება სურსათის მიწოდების სისტემა – ფირმა - შესყიდვა - გადამუშავება – გასაღება. ასეთი ვერტიკალური ინტეგრაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აძლევს საშუალებას ჩაერთოს ერთიან აგროსამრეწველო სისტემაში და ამავდროულად ფერმა, როგორც ამ კოოპერატიული სისტემის ნაწილი, შეინარჩუნოს ეკონომიკის საერთო ორგანიზმის უჯრედის სახე და როგორც მისმა ნაწილმა - გააგრძელოს ფუნქციონირება.



კოოპერატიული ინტეგრაციული ფორმირების გაერთიანებების განვითარების შედეგად, ყალიბდება თითქმის მონოპოლიური ხასიათის სტრუქტურები, რომლებიც აკონტროლებენ სურსათის ბაზარს და იგი ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპითაა აგებული. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კოოპერატივების განვითარების მიმართულება წარმოადგენს არა მარტო სურსათის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების ერთადერთ ძირითად ფუნქციას, არამედ ისინი წარმოადგენენ სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლებიც იცავენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესებს.

**სურსათის წარმოებისა და მოსახლეობისათვის მიწოდების სახელმწიფო - მონოპოლიური სისტემები.** საბაზრო ეკონომიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ უარყოფს სახელმწიფო სექტორის მონაწილეობას ეკონომიკაში. განსაკუთრებით, სურსათის წარმოებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების სფეროში. კერძოდ, სახელმწიფოს მონაწილეობა ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი მომსახურებისა და ეკონომიკის სხვა სფეროს სისტემების სრულყოფაში. ამიტომ, აგრარული ბაზრის პრობლემების მკვლევარები მიზანშეწონელიად თვლიან, რომ სახელმწიფო სექტორი უნდა მონაწილეობდეს სასურსათო რესურსების ფორმირებისა და განაწილების სისტემაში. რაც მთავარია, ეს პოზიცია არ ეწინააღმდეგება საბაზრო მეურნეობრიობის პრინციპებს. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია, გათვალისწინებული იქნეს რეალობა და მოხდეს მოვლენების აღქმა ისე, როგორც ეს სინამდევითაა და არა ისეთი როგორის წარმოდგენაც სასურველი ან აუცილებელია, მითუმეტეს ისე, როგორც ეს სახელმძღვანელოებშია აღწერილი.

სასურსათო მეურნეობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს სისტემას და საერთო სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა ამ სფეროს მიმართ, უნდა იყოს მიჩნეული უმნიშვნელოვანესად და არა ისე, როგორც ამას ვხვდებით უკიდურესი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მიმდევრების პუბლიკაციებში და მტკიცებებში.

**საბითუმო ბაზრები.** ეკონომიკური გარდაქმნების დასაწყისიდან თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დღის წესრიგში დადგა ბაზრებისა და მათ შორის სურსათის საბითუმო ბაზრების განვითარება, როგორც სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მომხმარებლისათვის მიწოდების ძირითადი და წამყვანი არხი. ამ პრობლემის გადაწყვეტას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია, რომ სასურსათო ბაზრები მნიშვნელოვან, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ როცა სახეზეა ორი უკიდურესობის – წვრილი, არასტრუქტურირებული წარმოების და წვრილი ასევე არასტრუქტურირებული საცალო ვაჭრობის სისტემის არსებობა. ამავდროულად, ნელ-ნელა იქმნება სურსათის წარმოების პირველი რგოლიდან საბოლოო მომხმარებლამდე შუალედური ფორმების, კომპანიების, შემსყიდველების, კვების მრეწველობის საწარმოების ერთიანი ჯაჭვის სისტემა, რომელიც საკუთარი გამანაწილებელი ქსელით ბითუმად მოვაჭრეებს აწვდის კვების პროდუქტებს, და ბოლოს, შედარებით წვრილ სურსათის საცალო მაღაზიებს.

ბუნებრივია, სურსათით მრავალსაფეხურიანი ვაჭრობა აძვირებს საბოლოო პროდუქტს, ახანგრძლივებს მიწოდების ვადებს და ვერ პასუხობს საცალო ვაჭრობის თანამედროვე სისტემას, რომელიც ხასიათდება მსხვილი სუპერმარკეტებისა ჰიპერმარკეტების მზარდი ტენდენციებით. ეკონომიკურმა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა სურსათის წარმოებიდან მომხმარებლამდე მიწოდების სხვა სისტემაზე გადასვლა, კერძოდ პირდაპირი კავშირების საფუძველზე აგებული ფერმერი – კვების მრეწველობა – საცალო ვაჭრობა ან კორპორაციის და სახელმწიფო მონოპოლისტური გაერთიანებების შუამავლობით. ეკონომიკური განვითარების ასეთი ლოგიკის პირობებში საბითუმო ვაჭრობა აზრს კარგავს. თუმცა, ისინი აგრძელებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას იმ შემთხვევაში, როცა საცალო ვაჭრობა წარმოდგენილია წვრილი მაღაზიებით, ხოლო მიმწოდებლები, სუსტად

არიან სტრუქტურირებული. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ საბითუმო ვაჭრობა კარგავს თავის წინანდელ შინაარსს, მაგრამ რიგ შემთხვევებში საქონლის სახეობის მიხედვით ისინი ჯერ კიდევ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. განსაკუთრებით, ეს ეხება ქალაქებს და რაიონებს, სადაც საცალო ვაჭრობაში გავრცელებულია სუპერმარკეტები, სადაც საბითუმო ბაზარი არ წარმოადგენს ტრადიციულ ბაზარს. იგი მზარდი ტემპებით იმკვიდრებს საბითუმო გამანაწილებელი ბაზის ფუნქციას საცალო ვაჭრობის ობიექტებისათვის და მათ შორის სუპერმარკეტებისათვის.

საბითუმო ბაზრების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს საცალო ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება სურსათის ფართო ასორტიმენტით, მათ შორის იმპორტირებული, ერთ ხელსაყრელ ადგილზე განლაგებულ ცენტრში. საბითუმო ბაზარი არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშოს ფასწარმოქმნაში და ფასების დონის განსაზღვრაში. ასეთ ბაზრებზე საკონტრაქტო და შიდა საბაზრო ფასები ყალიბდება ბოსტნეულზე, ხილზე, მემცენარეობის და მეცხოველეობის სხვა ძირითად პროდუქციაზე. სასურსათო ბაზრები ასევე ასრულებენ სახელმწიფო საგარანტიო ფასების დონის შენარჩუნების ფუნქციას. თანამედროვე სასურსათო საბითუმო ბაზრების ამოცანაა:

- მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის ბაზარზე სავაჭრო ადგილით უზრუნველყოფა;

- პროდუქციის კონდინციამდე დაყვანისა და გასაყიდად მომზადების პირობების შექმნა, ხარისხის კონტროლი;

- მყიდველების ინფორმირება;

- გამყიდველებისათვის ინფრასტრუქტურული მომსახურება;

- და სხვა.

ასეთი ბაზრები აერთიანებენ მყიდველებსა და გამყიდველებს, რომლებიც მეტნაკლებად რეგულარულად შედიან ერთმანეთთან სავაჭრო ურთიერთობებში. სურსათის საბითუმო ბაზრების ფუნქციონირების

ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები და მათი ზომები შეიძლება იყოს განსხვავებული. მაგალითად: სააქციო საზოგადოება სახელმწიფოს წამყვანი როლით, საფრანგეთის ბაზარი სახელწოდებით – „Rugis“; სააქციო საზოგადოება კერძო მწარმოებლების წამყვანი როლით, - აშშ, „დეტროიდის“ საბითუმო ბაზარი. ასევე სურსათის საბითუმო ბაზრები სხვადასხვა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმების სახით გავცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა და ქალაქში (ესპანეთი, ნიდერლანდები, კანადა, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები.) ასევე სურსათის საბითუმო ბაზრებმა საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა პოსტ სოციალისტურ ქვეყნებში (აღმოსავლეთ ევროპა, რუმინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი) და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (ბელორუსია, რუსეთი).

მოკლედ განვიხილოთ სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ეფექტურობა. მაგალითად, საფრანგეთის საბითუმო ბაზარი – „Rugis“, უმსხვილესია ევროპაში, ამავდროულად ის შედარებით ახალგაზრდაა, მისი დანიშნულებაა პარიზისა და მისი გარეუბნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით გარანტირებული უზრუნველყოფა. თავდაპირველად იგი მიჩნეული იყო საბითუმო ვაჭრობის მსხვილ ცენტრად, დღეს მას გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მათ შორის ერთდროულად 250000 ტონა პროდუქტის შესანახი სამაცივრე კამერები. ბაზარზე პროდუქციის მიწოდება და გასაღება ხორციელდება ყოველწლიური შეთანხმებების საფუძველზე, გარდა ამისა, მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები აკეთებენ ყოველდღიურ განაცხადებს. სურსათის საბითუმო ვაჭრობის გაერთიანებას ემსახურება სამასამდე მსხვილი მომწოდებელი. ბაზარი მუშაობს 24 საათის განმავლობაში. მისი ტერიტორიული განლაგება პარიზთან ახლოს არსებული სატრანსპორტო სისტემებით, საშუალებას აძლევს უზრუნველყოს არამარტო შიდა სახელმწიფო, არამედ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, აქ იყიდება პროდუქცია ესპანეთიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. პროდუქციის იმპორტს ახორციელებენ საფრანგეთის

უმსხვილესი სავაჭრო ფორმები, რომლებსაც პარიზის სურსათის საბითუმო ბაზარში გააჩნიათ საკუთარი ფილიალები.

ასევე, ფართოდ არიან გავრცელებული სურსათის ბაზრები, რომლებიც სპეციალიზირდებიან ხილ-ბოსტნეულზე. მაგალითად, იტალიაში უმსხვილესი საბითუმო ბაზარი ქ. ლუზიაში. ბაზრის მართვას ახორციელებს სპეციალური კომისია, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ერთდროულად ემსახურება რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს. პროდუქციის გაყიდვები ხორციელდება დაფასოვებულად. ბელგიაში სურსათის საბითუმო ბაზრებში 85%-მდე უკავია ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობას.

ამრიგად, ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში ჩამოყალიბდა სურსათის საბითუმო ბაზრის მრავალი სახე. განსაკუთრებით, დიდია მისი როლი ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობაში, მაგრამ როგორც უკვე ავღნიშნეთ, ასეთ სახის საბითუმო ბაზრებს კვების პროდუქტებით ვაჭრობის სხვა ფორმებთან ერთად მაგალითად, აუქციონებს ენაცვლებათ ვერტიკალური – ინტეგრაციული სისტემები და ორგანიზაციები, რომლებიც თავისთავად მოიცავენ საბითუმო ვაჭრობის სტრუქტურებს. მიუხედავად ამისა, სურსათის საბითუმო ვაჭრობის როლი ინარჩუნებს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას, ბაზრების სხვა ფორმებთან ერთად მათ გააჩნით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, თავისი მცირე მიწიანობითა და წვრილი ფერმერული მეურნეობით, რომლებიც ასევე საჭიროებენ მომსახურების ცენტრების ფორმირებას და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უდანაკარგოდ შენახვას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებასა და გასაღებას.

### 2.3 ქვეყნის სასურსათო ბაზრის კვების პროდუქტებით გაჯერების პოტენციალის გამოყენების ამაღლების ძირითადი მიმართულებები

ნაშრომის წინა თავებში ჩვენ გავაანალიზეთ და შევაფასეთ სასურსათო ბაზრის მნიშვნელობა, მისი თავისებურება, ფუნქციონირების ფორმები, ნაირსახეობები და სპეციფიკა. აღნიშნეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებისა და მომხმარებლამდე წინწაწევის ერთიანი ჯაჭვის ელემენტების და სამეურნეო სუბიექტების ინტერესების შეთანხმებულობის აუცილებლობა. სასურსათო პროდუქტებით საზოგადოების მომარაგების ფორმებიდან გამოყავით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომხმარებლამდე მიწოდების ფართოდ გავრცელებული და პრაქტიკაში გამოცდილი ფორმა – სურსათის საბითუმო ბაზარი. ჩვენი მიზანია, ამ პარაგრაფში სისტემურობის თვალსაზრისით გავაანალიზოთ საქართველოში ფაქტიურად ფუნქციონირებადი სასურსათო ბაზრები, მათი გაჯერების წყაროები და სურსათით მომხმარებლამდე წინწაწევის პროცესში სხვა სფეროების მონაწილეობის ხასიათი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული სურსათის საბითუმო ბაზრების შესახებ. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად ირკვევა, რომ ქართულ პრაქტიკაში სურსათის საბითუმო ბაზარი, როგორც სისტემა არ არსებობს, ხოლო სისტემის გარეშე ფუნქციონირებენ სხვადასხვა სიდიდის სასურსათო ბაზრები. მაგალითად, თბილისში სამგორის, ვარკეთილის, ვაგზლის და გლდანის ტერიტორიაზე აღნიშნული ბაზრები ხასიათდებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (მათ შორის მალფუჭებადი) დასაწყოებისა და შესანახი სისტემების და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის სიმწირით. ამ ბაზრების მომარაგება ხდება როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებით. ადგილობრივი სასურსათო პროდუქცია შემოდის მცირე მოცულობით საკუთრივ სურსათის მწარმოებლებისა და შუამავლების მეშვეობით. ამ

ბაზრებიდან ძირითადად მარაგდება საცალო ვაჭრობის ობიექტები და სხვა მომხმარებლები. ბოლო პერიოდში სასურსათო ბაზრების უმეტესობაში შეინიშნება ინფრასტრუქტურული წინსვლა, თუმცა ისინი ვერ უზრუნველყოფენ მათ სისტემურ ფუნქციონირებას და ვერ ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დანაკარგებს (ბაზრის გაჯერების ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ასეთი სახის ბაზრების ფუნქციონირების დროს ყოველთვის არსებობს სასურსათო ბაზრის გაჯერების რყევის მაღალი რისკები). კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სათანადოდ შესანახი მოწყობილობების არარსებობის ან საკმაოდ ძვირადღირებულობის გამო, სასურსათო პროდუქციის გამყიდველები, გადამყიდველები (მესამე, მეოთხე რგოლი) იძულებულნი არიან გასაყიდად გატანილი პროდუქტის დიდი ნაწილის დაკარგვით განახორციელონ მისი სწრაფი რეალიზაცია.

ბაზრების ფუნქციონირების სტაბილურობა და მუშაობის რეჟიმი აბსოლიტურად დამოკიდებულია მათი მესაკუთრეების ინტერესებზე, რომელიც ყოველთვის არ ემთხვევა საზოგადოების ინტერესს (მაგალითად, სურსათის ბაზრები ჩამოყალიბებული სისტემის სახით ფუნქციონირებენ 24 საათიან რეჟიმში ევროპასა და სხვა ქვეყნებში, ნაწილი კი დღის 4 საათიდან უწევენ მომსახურებას მყიდველებს). სურსათის ორგანიზებული საბითუმო ბაზრის არსებობის პირობებში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი ნაწილის ეფექტურად გამოყენება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მაგალითად, მეცხოველეობაში და სხვა. ასევე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციისა და მომხმარებელამდე მიწოდების ორგანიზებული ფორმის – სურსათის საბითუმო ბაზრის სისტემა უზრუნველყოფს პროდუქციის შესანახი სამაცივრე და სპეციალიზირებული სასაწყობო მეურნეობების ფორმირებას, სადაც შესაძლებელია ქვეყანაში ჭარბი მოსავლიანობის პერიოდში (სეზონურობის პირობებში) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა სათანადო სტანდარტების დაცვით და წლის ნებისმიერ დროს

მომხმარებლისთვის მიწოდება. ზემოაღნიშნულის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობის თვალნათლივ დანახვისათვის განვიხილოთ ამერიკული კორპორაცია „SJS USA Inc“, მისი შტაბ-ბინა არის ქ. ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის შტატი. კორპორაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ფართო ასორტიმენტის კვების პროდუქტების წარმოება და ექსპორტი, როგორც სამრეწველო გადამამუშავებისათვის, ასევე საცალო ვაჭრობით გასაყიდად მოსახლეობისათვის. კორპორაცია სპეციალიზირებულია რუსეთის, ბალტიისპირეთისა და დსთ ქვეყნების ბაზარზე სამრეწველო დამამუშავების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან მიღებული საქონლის მიწოდებაზე. ხარისხის კონტროლი, მისაღებ ფასად სწრაფი მიწოდების გარანტია, აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და იმპორტიორი ქვეყნების სამთავრობო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების ზედმიწევნით დაცვა წარმოადგენს კორპორაციის უმთავრეს ამოცანას. კორპორაციის ნებისმიერ საქონელს, გააჩნია ვეტერინარული და ფიტოსანიტარული, ისევე როგორც წარმოშობისა და ხარისხის სავალდებულო სერტიფიკატი, რაც მათ პარტნიორებს ტვირთის ვეტერინარული და საბაჟო დამამუშავების დაჩქარების საშუალებას აძლევს. მაგალითად, კორპორაცია ფოთის პორტის მეშვეობით ყოველ კვარტალში აწვდის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მისი ძირითადი წარმოების ღრმად გაყინულ პროდუქტებს, რომელშიც შედის სხვადასხვა სამრეწველო საქონელი. სასურსათო პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობის და მალფუჭებადი ხასიათის გათვალისწინებით.

სასაწყობო პროდუქტების შესანახი და სამაცივრე მოწყობილობები უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული პროდუქტისათვის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტით (ნტდ) დადგენილ მოთხოვნებს. მაგალითად, ოპტიმალური შეფუთვისა და აკურატულად მოპყრობის შემთხვევაშიც კი, შეზღუდულია ახალი და გაყინული ხორცის პროდუქტების შენახვის შესაძლებლობები. ჩვეულებრივ პირობებში ახალი, გაყინული ხორცი და ვაკუუმურად შეფუთული ხორცი გამოსაყენებლად ვარგისია ცხოველის დაკვლიდან 60 დღის განმავლობაში. ტექნოლოგიის განვითარება კი ახალ



მეთოდებს გვთავაზობს შენახვის ვადის გასაზრდელად (ცხრილი 2.3.1). [112]

პროდუქტის ვარგისიანობის ვადა დამოკიდებულია არამარტო შეფუთვაზე, არამედ მაცივრის ან საყინულის ტემპერატურაზე და, ასევე, ტემპერატურის ცვლილებებზე ტრანსპორტირების, დამუშავებისა და შენახვის დროს. ხილი და ბოსტნეული, რომელთა დამუშავება მინიმალურ დროში ხდება და ინახება შერჩეულ მუდმივ ტემპერატურაზე, უკეთ ინარჩუნებს თავის თვისებებს, ვიდრე იგივე პროდუქტები, რომელთა დამუშავება უხეშად მოხდა ან ინახებოდა ტემპერატურული რეჟიმის დაუცველად.

ცხრილი 2.3.1.

ერთ-ერთი მალფუჭებადი საქონლის – ხორცის შენახვის ხანგრძლივობა სამაცივრე საცავში

№	საქონლის დასახელება	შენახვის ხანგრძლივობა თვე
1	საქონლის ხორცი	
1.1	სუბპროდუქტები	12
1.2	ახალი ჩამონატრები	12
1.3	დაუჭრელი საკლავი	9-12
2	ღორის ხორცი	
2.1	ძეხვეული	12
2.2	სუბპროდუქტები	9-12
2.3	ახალი ჩამონატრები	6-9
2.4	დაუჭრელი საკლავი	6
3	ცხვრის ხორცი	
3.1	სუბპროდუქტები	9-12
3.2	ახალი ჩამონატრები	6-9
3.3	დაუჭრელი საკლავი	4-6

საცავში ტემპერატურული ნახტომები ამცირებს პროდუქტის შენახვის ხანგრძლივობას და ზრდის ტენიანობის დანაკარგს (ცხრილი 2.3.2) [114].

ცხრილი 2.3.2- ში ჩამოთვლილია ხილი და ბოსტნეული, რომელიც იწარმოება ჩვენს ქვეყანაში და ხასიათდება სეზონურობით. როგორც მონაცემებიდან ჩანს, შესაძლებელია მისი შენახვა სათანადო პროცედურების დაცვით იმ დროის ხანგრძლივობით, რომ შესაძლებელი იყოს მათი დიდი ნაწილის მოხმარება არასეზონურობის პერიოდში. აღნიშნული ტექნოლოგიის მაღალი ხარისხით გამოყენების შემთხვევაში ცალსახაა მიიღწევა აღნიშნული პროდუქტების მოხმარების დონის ზრდა იმპორტის შემცირების კვალობაზე.

ცხრილი 2.3.2.


ხილის და ბოსტნეული შენახვის ხანგრძლივობა სამაცივრე საცავში

საქონლის დასახელება	ტემპერატურა °C	ტენიანობა %	შენახვის ხანგრძლივობა
ვაშლი	-1+4	90-95	1-8 თვე
ბადრიჯანი	8-12	90-95	1-2 კვირა
მოცხარი	-0,5 -0	90-95	7-28 დღე
ყურძენი	-1-0	90-95	4-6 თვე
ნესვი	4-15	85-90	1-3 კვირა
ქლიავი	-1+2	90-95	1- 8 კვირა
მსხალი	-1+3	90-95	1-6 თვე
ატამი	-1+2	90	2-6 კვირა
ბალი	-1+2	90-95	2-3 კვირა
კომბოსტო	0-1	95-100	3-7თვე
ნიახური	0-1	95-100	1-3 თვე
სტაფილო	0-1	95-100	4-8 თვე
ნიორი	0	70	6-8 თვე
ხახვი	-1-0	70-80	6-8 თვე
წიწაკა	7-10	90-95	1-3 კვირა
ახალი კარტოფილი	4-5	90-95	3-8 კვირა
კარტოფილი	4-5	90-95	4-8 თვე

დამოუკიდებლად ფუნქციონირების პროცესში, ყოველი სამეურნეო სუბიექტი, როცა ის არ მონაწილეობს მალფუჭებადი სურსათის მომხმარებლისთვის მიწოდების ჯაჭვში, დამოუკიდებლად ისწრაფვის პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, ასეთ სიტუაციას, როგორც ცნობილია (რ. კოუსი) თან სდევს გაუმართლებლად მაღალი ტრანზაქციული დანახარჯები და პირიქით, თუ ისინი იქნებიან მოქცეული სურსათის მიწოდების ერთიან სისტემაში, ყოველივე მათგანს ექნება კონტრაქტებით გაფორმებული ურთიერთვალდებულებები, მაშინ ეს დანახარჯები იქნება ბევრად უფრო ნაკლები, რაც გამომდინარეობს მკვლევარებისთვის კარგად ცნობილი რ. კოუსის „ფირმის თეორიიდან“. აღსანიშნავია, რომ ერთიან სისტემაში მოქცეულ სურსათის მიმწოდებელ ფირმას ახასიათებს ფუნქციონირების გეგმურობა, რაც წარმოადგენს ბაზრის ქცევის (სტიქიურაობა) საპირისპირო მოვლენას. სწორედ ამ შემთხვევაში ფირმა და ბაზარი, როგორც ამას აღნიშნავს რ. კოუსი, ავსებენ ერთმანეთს [71]. თითოეული მათგანი ცალ-ცალკე გულისხმობს მეორის არსებობას, რასაც ვერ აკეთებს ერთი, აკეთებს მეორე, ორივე ერთად კი წარმოადგენენ ეფექტიანი საქმიანობის აუცილებელ პირობას. ასეთი სახის ორგანიზაციული ფორმირებები (ფირმები) უზრუნველყოფენ სურსათის წარმოებიდან მომხმარებლამდე მიწოდებას მაღალი ხარისხით, უდანაკარგოდ, დროში და სივრცეში წინწაწევას. მათ ახასიათებთ მასშტაბის ეფექტურობა, ხელთ არსებული რესურსების მანეჯირების მაღალი ხარისხი და ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფა, სურსათის წარმოებიდან მომხმარებლამდე მიწოდების ჯაჭვში ყველა მონაწილის ქვეყნის საზოგადოების ინტერესების თანხვედრა და სხვა დადებითი მოვლენები.


სურსათის ერთიან საბითუმო ბაზარს შესწევს უნარი ქვეყანაში უსისტემოდ განლაგებული, განცალკევებული მესაკუთრეების ხელთ არსებული სამაცივრე, სასაწყოზე მეურნეობები გააერთიანოს ქვეყნის ერთიან სასურსათო ბაზრების სისტემაში, რომელიც აუცილებელია საზოგადოების კვების პროდუქტების უწყვეტი და სტაბილური

მომარაგებისთვის. დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული სურსათის მოსახლეობისათვის მიწოდების პირობები ბევრად უარესია, ვიდრე ეს იყო საბჭოთა პერიოდში, როცა სურსათის გადანაწილება მისი ფონდირების წესით იყო ცენტრალიზებული და მიუხედავად საბჭოთა სისტემაში შემავალი რესპუბლიკების მოსაველიანობის რყევისა, ცენტრალური მთავრობა ყოველთვის უზრუნველყოფდა ძირითადი დასახელების სურსათით მომარაგებას უკლებლივ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ეს სისტემა, რომელსაც ჩვენ დღეს ვეძახით „საბჭოურს“, სინამდვილეში კოპირებული იყო იმდროინდელი ე.წ. დასავლეთის პრაქტიკიდან, სადაც მოსახლეობის მომარაგება სხვადასხვა ფორმით ექვემდებარებოდა რეგულირებას და სახელმწიფო კონტროლს, საბჭოთა გეგმური მეურნეობრიობის პერიოდში არსებული სასურსათო რესურსების ფორმირება და განაწილება მოყვანილია სქემა 2.3.1-ში.



სქემა 2.3.1 საბჭოთა პერიოდის საქართველოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ქსელი

საქართველოში 90-იან წლებამდე არსებული მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ცენტრალიზებული სისტემის რღვევამ და განზოგადებამ ან საკუთრების მრავალსახეობაზე გადასვლამ, გამოიწვია მკაცრ ცენტრალიზებულ სისტემაში მოქცეული სურსათის მიწოდების ჩანაცვლება სტიქიური და არაპროგნოზირებადი კერძო პირებისა და სამეურნეო სუბიექტების მიერ. შედეგად, დღემდე ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა – მოსახლეობის მაღალ ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფის უსისტემო პრაქტიკა, არასტაბილურს ხდის მოცემული ბაზრის ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი ხარისხის სურსათის მიწოდების არასტაბილურობას დროში და სივრცეში, აღნიშნული მდგომარეობის სქემით ასახვა შესაძლებელია სქემა 2.3.2-ს შესაბამისად.



სქემა 2.3.2 მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის არსებული სქემა

90-იანი წლების დამლევს და 2000-იანი წლების დასაწყისში კი სავაჭრო ქსელმა და ობიექტებმა შედარებით ცივილიზებული ფორმის მიღება დაიწყო. ბაზრებმა და ბაზრობებმა შექმნეს უფრო კომფორტული გარემო და ნელ-ნელა შემცირდა სტიქიური ვაჭრობა. გაჩნდა მომსახურების ისეთი ობიექტები, როგორც არის საყოფაცხოვრებო და შერეული მაღაზიები. საბჭოთა პერიოდში ქ. თბილისში ე.წ. „დეზერტირების“ ანუ ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზარი იყო ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე ობიექტი. ბაზრობაზე დახლის დაქირავების მცირე გადასახადი აქ დასაქმებულებს ვაჭრობის გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. უფრო მოგვიანებით, გამოიკვეთა ზემოაღნიშნული საბითუმო ბაზრების ფუნქციონალური დიფერენციაცია და ჩამოყალიბდა სასურსათო პროდუქტებით მოვაჭრე სასურსათო ბაზრები.

საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სურსათის საბითუმო ბაზარი, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით და ძირითადი ფუნქციებით, საქართველოში არ არსებობს. თუმცა საცალო ვაჭრობაში შეინიშნება პროგრესული ძვრები, რომელიც შეესაბამება სურსათით ვაჭრობის თანამედროვე ფორმებს როგორცაა: სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის ქსელური მაღაზიები, ჰიპერმარკეტები - „ნიკორა“, „გუდვილი“, „პოპული“, „კარფური“ და სხვა; სუპერმარკეტები და სასურსათო ბაზრები. ვინაიდან ჩვენი კვლევის ობიექტი სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემებია, გავაანალიზოთ ჩვენს ხელთ არსებული მასალები (ცხრილი 2.3.3).

როგორც ვხედავთ, სასურსათო ბაზრები რაოდენობრივი ზრდით არ ხასიათდება, მაგრამ მოსახლეობის სურსათის მიწოდების თანამედროვე ორგანიზაციული ფორმა უსისტემოდაა წარმოდგენილი. მაგალითად, როგორც ცხრილი 2.3.3-დან ჩანს, საქართველოში დღეს სულ ფუნქციონირებს 129 სურსათისა და სასურსათო პროდუქტებით მოვაჭრე ბაზრები და ბაზრობები. მათ შორის, თბილისში 2009 წელთან შედარებით 2011 წელს აღნიშნული ტიპის ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობა

შემცირდა 2 ერთეულით და შეადგინა 27 ერთეული. ეს უმნიშვნელო, მაგრამ დადებითი ტენდენციაა იმ თვალსაზრისით, რომ ხდება მათი გამსხვილება კონცენტრაციის გზით. განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სასურსათო ბაზრები (მათ შორის საბითუმო) რეგიონების მიხედვით გადანაწილება არის საკმაოდ კარგი პირობა, უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბაზრების ერთიან სისტემაში მოქცევა, რაც განაპირობებს რეგიონებს შორის სასოფლო-სამეურნეო საქონლის მობილურობას.

სასურსათო ბაზრის კვების პროდუქციით გაჯერება მრავალსპექტიანი პრობლემაა და გულისხმობს მოთხოვნა-მიწოდების სრულ შესაბამისობას.

ცხრილი: 2.3.3

სურსათით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით  
მოვაჭრე ბაზრები და ბაზრობები (2009-2011 წლები *დეკლარირებული*  
*მონაცემები*)

რეგიონის დასახელება	2009		2010		2011	
	სასურსათო საქონლით მოვაჭრე	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე	სასურსათო საქონლით მოვაჭრე	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე	სასურსათო საქონლით მოვაჭრე	სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე
<b>საქართველო</b>	<b>135</b>	<b>132</b>	<b>130</b>	<b>131</b>	<b>129</b>	<b>129</b>
ქ. თბილისი	34	29	33	29	33	27
აჭარა	7	6	7	5	7	5
გურია	5	5	5	5	6	6
იმერეთი	27	27	26	27	25	27
კახეთი	12	17	12	17	12	17
მცხეთა-მთიანი	6	6	6	6	5	5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	3	3	3	3	3
სამეგრელო ზემო სვანეთი	16	13	14	13	14	13
სამცხე-ჯავახეთი	4	5	4	5	4	5
ქვემო ქართლი	16	15	16	16	15	15

შიდა ქართლი	5	6	4	5	5	6
----------------	---	---	---	---	---	---

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობა 2012 [98]

მაშასადამე, თუ პროდუქციასა და მომსახურეობაზე მოთხოვნა როგორც ასორტიმენტით, რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სამომხმარებლო თვისებების მქონე პროდუქციით, შეიძლება ითქვას, რომ ბაზარი გაჯერებულია. ამგვარი შესაბამისობის მიღწევა არცთუ ისე ადვილი საქმეა, განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პოტენციალის გამოყენების მდგომარეობის გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნული გაჯერება არ ნიშნავს რომ ბაზარზე მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქციაა. ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ადგილობრივი ბაზრის აბსოლუტურ გაჯერებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, რადგან მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც შეძლებს სასურსათო ბაზრის გაჯერებას მხოლოდ სამამულო წარმოების საქონელით, მისი მრავალსახეობის გათვალისწინებით. არამედ, ამის აუცილებლობის საკითხი არ დგას და არც მომავალში დადგება, რადგან ეს შეუძლებელიც არის და არც არის ეკონომიკურად გამართლებული. სხვა საკითხია ქვეყანამ მიზნად დაისახოს იმ დასახელების მაღალხარისხოვანი პროდუქციით საშინაო ბაზრის მოთხოვნის (თუ მთლიანი არა ძირითადი ნაწილის მაინც) უზრუნველყოფა, რომელიც ამ ქვეყნის ბუნებრივ - ეკონომიკური, საწარმოო - ტექნიკური, ეროვნული და ტრადიციული პირობებიდან გამომდინარე, მის ეკონომიკურ პროფილს წარმოადგენს. იგულისხმება იმ პროდუქციის წარმოება, რომელიც შესაძლებელია ქვეყანაში არსებული ყველა სახის რესურსის ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე, ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯები და შესაბამისად, მისი საბაზრო ფასი მსოფლიო ბაზრის ანალოგიურ პროდუქციის ღირებულებას ბევრად არ აღემატოს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ



ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის სამამულო წარმოების პროდუქციით გაჯერების (დაბალანსების) განმაპირობებელი ფაქტორია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების და მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილის - სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უპრიანი იქნება განვიხილოთ ქვეყნის სასურსათო ბაზრის შევსების ორივე გზა – როგორც ადგილობრივი წარმოება, ასევე იმპორტი.

ადგილობრივი წარმოების დინამიკის ტენდენციები, რომელიც ასახულია ცხრილ 2.3.4-ში, ნათლად უჩვენებს იმ სურათს, რომელიც ხორციელდებოდა ჩვენს ქვეყანაში 2001-2011 წლებში.

ცხრილი 2.3.4

### სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება

(მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი)

	2001 - 2003	2004- 2006	2007- 2009	2010- 2011	2010-2011 წლების ცვლილება 2001 – 2003 წელთან შედარებით %
გამოშვება სულ	2061,4	2215,8	2175,3	2525,4	122,5
მათ შორის: მემცენარეობა	1016,2	1039,2	946,0	1146,5	112,5
მეცხოველეობა	1361,1	1138,8	835,6	1294,6	95,15
სასოფლო – სამეურნეო მომსახურება	40,7	38,0	60,3	84,4	207,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობა 2012 [98]

როგორც ცხრილი 2.3.4-დან ჩანს სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი სახეობა გამოშვების ღირებულებითი მაჩვენებლებით იზრდება (მიმდინარე ფასებში), თუმცა ეს სულაც არ მიუთითებს მის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაზე. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ზრდით, ინფლაციით. ამიტომ, მიმდინარე ფასები სრულად ვერ ასახავენ სოფლის მეურნეობის განვითარების რეალურ ტენდენციებს. ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რეალურ სურათს უფრო ზუსტად ასახავს ნატურალური მაჩვენებლების გაანალიზება, რომელიც მოცემულია ცხრილში – 2.3.5.

ცხრილი 2.3.5

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება**

(ათასი ტონა)

საქონლის დასახელება	2001-2003	2004-2006	2007-2009	2010-2011	2010-2011 წლის მონაცემთა %-ული ცვლილება 2001-2003 წლების მიმართ
	1	2	3	4	5
<b>ერთწლიანი კულტურების წარმოება</b>					
ხორბალი	243,9	148,5	69,7	72,6	29,9
ქერი	68,2	52,4	36,5	26,8	39,7
სიმინდის მარცვალი	383,5	349,8	305,0	205,4	53,4
ღობიო	10,9	15,7	10,8	7,4	63,6
კარტოფილი	420,9	340,1	213,1	251,4	59,6

ბოსტნეული	410,6	339,0	175,2	180,8	44,0
<b>მეცხოველეობის პროდუქტის წარმოება</b>					
ხორცი (დაკლულ წონაში)	106,1	95,9	61,5	52,3	49,1
რძე (მლნ. ლიტრი)	738,1	480,1	607,3	584,9	79,3
კვერცხი (მლნ. ცალი)	420,8	416,8	435,4	463,8	110,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობა 2012 [98]

ცხრილი 2.3.5-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ რეალურად მცირდება პირველადი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების წარმოების მოცულობა. როგორც ცხრილიდან ჩანს, ხორბლის წარმოება შემცირდა თითქმის 71%-ით, სიმინდის - 46%-ით, კარტოფილის – 40%-ით, ბოსტნეულის 56%-ით. ასევე უარყოფითია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა, ხორცის წარმოება (დაკლული წონა) შემცირდა 50%-ით, რძის წარმოება – 20%-ით, გაიზარდა მხოლოდ კვერცხის წარმოება 10%-ით.

## 2.4 სურსათის საბითუმო ბაზარი, როგორც მოსახლეობის

### სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი

სასურსათო ბაზრის სხვა მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მას, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმს. როგორც 1.2 პარაგრაფში ავლნიშნეთ, სასურსათო ბაზარი არის სასაქონლო – ფულად ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს, შემსყიდველებს, გადამამუშავებლებს, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტებს და საბოლოო მომხმარებლებს შორის მყარდება. სახეზეა კავშირების რთული სისტემა, რომელიც სურსათის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ერთიან

ჯაჭვში მყარდება. სწორედ ბაზარი განსაზღვრავს სასურსათო პროდუქციის რაოდენობრივ მაჩვენებელს ქვეყნისათვის, მის როგორც ნაკლებობას, ასევე სიჭარბეს. ბაზარი ფასების საშუალებით აძლევს მწარმოებელს და იმპორტიორს სიგნალს (ინფორმაციას) თუ რომელი პროდუქტი არის უფრო მოთხოვნადი და რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. ამ ყველაფერს ბაზარი, მოთხოვნა-მიწოდების უნიკალური კანონის საშუალებით განსაზღვრავს. სურსათი წარმოადგენს ადამიანის სასიცოცხლო საშუალებათა ფონდის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის დეფიციტი აღიქმება უბედურებად და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. სურსათი არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსი, ვინც მას ფლობს იგი ბატონობს ეკონომიკასა და პოლიტიკაში. სურსათის იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულება კი არსებითად ასუსტებს სახელმწიფოს ეროვნულ ეკონომიკურ და შესაბამისად პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

როდესაც საუბარია სასურსათო უსაფრთხოებაზე, აშკარაა, რომ იგულისხმება გარკვეული არასტაბილურობა, რაზეც რეაგირება აუცილებელია. სასურსათო უსაფრთხოება უწინარეს ყოვლისა გულისხმობს სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) თავიდან აცილებას. ამასთან, სურსათის დეფიციტი განიხილება, როგორც ადამიანების ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. კაცობრიობის სურსათის ნაკლებობისაგან (უკმარისობისაგან) დაცვა ნიშნავს ადამიანების ფიზიოლოგიურ გადარჩენას. სურსათის დეფიციტი - კი მისი მოხმარების დეფიციტს, ამიტომ სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) საფრთხის ლიკვიდაცია უფრო ფართო შინაარსის მატარებელია, ვიდრე უბრალოდ ფიზიოლოგიური გადარჩენა. სურსათის მოხმარება უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრების (სიცოცხლისუნარიანობის) აქტიურ და ჯანსაღ შესაძლებლობას. ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა - სურსათის მოხმარების **საკმარისობა**. რაც შეეხება ცალკეული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას, იგი სიმწვავის სხვადასხვა ხარისხით

ხასიათდება, რომელიც განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის აგროსასურსათო ბაზრის განვითარების დონით. ყველა ქვეყნის წინაშე დგას სურსათის უკმარისობის საფრთხის ნეიტრალიზაციის ამოცანა, მათ შორის საქართველოშიც. ამ მხრივ, ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელ მოთხოვნას როგორც საერთაშორისო, ისე ცალკეულ სახელმწიფო დონეზე წარმოადგენს სურსათის საჭირო რაოდენობით სტაბილური უზრუნველყოფა. ესაა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება. ადამიანის პროდუქტიული საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით სიცოცხლის დაცვის, მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიღწეული იქნება საქონლის გაცვლის ბოლო სტადია - მოხმარება. აღნიშნული გარემოება თავის მხრივ დამოკიდებულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოსახლეობის შემოსავლების დონეზე, სურსათის ფასებზე და ა.შ, ყოველივე ეს განსაზღვრავს მოსახლეობის სურსათზე ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო რესურსების ფორმირებაში თანამედროვე და მოსალოდნელი ტენდენციების, ფორსმაჟორული ფაქტორების გათვალისწინებით, სახელმწიფოთა სასურსათო უსაფრთხოება პერსპექტივაში, ისევე როგორც ამჟამად, ძირითადად უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი წარმოების ხარჯზე, ეს ჯერ ერთი მოხსნის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე ქვეყნის დამოკიდებულებას, და მეორე უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული აგროსასურსათო პოტენციალის უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენებას, ამასთან, სურსათით თვითუზრუნველყოფა არ გამორიცხავს ამ რესურსების როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის შესაძლებლობას, რაც იძლევა შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა სრულად გამოყენების საშუალებას.

სასურსათო მდგომარეობა საქართველოში და მისი შესაძლო გაუმჯობესება დამოკიდებულია კვების პროდუქტების საზღვარგარეთ შესყიდვაზე. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლება, დღის წესრიგში აყენებს პროდუქტების გარკვეული ჩამონათვალის მიხედვით მრავალასპექტიანი კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის გადაუდებელ ამოცანას, მათ რიგებში უმნიშვნელოვანესია აგროსასურსათო კომპლექსის ფუნქციონირების სამართლებრივი და ორგანიზაციულ - ეკონომიკური ღონისძიებების გატარება, საბითუმო სასურსათო ბაზრის შექმნა და ა.შ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არა მარტო ქვეყნის სასურსათო ბაზრის გაჯერება, არამედ ამ მიმართულებით საქესპორტო საქმიანობის გააქტიურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ადამიანის კვებითი რაციონის, მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, ვინაიდან ქვეყნისათვის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის დონის სტაბილურობა დროსა და სივრცეში არის სახელმწიფოს უპირველესი ზრუნვის საგანი. აღნიშნული პრინციპი ყველა ქვეყნისთვის იდენტურია, თუმცა მისი განხორციელების გზები რამდენადმე გასხვავებული.

დღეს, საქართველოში მცირდება ეროვნული სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დონე (ცხრილი 2.4.1).

როგორც ცხრილი 2.4.1 ჩანს, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს სასურსათო დამოუკიდებლობის საკითხი, რაც პირდაპირ კავშირშია ადგილობრივი წარმოების ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებიდან მომხმარებლამდე უდანაკარგოდ და ხარისხიანად მიწოდების მიზნით ერთიანი ჯაჭვის ფორმირებაზე.

ნათელია, რომ საქართველოში საარსებო მინიმუმი სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს. ყოველდღიურ რაციონში ძალზე დაბალია იმ სურსათის ენერგეტიკული ღირებულება, რომელიც დაადგინეს შრომისუნარიანი

მამაკაცისთვის დღის განმავლობაში, ეს დღიურად მინიმუმ 2300 კკალ-ს შეადგენს, თუმცა განვითარებული ქვეყნები შრომისუნარიანი მამაკაცის ენერგეტიკულ ღირებულებად 3500კკალ-ს მიიჩნევენ. საქართველოში ამ მინიმუმის თითქმის ნახევარი, დაახლოებით 47% – პურსა და პურპროდუქტებზე მოდის. ორგანიზმისთვის აუცილებელი ხორცი და მისი პროდუქტები რაციონში მხოლოდ 6.67%-ს შეადგენს, რძე და რძის პროდუქტები 8%-ით არის განსაზღვრული. საბოლოოდ ასეთი კვება ადამიანის ორგანიზმის დაუძღვრებას იწვევს.

გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტიც, რომ საქართველოში 2012 წლის განახლებული სამომხმარებლო კალათის კვების პროდუქტების ნაწილი მოიცავს 89 დასახელება სასურსათო პროდუქტებს. რაც სამომხმარებლო კალათის 30.3%-ს შეადგენს.

ცხრილი 2.4.1

საქართველოს სასურსათო ბალანსის მიმოხილვა:

(ათასი ტონა)

საქართველოს სასურსათო ბალანსის მიმოხილვა:	2002-2003		2010-2011		2010-2011 წლის მონაცემთა %-ული ცვლილება 2002-2003 წლების მიმართ	
	აღებლობრივი წარმოება	თვითუზრუნველ. კოეფიციენტი %	აღებლობრივი წარმოება	თვითუზრუნველ. კოეფიციენტი %	აღებლობრივი წარმოება	თვითუზრუნველ. კოეფიციენტი %
ხორბალი	200,0	21,0	72,5	9,5	34	45
სიმინდი	400,0	100,0	205,5	94,5	48	95
კარტოფილი	420,0	107,0	251,5	94,0	60	88
ბოსტნეული	418,0	100,0	181,0	75,0	43	75

ხორცი	108,0	<b>79,0</b>	52,9	<b>44,5</b>	50	<b>58</b>
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი (დაკლული წონა)	50,0	<b>88,0</b>	24,0	<b>72,5</b>	48	<b>83</b>
ღორის ხორცის ბალანსი	37,0	<b>94,0</b>	12,2	<b>46,0</b>	33	<b>49</b>
ცხვრისა და თხის ხორცი	8,0	<b>100,0</b>	4,5	<b>95,5</b>	63	<b>96</b>
ფრინველის ხორცი	13,0	<b>40,0</b>	11,8	<b>21,5</b>	92	<b>55</b>
რძე და რძის პროდუქტები	759,0	<b>70,0</b>	585,0	<b>93,0</b>	77	<b>133</b>
კვერცხი (მლნ. ცალი)	434,0	<b>63,0</b>	464, 0	<b>98,5</b>	107	<b>157</b>

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო მოხმარებაში ხასიათდება კლებადი ტენდენციით. განსაკუთრებით გამოვეყოფთ მარცვლეულის წარმოებას, კერძოდ ხორბლის, რომლის ადგილობრივი წარმოების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე მთელი საანალიზო პერიოდის მონაკვეთში ხასიათდება კლებადი ტენდენციით (ცხრილი 2.4.2) (შემცირდა 70%-ით და შეადგინა 16,5 კგ), ასევე კლებადი ტენდენციით ხასიათდება ანალოგიური მაჩვენებელი სიმინდზე (შემცირდა 57%-ით და შეადგინა 46 კგ), ხორცზე (შემცირდა 51%-ით და შეადგინა 12კგ) და სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანეს სხვა ძირითადი პროდუქტის წარმოებაზე.

ზოგადად, ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარი საფუძველი შეუძლია შექმნას ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი აგროსასურსათო კომპლექსის განვითარებამ. ამ პრობლემის დროთა განმავლობაში გადაწყვეტის ძლიერ ბერკეტს წარმოადგენს აგრარული დარგისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რეგულირება და ეროვნული საბითუმო სასურსათო ბაზრის ფორმირების კომპლექსური პროგრამა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებათა ფართო სპექტრს. სურსათის წარმოებიდან მომხმარებლამდე წინწაწევის ერთიანი



ციკლი, როგორც განვითარებული ქვეყნებისა და პოსტსოციალური ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, კომპლექსურად წყვეტს სურსათის წარმოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებს, როგორცაა რაოდენობა, ხარისხი, ტრანსპორტირება, შენახვა, გადამუშავება, სანიტარული ნორმები და სხვა.

ნებისმიერი ქვეყნის პოტენციალის განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. სწორედ ამიტომაც, რომ ყველა ქვეყანა ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი რესურსები და გარდა, საკუთარი მოსახლეობის დაკმაყოფილებისა, განავითაროს საექსპორტო საქმიანობა. ვინაიდან კაცობრიობამ გაითავისა, რომ ჩაკეტილ საზღვრებში შეუძლებელია თანამედროვე სამეცნიერო – ტექნიკურ, ტექნოლოგიურ სიახლეებში და სხვა აქტუალურ მიმართულებებში ინტეგრირება.

ცხრილი. 2.4.2

**ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება  
მოსახლეობის ერთ სულზე (კგ)**

	2001-2003	2004-2006	2007-2009	2010-2011	2001-2011 წლის მონაცემების %-ული ცვლილება 2001-2003 წელთან შედარებით
ხორბალი	56,0	34,3	15,7	16,5	30
სიმინდი	88,0	80,7	69,7	46,0	52
კარტოფილი	96,3	78,7	48,3	56,0	60
ბოსტნეული	94,3	78,7	39,3	40,0	42
ხორცი	24,3	23,0	14,0	12,0	49
რძე (ლიტრი)	171,7	167,7	137,7	130,5	76
კვერცხი (ცალი)	96,7	96,3	99,0	103,5	107

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოფლის მეურნეობა 2012 [98]

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით გატარებულმა ლიბერალურმა პოლიტიკამ არსებითი გავლენა იქონია ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში აქტიურ ჩართვაზე, თუმცა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების დინამიკის გათვალისწინებით, ქვეყანას მისი საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალი დონის შედეგად, გააჩნია საგარეო ვაჭრობაში უარყოფითი ბალანსი.

### **3. ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდელი**

#### **3.1 სურსათის საბითუმო ბაზრის შექმნისა და ფუნქციონირების მექანიზმების ფორმირების ეტაპები**

სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემებისა და მისი გარემოს ანალიზის დროს გასათვალისწინებელია საქართველოში არსებული შემდეგი ფაქტორები:

- ✓ ქვეყნის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა საბითუმო ვაჭრობაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებაში;
- ✓ მოცემულ სფეროში კაპიტალის სუსტი პერიფერიული კონცენტრაცია და წვრილი არაკონკურენტუნარიანი სავაჭრო ფირმების სიმრავლე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ თანამედროვე სავაჭრო მომსახურების დონეს;

✓ ქვეყნის რეგიონების განსხვავებული შესაძლებლობები კვების პროდუქტების წარმოების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დონისა და სამომხმარებლო ფასების მიხედვით;

✓ ფინანსური და სასაქონლო რესურსების გაუმართლებელი კონცენტრაცია დედაქალაქში და შედეგად ეკონომიკური პროცესების რაციონალიზაციაში გამოწვეული დისპროპორციები:

- ფინანსური რესურსების მაღალი კონცენტრაცია ერთ ცენტრში;

- სურსათის მიმოქცევის სფეროში ერთიანი ეროვნული საბითუმო ბაზრის არარსებობის პირობებში კვების პროდუქტების ნაკადების ცენტრისკენული ვექტორის სიჭარბე.

✓ სამართლებრივი ვაკუუმი, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დაბალი დონე, სურსათის საბითუმო ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდების შეუსაბამობა მასში დასაქმებული სუბიექტების მოტივაციასთან და სხვა.

ჩამოთვლილი პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტის ფორმები, მეთოდები და სტრუქტურული მიმართულებები უნდა გამოიყენებოდეს ღრმად და ფართო ინტეგრაციის სწრაფი განვითარების პირობებში, როგორც ეს არის მსოფლიო პრაქტიკაში (კერძოდ, ევროპის ქვეყნებში).

როგორც ავღნიშნეთ, მოსახლეობის სურსათით მომარაგების ცივილიზებულ ურთიერთობებზე დამყარებულ განვითარების პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო სტრუქტურები (საბითუმო, აუქციონები, ბირჟები და სხვა ვერტიკალურად ინტეგრირებული ფორმები სასურსათო პროდუქტების სახეობის მიხედვით: რძე, ხორცი, ხილი, ბოსტნეული და სხვა) სასურსათო რესურსების მწარმოებლებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ინტეგრაცია. ამ იდეის პრაქტიკაში განხორციელება საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების განვითარებასთან და სხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, კერძოდ:

1. პოლიტიკური გარემოს ფაქტორები:

- ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მოსახლეობის მომარაგების პროცესში ჩრდილოვანი სტრუქტურების არსებობა, კანონის შესრულების შერჩევითი ხასიათი;

- ფიქტიურად ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირები და ტექნიკურ-ტექნოლოგიური ჯაჭვი, საგადასახადო პოლიტიკა;

## 2. ეკონომიკური გარემოს ფაქტორები:

- საწარმოო ინფრასტრუქტურის არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;

- ფასების დონე, რომელიც ზღუდავს წარმოების მოცულობის ზრდას და ამცირებს მისი რეალიზაციის შედეგად მოგების მოცულობას;

- ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლისათვის ექსპორტ/იმპორტის არასასურველი სტრუქტურა;

- მსოფლიო ფასისმიერი სტრუქტურისაგან განსხვავებული ქვეყნის შიდა ფასების სტრუქტურა, გამოწვეული აგრარული წარმოების ტექნოლოგიური ჩამორჩენით.

## 3. ტექნოლოგიური გარემოს ფაქტორები:

- ქვეყნის სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში აგრარული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე და შრომის გამოყენების მაღალი დანახარჯები;

- შიდა ბაზარზე ჩამოყალიბებული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი;

- გადამამუშავებელი დარგების ტექნიკურ-ტექნოლოგიური განვითარებასა და სანედლეულო პოტენციალს შორის დისბალანსი.

## 4. სოციალური გარემოს ფაქტორი:

- კადრების მომზადების დაბალი დონე;

- სამომხმარებლო ფასების ზრდა სურსათის წარმოებასა და წინწაწევაზე დანახარჯების ზრდით, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებზე: პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფასთან, გარემოს დაცვასთან, ანუ სოციალური ინფლაციის არსებობასთან და სხვა;

- სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებული ფენის სახელმწიფოს მხარდაჭერის დაბალი დონე.

სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებისათვის საჭიროა დასავლეთ ევროპის და პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და შეფასება, რომელთა გაზიარება მოგვცემს საშუალებას ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს საბითუმო ბაზრის ფორმირების პროცედურული ალგორითმი შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ჩამოყალიბდეს ერთიანი საბითუმო ბაზრის ფორმირების მექანიზმები (ორგანიზაციული, ეკონომიკური, ფინანსური და მისი ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები);

2. შესწავლილ იქნეს სურსათის ერთიანი საბითუმო ბაზრის ევოლუციის ქრონოლოგიური ანალიზის შედეგები შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით;

3. განხორციელდეს სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების მექანიზმის კვანძებისა და მისი გარე გარსის კომპონენტების სისტემური კლასიფიკაცია;

4. გამოვლინდეს ზოგადი ხასიათის კანონზომიერებანი.

როგორც ავღნიშნეთ, დასავლეთ ევროპის და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დაგროვდა საერთო ხასიათის კონცეპტუალური კვლევები, რომლებიც მოიცავენ მათი ეფექტიანობის ანალიზის შედეგებსა და კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელია ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების პროცესში. ამ თვალსაზრისით საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ:

- სურსათის საბითუმო ბაზარი „მერკასა“ (იტალია);
- სურსათის საბითუმო ბაზარი „რანჟისი“ და „ლიონი“ (საფრანგეთი);
- სურსათის გამანაწილებელი ცენტრები (ფინეთი);
- ვოლგოგრადის რეგიონული სასურსათო საბითუმო ბაზარი (რუსეთი) და სხვა ბაზრები.

აღსანიშნავია და დიდად საინტერესოა, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში ყველაზე საუკეთესო მოდელად ჩაითვადა სურსათის საბითუმო ბაზრის ესპანური მოდელი „მერკასა“, რომელიც აერთიანებს საბითუმო ბაზრებსა და 20-ზე მეტ სტრუქტურას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში (ვოლგოგრადის) და ბელორუსიის (მინსკი) სასურსათო ბაზრები, სადაც ბაზრის საბაზო მოდელად აღებულ იქნა ვალენსიის საბითუმო ბაზარი „მერკავალენსია“, ამ მოდელის შესწავლისას გამოვლენის იქნა ისეთი უპირატესობები, რომლებიც მისაღები გახდა პოსტსაბჭოთა სივრცის რიგი ქვეყნებისათვის (რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი), კერძოდ:

1. სურსათის საბითუმო ბაზრის ქსელი ესპანეთში შედარებით ახალგაზრდა ფორმირებაა და სრულად მოიცავს მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებებს.

2. სურსათის საბითუმო ბაზარი „მერკავალენსია“ შეიქმნა თავისუფალ ტერიტორიაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განვითარებისა და მოდერნიზაციის პერსპექტივების გათვალისწინებით.

3. სურსათის საბითუმო ბაზარი „მერკავალენსიის“ სერვისულ ქსელში შედის 100-ზე მეტი სუბიექტი და სრულად მოიცავს მომხმარებელთა ინტერესებს;

4. საბითუმო ბაზრის აქციების 51% ეკუთვნის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, და სხვა.

ერთიანი სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელსაც გააჩნია თავისი განსაკუთრებული თავისებურებები:

**პირველი ეტაპი:** 1. სურსათის საბითუმო ბაზრის სასტარტო მოდელის ფორმირება. ამ ეტაპს გააჩნია შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას:

- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომლის მეშვეობით ხდება უფლებამოსილების რეგულირება და სახელშეკრულებო ურთიერთობების ჩამოყალიბება;


- ცენტრალიზებული ნორმატიული ბაზა, რომელიც დაეფუძნება ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს;

- ლოკალური დონის ნორმატიული ბაზა, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით და რომლებიც შესაბამეა ცენტრალურ საკანონმდებლო აქტებს;

- შიდა (საკუთარი) ნორმატიული ბაზა, რომელიც ადგენს ბაზრის მუშაობის წესებს, მოიცავს სადამფუძნებლო და სხვა დოკუმენტაციის პაკეტს;

სურსათის საბითუმო ბაზრის ორგანიზაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება სასურსათო საბითუმო ბაზრის სისტემის მართვას (სქემა 3.1.1), საკუთრივ მოიცავს ბაზრის სტრუქტურას და მისი ფორმირების მექანიზმის ორგანიზებას, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები.

იმისათვის, რომ ამოქმედდეს სურსათის საბითუმო ბაზარი, უნდა მოხდეს მისი ფორმირების მექანიზმის ელემენტების ფორმირება: დაგეგმვა, პროექტირება, მშენებლობა, ტექნოლოგიური რეგლამენტის დადგენა და სხვა აუცილებელი მიმართულებები, რომელთა დაცვა უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონეზე.



სსბ – სურსათის საბითუმო ბაზარი

იას – ინფორმაციის ანალიტიკური სამსახური

### სქემა 3.1.1 სურსათის საბითუმო ბაზრის მართვის სქემა

მეორე ეტაპი ხასიათდება სურსათის საბითუმო ბაზრის მეშაობის დაწყებით:

- ✓ სამართლებრივი საფუძვლები:



- სურსათის საბითუმო ბაზრის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების კანონპროექტის შემუშავება;
- საკუთარი ნორმატიული ბაზის სამუშაო ბლოკის ფორმირება.
- ✓ გარე მართვისა და კოორდინაციის სისტემების არსებობა:
- სურსათის საბითუმო ბაზრის ეროვნული ქსელის პროგრამების მექანიზმის ფორმირება;
- სურსათის საბითუმო ბაზრის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტში და საბაზრო ქსელის განვითარების პროგრამებში ჩართვა;
- ზედამხედველობითი საბჭოსა და სურსათის საბითუმო ბაზრის აქციონერთა კრების გეგმური მუშაობა;
- ქვეყნის სურსათის საბითუმო ბაზრის ჩართვა სურსათის რეგიონალურ და მსოფლიო კავშირში (პერსპექტივა);
- საკუთარი სერვისული სამსახურების ფორმირება, რომელიც საშუალებას მისცემს სურსათის საბითუმო ბაზარს დაიწყოს მისი ექსპლოატაცია ავტომატურ რეჟიმში, ყველა საჭირო სახელმწიფო მაკონტროლებელი სამსახურების აკრედიტაცია;
- საბითუმო მოვაჭრეების ძალებით განხორციელებული საერთაშორისო მიწოდების კომუნიკაციის ფორმირება;
- რეგიონთაშორისი სასაქონლო ნაკადების განხორციელება იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს სურსათის ყიდვა-გაყიდვის ბალანსი.

**მესამე ეტაპი** წარმოადგენს ყველაზე რთულ, თუმცა სასარგებლო პერიოდს. ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულია სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების და ექსტენსიური განვითარების გარკვეული გამოცდილება, რომელიც გავლილი პერიოდის ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ანალიზი კი განსაზღვრავს სურსათის საბითუმო ბაზრის ინტენსიურ ფორმებზე გადასვლის პოლიტიკას.


აღნიშნული ეტაპი ხასიათდება სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების გარე და შიდა ხასიათის ფაქტორების პოზიტიური და ნეგატიური მხარეებით. კერძოდ:

- ამ პერიოდში უნდა მოხდეს სურსათის საბითუმო ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ფორმირება და ბაზრის ორგანიზაციაში, მართვაში, დაგეგმვაში ვაჭრობის პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, რომელსაც ექნება ციკლური ხასიათი და არ შემოიფარგლება ერთჯერადი ოპერაციებით;

- ამავე ეტაპზე ხდება წინა პერიოდში სურსათის საბითუმო ბაზრის მართვის მექანიზმში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა, განსაკუთრებით ფინანსური ვალდებულებების სისტემაში მისი მდგრადობის უზრუნველყოფა (როგორც საკუთარი, მყარი ფინანსური შესაძლებლობების განმტკიცება, ისე ვალდებულებების აღმოფხვრა).



- სურსათის საბითუმო ბაზრის მენეჯმენტს ანტიკრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის სტრატეგიის შემუშავებასა და გადაწყვეტილებების მიღების საკუთარი ხედვა უნდა გააჩნდეს.

**მეოთხე ეტაპზე** ძირითადი ყურადღების საგანი ხდება საბითუმო ბაზრის სტაბილიზაცია და სამუშაო პროცესების ინტენსიურობის ზრდა. სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების სისტემური ანალიზისა და მისი მართვის მექანიზმში წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდებულია სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება (სქემა 3.1.2). როგორც სქემიდან ჩანს სურსათის საბითუმო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების მიღწევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელმწიფო რეგულირებას, მის ხელთ არსებული პირდაპირი და არაპირდაპირი - სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმებით.



ორივე მიმართულება თანაბრად აქტუალური სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. თუმცა, როგორც ნახაზიდან ირკვევა სახელმწიფოს ჩარევა სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებაში ვლინდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნაში. რაც გამოიხატება სპეციალური საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში. როგორც გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამართლებრივი ბაზა უნდა იყოს ადაპტირებული ევროპის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობასთან. ანუ ასეთი სახის ბაზრების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესის სამართლებრივი რეგულირების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეგულირების მეთოდები და ფორმები, იმ ხარისხით, რაც ხელს არ შეუშლის სურსათის ეროვნულ საბითუმო ბაზარს მსოფლიო კავშირების ფორმირებასა და სხვადასხვა ინსტიტუტებიდან გარეშე ინვესტიციების მოზიდვაში. ასევე განსაზღვრულია სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების შიდა და გარე ურთიერთობის სამართლებრივმა ბაზამ აუცილებლად უნდა გაიაროს იურიდიული ექსპერტიზა მისი ეფექტიანობის შემოწმების პრაქტიკით.

რასაკვირველია, სურსათის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ოთხი ეტაპი სრულად ვერ აღწერს იმ მდგომარეობას და პრობლემებს რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების და განვითარების პროცესში, რაც განპირობებულია მისი ფუნქციონირების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. (ნახაზი 3.1.3), რეგიონთაშორისი საბითუმო ბაზრის ორგანიგრამაში (ორგანიზაციული სქემა) მოცემულია ყველა ის მოსალოდნელი ფაქტები, რომლის გადაწყვეტა და მართვა შესაძლოა მოუხდეს ქვეყანას ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების პროცესში. ეს ტექნიკური საკითხია და მათი აღწერა მოცემულ კვლევის მიზნებს სცილდება. თუმცა ავლნიშნავთ, რომ პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში (მაგალითად, თუ საჭირო იქნება საკუთარი სარეკლამო



სააგენტოს შექმნა ან მისი პერიფერიული ქვედანაყოფის) უნდა იცვლებოდეს ორგანიზრამის სტრუქტურა.

აღსანიშნავია, აგრეთვე ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებასთან, ეხება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური მოდელების საპროექტო, სამშენებლო, ტიპური მოდელების შექმნას, რომლის ტირაჟირება შესაძლებელი იქნება მისი მსგავსი ფილიალების ფორმირებისათვის რეგიონში. ამისთვის კი საკუთარი ფინანსები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი, ამიტომ, მას სჭირდება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა, მაგრამ ეს დანახარჯები როგორი რთულიც არ უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის, მისი საბიუჯეტო მდგომარეობის გათვალისწინებით, ის შედარებით მოკლე დროში მოახდენს ქვეყანაში აგრარული წარმოების აღორძინებას და სასურსათო ბაზრის სტაბილურ მომარაგებას.

ქვეყნები, სადაც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა დაფუძნებულია სასურსათო საბითუმო ბაზრებზე, გვიჩვენებს, რომ მას გააჩნია პოტენციული დიდი მოცულობით მოიზიდოს ფინანსური რესურსები. შესაძლებელია მან ფინანსურ ბაზრებზე განათავსოს აქციები. მათ შორის დიდი რაოდენობით ინდუსტრიული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრების, ქალაქების ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობით შესაძლებელი ხდება მათი ჩართვა აქციების რეალიზაციის პროცესში, ანუ გახდნენ ასეთი ბაზრის აქციონერები. ეს მეტყველებს ასევე სახელმწიფოს მიერ სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმაზე.

ყოველივე ამის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნებსა და პოსტსაბჭოთა რიგ ქვეყნებში მოქმედი სურსათის საბითუმო ბაზრები ქმნიან საინვესტიციო პორტფელის დიდ

მოცულობას და თვით უკუგების მექანიზმის დაფუძნებით აღწევენ საკუთარი პოტენციალის გამოყენების ამაღლებას და საერთაშორისო სასურსათო ბაზრებთან აქტიურ თანამშრომლობას. გამოცდილება ასევე მეტყველებს იმაზე, რომ სურსათის საბითუმო ბაზრის ხელთ არსებული რესურსების გამოყენება ხასიათდება მაღალი დონით, ინარჩუნებს მდგრადობის მაღალ კოეფიციენტს და უზრუნველყოფს ყველა სახის ვალდებულებების სრულად აღმოფხვრას.

მაგალითად, ვოლგოგრადის სურსათის საბითუმო ბაზრის აუდიტის შედეგების მიხედვით გაკეთებული რეკომენდაციებიდან ირკვევა, რომ სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმები უნდა იყოს მიმართული სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების მიღწევაზე. ამ მიზნების მიღწევის ძირითადი მეთოდები დამოკიდებულია სურსათის საბითუმო ბაზარზე მიღებული მართვის საერთო სტრატეგიაზე. ამიტომ, მისი მიღწევის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ფინანსურ-ეკონომიკურ ანალიზს, ფინანსურ დაგეგმვას და საკუთრივ ფინანსურ ინსტრუმენტს. ექსპერტების მიერ გაკეთებული ანალიზი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სასურსათო ნედლეულის მწარმოებლების და სახელმწიფო მართვის ორგანოების ძალისხმევის გაერთიანების აუცილებელობას სასურსათო კომპლექსის მაღალი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. [60]

ეფექტიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია, სურსათის საბითუმო ბაზრისათვის საბითუმო მოვაჭრეების ინტერესების დინამიკა და მისი ანალიზი. საქონლის ნაკადის მოცულობა და მისი სტრუქტურა. იგივე ბაზრის ანალიზიდან ირკვევა, რომ მათი რაოდენობა 3 წლის განმავლობაში გაიზარდა 8,4-ჯერ. მაგალითად, ზემოთ ხსენებული ბაზრის საწყის ეტაპზე გამოყენებული იყო ბაზრის მართვის დირექტიული მეთოდები სუბიექტების ბაზრის პერსპექტიულობაში დარწმუნების მიზნით. შემდგომში უკვე მეორე და მესამე წელს პროცესმა მიიღო მასიური

ხასიათი საბითუმო მოვაჭრეების ჩართულობით, რაც უკვე აღემატებოდა საბითუმო ბაზრის შესაძლებლობებს. ასეთ მდგომარეობაში წინა ხაზზე წამოიწია წინააღმდეგობების გადალახვის თვითრეგულირების პროცესებმა:

- საბითუმო მოვაჭრეების გამსხვილება და გაძლიერება;
- სპეციალიზაციის არარსების პირობებში სელექციისა და კონკურენციის გაძლიერება.

საბოლოო ჯამში მოხდა საბითუმო მოვაჭრეების სპეციალიზაცია საქონლის ჯგუფების მიხედვით. გამოჩნდნენ მალფუჭებადი პროდუქტების (თევზი, ხორცი, ფრინველი) საბითუმო მოვაჭრეები. მიუხედავად სეზონური და ყოველკვირეული რყევისა, ბაზრის დაარსების მესამე წლის ბოლოსათვის მოხდა მოთხოვნა-მიწოდების შედარებითი სტაბილიზაცია და მიღწეულმა ბალანსმა საშუალება მისცა ბაზარს გადასულიყო ორდღიან ბრუნვაზე.

მთლიანად სურსათის საბითუმო ბაზარზე თავმოყრილი პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურა გაიზარდა 1000-დან 6000 დასახელებამდე, რამაც განაპირობა დაბალანსებულ მოთხოვნაზე გადასვლა. ასევე, გაიზარდა მიმდებარე რეგიონებიდან პერიფერიული მყიდველების რაოდენობა, ამ ბაზრის მყიდველთა შორის 13 რეგიონიდან საქართველოს 5,1%-ით მეხუთე ადგილი ეკავა. აქედან გამომდინარე, საბითუმო ბაზრის მყიდველებს შორის პერიფერიულ კლიენტებს ეკავათ გაყიდვების 53%, რაც მოწმობს ასეთი ფორმით სურსათით ვაჭრობის მაღალ ეფექტიანობაზე, რაც გამოხატულია ფასების ხელმისაწვდომი დონით და სურსათის ხარისხით.

სურსათის საბითუმო ბაზრის ევროპული მოდელის ანალოგის დაფუძნება საქართველოში, საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში სასურსათო ბაზრის გაჯერება, მოახდენს მოსახლეობის



სურსათით უზრუნველყოფას სურსათის ფასებისა და გაყიდვების მოცულობის ვარირების გზით. ამისათვის საკმარისია შესაბამისი ორგანოების დაინტერესის პირობებში საკმაოდ მოკლე დრო (დაახლოებით 3 წელი) ჩამოყალიბდეს ქვეყანაში ერთანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზარი, რომელიც შეძლებს გადაწყვიტოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა დროსა და სივრცეში. ეს კი არის ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

ამრიგად, სურსათის საბითუმო ბაზრის ჩასახვისა და ფორმირების პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს და საჭიროებს, რომ:

- მოხდეს სურსათის ეროვნული საბითუმო ბაზრის დაფუძნებისა და ფუნქციონირების მექანიზმის ფორმირება;
- მოხდეს უკვე შემნილი (ვარაუდი) სურსათის საბითუმო ბაზრის მართვის არსებული მექანიზმის ოპერატიული კორექტირება და ახალ ცვალებად რეალობასთან ადაპტირება;
- ჩატარდეს ერთიანი სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების მექანიზმების კომპონენტების კვანძების და გარე გარსის სისტემური კლასიფიკაცია;
- პერმანენტულად განხორციელდეს სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების მექანიზმების პრობლემების და წინააღმდეგობების მიზეზ-შედეგობრივი სისტემური ანალიზი.

ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სურსათის საბითუმო ბაზრის ადმინისტრაციას გააჩნდეს შესაძლებლობა ჩაწვდეს და გამოხატოს მზადყოფნა გარე გარემოს სწრაფცვალებადობის პირობებში ადაპტაციისთვის, გამოავლინოს საერთო კანონზომიერება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საერთო დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნის ერთიანი სურსათის საბითუმო ბაზრის ეფექტიანობის შესახებ მსჯელობიდან, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ფორმირების მექანიზმების წარმოდგენილი ტიპური სტრუქტურა, მოიცავს შიდა და გარე დონის საჭირო შეთანხმების პროცესებს, რომლებიც მონაწილეობენ სურსათის საბითუმო ბაზრის ყველა ელემენტის ფორმირებაში, ასაბუთებს საბითუმო ბაზრის მექანიზმების ფორმირების ორი ფაზის არსებობის გარდაუვალობას - განვითარების ექსტენსიურ და ინტენსიურ ფაზებს.

### **3.2 სურსათის საბითუმო ბაზრის მოდელის ფორმირების და რეალიზაციის ალგორითმი**

როგორც პრაქტიკული გამოცდილების ანალიზმა და შესაბამისი თეორიული წყაროების განზოგადებამ გვიჩვენა, სასურსათო საბითუმო ბაზრის შექმნა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო სახსრების შედარებით ნაკლები დანახარჯებით სასურსათო ბაზრის სტაბილურობა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თვით სასურსათო საბითუმო ბაზრის ორგანიზაციულ სტრუქტურას გააჩნია თვითრეგულირების მაღალი პოტენციალი, შედეგად სახელმწიფო თავის მხრივ დებულობს ფასებისა და საგადასახადო დაბეგვრის რეგულირების ფრიად ეფექტურ ინსტრუმენტს, მათ შორის პროდუქციის ხარისხზე კონტროლისა და სერტიფიცირების მეთოდებს. საბითუმო და საცალო მოვაჭრეები დებულობენ მოცემული ტიპის ბაზრის სახით საშუალებას, გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სურსათის საბითუმო ბაზარი იძლევა საშუალებას, რეალურად გადაილახოს ის წინააღმდეგობები, რომელიც არსებობს ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, როგორცაა ფასების დისპარიტეტი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების, კვების პროდუქტების მწარმოებლებსა და მატერიალური რესურსების მიმწოდებელ დარგებს შორის. შესაბამისად, იმისათვის, რომ შეიქმნას ქვეყანაში მსგავსი კვების პროდუქტების მოსახლეობაზე მიწოდების ცივილიზებული ფორმა - სურსათის საბითუმო ბაზარი, საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები, დრო, სივრცე და დაფინანსების წყაროები. სურსათის საბითუმო ბაზრის სისტემის შექმნისა და განვითარების შესახებ ქვეყნის ძირითადი მიმართულებები მდგომარეობს შემდეგში:

1. სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზის მომზადება;
2. სურსათის საბითუმო ბაზრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა;
3. პროგრამის რეალიზაციის რესურსული უზრუნველყოფა;
4. ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის შექმნა და გამოყენება, რომელიც უნდა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლებს, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტებს, ინფრასტრუქტურულ დარგებსა და სამსახურებს;
5. კადრების მომზადება მარკეტინგული პრაქტიკით, რომელთაც შესწევთ უნარი ეფექტურად იმუშაონ საბაზრო ეკონომიკის პირობებში;
6. სურსათის საბითუმო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის შესაბამისი სისტემების ფორმირება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სურსათის საბითუმო ბაზრები თავიანთ განვითარებაში გადიან რამდენიმე ეტაპს. ისინი იქმნებიან როგორც საერთო ბაზრები, შემდეგ აღრმავებენ სპეციალიზაციას და აძლიერებენ თავიანთ ტექნოლოგიურ და სერვისულ პოტენციალს. მაგ. ევროპასა და აშშ-ში ვითარდება სურსათის განაწილების მაღალ ეფექტიანი სისტემების ფორმირების ახალი ტენდენციები. ხდება მწარმოებლებსა და სუპერმარკეტებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარება უმთავრესად დისტრიბუციის უნივერსალური ცენტრების მეშვეობით. როგორც უკვე ავღნიშნეთ, დღევანდელ საქართველოში სურსათის მოძრაობა მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მომხმარებელამდე ეფუძნება სტიქიურ ურთიერთობებს, მიუხედავად ამისა, ჩვენი ანალიზიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ქვეყანაში შექმნილია სურსათის ეროვნული სასურსათო ბაზრის წანამძღვრები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც საჭიროებს ორგანიზაციულ სისტემაში მოქცევას. როგორც გამოცდილი ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირება ორგანიზაციული თვალსაზრისით, საჭიროებს საკმაოდ მაღალ კონტროლს და მხადაჭერას სახელმწიფოს მხრიდან. რადგან, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს გამოცდილება, ქვეყნის შიგნით ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა და მეთოდოლოგია. სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების ალგორითმის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი ნორმატიული ბაზის და მეთოდოლოგიის ფორმირება. ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ ყველაზე დიდი სირთულე სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებაში არის სამომხმარებლო ბაზრის კომუნიკაციების და ინფორმაციული უზრუნველყოფის, საბითუმო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა. საჭიროა ამავდროულად არსებული საბითუმო რგოლის რეორგანიზაცია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს უკანასკნელ წლებში საბითუმო სტრუქტურებში დიფერენციაციის გაღრმავების ტენდენციებს. ასევე, აუცილებელია მომხმარებლებისათვის სხვადასხვა კატეგორიების მომსახურების შეთავაზება და საბითუმო ორგანიზაციების როგორც ტიპური ისე სახეობითი მრავალფეროვნების გათვალისწინება.

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობს ქვეყნების სასაწყო ბიზნესის მსხვილ ლოჯისტიკურ კომპანიებში და საქონელგამანაწილებელ ცენტრებში ინტეგრაციის პროცესი, რაც იძლევა ტვირთ-მოძრაობის პროცესის რაციონალიზაციის საშუალებას. ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ტვირთმოძრაობის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, იძლევა საშუალებას გაწეულ იქნეს ეკონომია საერთო სისტემურ დანახარჯებზე (ტრანზაქციული დანახარჯები) და მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი საქონლის წარმოების, განაწილების და მოხმარების პროცესში.

აქტიური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება უჩვენებს, რომ საქონლის წინააღმდეგობის საბითუმო რგოლი ვითარდებოდა საქონელმწარმოებლების მოთხოვნების კარნახით და მის შემადგენლობაში საწარმოების გამოყოფით, რომელიც სპეციალიზირდებოდნენ საბითუმო ვაჭრობაზე და ახორციელებენ მთლიანად ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს კომპლექსში საქონელზე საკუთრების უფლების საბითუმო რგოლზე გადასვლით. მათ შორის, ამ პროცესში ერთიანდებოდნენ ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებზე სპეციალიზირებული საბითუმო მოვაჭრეები, რომლებიც ხასიათდებოდნენ უნივერსალურობით, გააჩნდათ საბითუმო მომსახურების ფართო წრე ან ორინეტირებულნი იყვნენ კლიენტის მომსახურების სპეციფიკურ მეთოდებზე. იგივე ტენდენციები შენარჩუნებულია ევროპისა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მოცემული საკითხების ანალიზი, იძლევა საშუალებას გამოვლენილ იქნეს მათი საქმიანობის დადებითი მხარეები:

1. სურსათით მომარაგებისა და განაწილების ეფექტიანობის ამაღლება;
2. ადგილობრივი საქონელმწარმოებლების ჩართვა სურსათის საბითუმო ბაზარში და სასურსათო საქონლის გაუმართლებელი (სტიქიური) კონცენტრაცია;

3. მწარმოებლებიდან მომხმარებელამდე საქონლის წინააღმდეგობის პროცესების დაჩქარება და გამარტივება;
4. არსებული კანონმდებლობის ჩარჩოებში საზოგადოებრივი ბაზრობების ორგანიზება;
5. სასაწყობო ნაგებობებისა და სამაცივრო დანადგარების განვითარება, ფუნქციონირება და მაქსიმალურად ეფექტიანი განვითარება;
6. საქონლის მყიდველისთვის და გამყიდველისთვის ბაზრის ფუნქციონირების გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
7. მოთხოვნა-მიწოდების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის პროგნოზირება;
8. გაყიდვად კვების პროდუქტებზე რეალური ფასების ფორმირების პირობების შექმნა, პირველ რიგში მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას ფასებისა და გაყიდვების მოცულობის ვარიანტების მეშვეობით;
9. პროდუქციისა და ფულადი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარება და გაფართოება, მოგების ზრდა და სხვა;
10. სურსათის ბაზრის გაჯერების მდგომარეობის მონიტორინგის ჩატარება, ანალიზი და პროგნოზირება;
11. ბაზრებზე საქონელმოდრობის შედეგების ინფორმაციული მომსახურება, მონაცემთა სტატისტიკური ბაზის შექმნა;
12. სურსათის საბითუმო ვაჭრობის სუბიექტებისთვის საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის, სატრანსპორტო - ექსპედიტორული, საექსპერტო დაცვისა და სხვა სერვისული მომსახურების გაწევა.
13. საბითუმო ვაჭრობის მონაწილეებს შორის ანგარიშსწორების სისტემის შექმნა საბითუმო ბაზარზე აკრედიტებული ბანკის მეშვეობით;
14. საქონლის ხარისხის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა;
15. გასაყიდი პროდუქციის ხარისხის სანიტარულ-ვეტერინარული კონტროლისათვის პირობების შექმნა;
16. კონტროლირებადი საგადასახადო სისტემის შექმნა;

17. სასურსათო პროდუქციის დანაკარგის მინიმიზაციის მიზნით საბითუმო ბაზრის სისტემაში გადამამუშავებელი, დამახარისხებელი და შემფუთავი საწარმოს შექმნა.

კარგადაა ცნობილი, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის 30% და მეტიც ვერ აღწევს მომხმარებელამდე. იმდენად დიდია დანაკარგები, რომ ის გავლენას ახდენს არამარტო მწარმოებლის ეკონომიკაზე, არამედ სამომხმარებლო ფასზეც. ყოველივე ამ ხარვეზის ამოფხვრას ხელს უწყობს სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც შეიძლება ავლნიშნოთ სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებასთან დაკავშირებით, არის მისი დადებითი გავლენა ადგილობრივ წარმოებაზე. მაგალითად, რიგ ქვეყნებში სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირებამ და ფუნქციონირებამ ხელი შეუწყო იმპორტის შემცირებას და შესაბამისად, ადგილობრივი წარმოების ზრდას, რადგან ამგვარი ბაზრების ჩამოყალიბება აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდისათვის მწარმოებელთა სტიმულირების ზრდის ფაქტორი.

სასურსათო საქონლის მოძრაობისა და მისი ბრუნვის პროცესების შესწავლა ითხოვს რითმულობის დაცვას და საქონლის წინწაწევის ეტაპების თანმიმდევრობას. საწარმოო სფეროებსა და სავაჭრო შუამავლების კავშირების ინფორმაციას ბაზრის მონაწილეთა შორის ეკონომიკური მონაცემების შესახებ. სახელმწიფო თავის მხრივ საჭიროებს ინფორმაციას საქონელბრუნვის ტერიტორიული განაწილების შესახებ; საქონელბრუნვის, მომხმარებელთა შემოსავლებთან შესაბამისობის შესახებ, სასაქონლო მასის მოხმარების სფეროში გადასვლისა და ბაზრის გაჯერების შესახებ. მოთხოვნა-მიწოდების პროგნოზირებისა და რეგულირების მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა, რომ მოხდეს საქონელბრუნვის ტენდენციების და კანონზომიერების გამოვლენა. საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებლების გამოყენება სურსათის საბითუმო ბაზრის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების კრიტერიუმებად.

არ შეიძლება გვერდი აგუაროთ სურსათის საბითუმო ბაზრის სოციალური ეფექტურობის მნიშვნელოვან ასპექტს. ასეთი ბაზრები მწარმოებლებს და შუამავლებს საბითუმო ოპერაციების გატარებით შესაძლებლობას აძლევენ კონკურენციის საფუძველზე შეამცირონ მიმოქცევის დანახარჯები და შესაბამისად, საქონლის ღირებულება. აგრეთვე, იგი აყალიბებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მოძრაობის, სატრანსპორტო და ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემას და აწესრიგებს სასოფლო – სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის გამყიდველების, კომერსანტების და მაკლერების საქმიანობას.

სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს შეუზღუდავი გავლენის პრინციპი. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა ქვეყანის ყველა კუთხის, ქალაქის ჩართვას მისი საწარმოო პოტენციალით სურსათის საბაზისო ბაზრის სასაქონლო ნაკადების სისტემაში. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია, რომ საბითუმო ბაზრების განვითარების სისტემური პრინციპიდან გამომდინარე, უნდა იქმნებოდეს საბითუმო ბაზრის თვითგანვითარების სისტემები, რომელიც დაეფუძნება ქვეყნის მთელი ტერიტორიის ინტერესებს ფულადი და სხვა სახის რესურსების კონსოლიდაციას, რაც რეგიონთაშორისი საქონლებრუნვის მოწესრიგების, სურსათთან მიმართებაში ერთიანი ფასისმიერი პოლიტიკის დადგენის საშუალებას იძლევა.

სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების პრაქტიკამ უჩვენა, რომ საჭიროა საბითუმო ბაზარზე ინტელექტუალური ცენტრის შექმნა, რომელიც დააკვირდება სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს, რომელიც ყოველთვის მიმდინარეობს სურსათის წარმოებისა და განაწილების ბაზრებზე. ასევე, მიზანშეწონილადია მიზნეული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არსებობა სურსათის საბითუმო ბაზრის რეგიონული ქვედანაყოფების მომარაგების მიზნით. სურსათის საბითუმო ბაზრის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება საშუალებას იძლევა შეიქმნას ერთიანი ინფორმაციული ცენტრი, რომელიც დაკავშირებული



იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სტატისტიკის ეროვნულ ცენტრთან, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან და სხვა. სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება ევროპის წამყვანი ქვეყნების სურსათის საბითუმო ბაზრები. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესიდან, რომელიც ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონებისა და სურსათის მოძრაობის ერთიან ჯაჭვში მონაწილე სუბიექტების ინტერესების რეალიზაცია.

## დასკვნები და წინადადებები

სასურსათო საბითუმო ბაზარი, როგორც აგრარული ბაზრის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი ავლენს ყველა იმ თვისებას, რაც გააჩნია ეკონომიკურ ორგანიზაციას. მისი შექმნისა და ფუნქციონირების ამოცანაა ჩამოყალიბდეს ქვეყანაში სოციალურ – ეკონომიკური განვითარების მდგრადი საფუძვლები. სურსათის საბითუმო ბაზარი, როგორც ბაზრის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის რესურსების წარმოების, განაწილების და მასთან დაკავშირებული კოორდინაციის მექანიზმს, ინსტიტუტს. იგი უზრუნველყოფს კონკურენტული ურთიერთობების ფართო შესაძლებლობებს იმისათვის, რომ მასში შემაჯაღმა თითოეულმა სუბიექტმა მიაღწიოს საკუთარი ინტერესების რეალიზაციას. ეროვნული საბითუმო სასურსათო ბაზრის ფორმირება ხელს შეუწყობს შესაბამისი საწარმოო, სატრანსპორტო, მარკეტინგული, საბანკო-საფინანსო, სოციალური და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ერთიანი სისტემის სახით ჩამოყალიბებას, რაც ზრდის მისი ერთობლივი ძალისხმევის ეფექტიანობას (სინერგიული ეფექტი). მთლიანობაში კი ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარების ყველა დროის ფრიად აქტუალური სოციალური პრობლემის მოგვარებას – სოფლის მეურნობის პროდუქტების წარმოებას, მომხმარებელამდე უწყვეტ და სტაბილურ, მოთხოვნის შესაბამისი ხარისხით, ხელმისაწვდომ ფასად მიწოდებას.

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა როგორც თეორიულ - მეთოდოლოგიური და მეთოდური, ასევე პრაქტიკული დასკვნები შემდგენაირად:

1. თანამედროვე სასურსათო ბაზრის თავისებურებაა ის, რომ იგი თანდათან შორდება მის სრულყოფილ ტიპს და იძენს ოლიგოპოლიური

ბაზრის შინაარსს. ეს განპირობებულია თანამედროვე გლობალიზაციისა და ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების მზარდი ტემპებით. ასევე, სავაჭრო და საწარმოო კაპიტალის შეღწევით აგრარულ სფეროში და სურსათის წარმოების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებით;

2. აგროსასურსათო სფეროს სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების არსობრივი მრავალკრიტერიული სისტემის მიხედვით ეკონომიკური ინტერესები ხასიათდება, როგორც აღწარმოების პროცესის სისტემის ისტორიულ-სოციალური და ეკონომიკური კატეგორია, განპირობებული საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარებით და ინდივიდების მატერიალური მოთხოვნილების გაფართოებით მეურნეობების სუბიექტების ეკონომიკურ მოთხოვნილებამდე.

3. აგრარული ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობის შეფასების კრიტერიუმების ანალიზის მიხედვით გამოვლინდა, რომ ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური პარტნიორობა იძლევა სურსათის წარმოებისა და მომხმარებელამდე წინწაწვევის ყველა მონაწილის გაფართოებული აღწარმოების თანაბარ შესაძლებლობას, ვინაიდან ის გამომდინარეობს ურთიერთშეთანხმებულობის კრიტერიუმის ფართო ცნებიდან და პირდაპირ განსაზღვრავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და მის უნარიანობას პასუხი გასცეს ყველა მის ვალდებულებებს, მათ შორის პირველ რიგში მოცემულ სამეურნეო ერთეულში დასაქმებული პირების მიმართ.

4. სურსათის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების მიზნების, მექანიზმების და მეთოდების ფორმირება და კომპლექსური განხორციელება წარმოადგენს თანამედროვე სასურსათო საბითუმო ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირების გარდაუვალ აუცილებლობას. ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების

პირობებში, სახელმწიფო წარმოადგენს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გარანტს და შედეგად, სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესის სრულფასოვან მონაწილეს, რადგან სოფლის აღწარმოების ყველა პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძალისხმევით შეუძლებელია საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სპეციფიკური, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების და მათი ფუნქციონირების სპეციფიკის შესწავლით გამოკვეთილია მათი ეფექტიანობა და როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ ქვეყნის მოსახლეობის სასურველი, ხარისხიანი პროდუქტებით უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებაში წლის ნებისმიერ დროს.

6. სურსათის საბითუმო ბაზრის ფორმირების პირობებში აგრარული ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის და ანალიზის შედეგად, შემუშავებულია ქვეყნის ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების პროცედურები და ეტაპები, მისი ფუნქციონირებისას არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები, ასევე სქემის სახით მოცემულია სურსათის საბითუმო ბაზრის ორგანიზაციის (შექმნის) პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სასურსათო საბითუმო ბაზრის სისტემის რეგულირებას სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, საკუთრივ მოიცავს ბაზრის სტრუქტურას და მისი ფორმირების მექანიზმის ორგანიზებას.

7. გამოკვეთილია სურსათის საბითუმო ბაზრის, როგორც სისტემის შექმნისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათი ფუნქციონირების სპეციფიკა, პრინციპები და შემოთავაზებულია

სურსათის ეროვნული საბითუმო ბაზრის შექმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების ალგორითმი (მოდელი).

და ბოლოს, ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირების პრობლემა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ცალკეული ავტორების კვლევებით, არამედ მან უნდა გამოიწვიოს შესაბამისი ორგანოების ინტერესი, რათა რეალურად განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მათ შორის აგრარული პოლიტიკის განხორციელების მიმართულებებში ღირსეული ადგილი. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას და ავღნიშნავთ, რომ ერთიანი ეროვნული სასურსათო საბითუმო ბაზრის ფორმირება არის დღეს ყველაზე უფრო აქტუალური და ეფექტიანი ფორმა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის კვების პროდუქტებზე მოთხოვნის სრულფასოვანი დაკმაყოფილების მექანიზმი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბ.: “მეცნიერება,” 2003.
2. ანდლულაძე რ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესში, საქართველო, 1979.
3. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა, თბ. “სიახლე,” 2009.
4. ასათიანი რ. რეგიონალური სასურსათო ქვეკომპლექსების ფორმირება და მართვის ორგანიზაცია, თბ. 1991.
5. ბაკაშვილი ნ. საბაზრო ინფრასტრუქტურა, , თბ. 2004
6. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება: თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, თბ.: “შპს პდპ.” 2004
7. ბაუჩაძე ბ. საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება და განვითარება გარდამავალ პერიოდში, თბ.: “საზოგადოება ცოდნა,” 2009.
8. ბენაშვილი ც. მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა საქართველოში, თბ.: “მეცნიერება,” 1990.
9. ბენია შ. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების აგროსექტორში, თბ. 19983.
10. ბერიძე ზ. მონოგრაფია. ეკონომიკური რესურსების გამოყენების

ეფექტიანობის ამალგების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში, თბ.:  
“უნივერსალი,” 2011

11. ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების  
მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზების გზები, თბ.: “მეცნიერება,”  
2004.

12. გიორგაძე ვ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და  
მიკროაგროეკონომიკური ანალიზი, სსაუ, 1998.

13. გოგობია რ. ეკონომიკური ინტერესები წარმოებით ურთიერთობათა  
სისტემაში, თბ.: “მეცნიერება,” 1980.

14. გოგობია რ. ეკონომიკური ინტერესები წარმოებით ურთიერთობათა  
სისტემაში, თბ.: “მეცნიერება,” 1980

15. დრაკერი პ. ფ. არაკომერციული ორგანიზაციის მართვა: პრაქტიკა და  
პრინციპები, თბ.: “ჰორიზონტი,” 2001.ე

16. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და  
პერსპექტივები, თბ.: “კოლორი,” 2004.

17. კოლუაშვილი პ. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ.:  
“იმედი,” 2006.

18. კოლუაშვილი პ. აგრარული საწარმოს ეკონომიკა. თბ.: “საარი,” 2010.

19. კოტლერი ფ. ბოუენი ჯ. მეიკენზი ჯ. მარკეტინგ, თბ. 2007

20. ლივშიცი ა. ი. საბაზრო ეკონომიკის შესავალი, თბ. 1996.

21. ლუკასი რ. საბაზრო ეკონომიკა, თბ. 1997.
22. მაკკონელი კემპბელ რ. ეკონომიკსი: პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა, I ტომი, თბ. 1993
23. მანველიძე რ. აგრარული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ბათუმი, 2002.
24. ოსაძე ლ. ბაზარი და მისი გამოკვლევის საფუძველი, მონოგრაფია, გორი.: “ფარნავაზი.” 2006.
25. ოსაძე ლ. საბაზრო ინფრასტრუქტურა და მომსახურების ბაზარი, მონოგრაფია, გორი.: “ფარნავაზი.” 2006.
26. სამუელსონი პ. ეკონომიკსი, I ტომი, თბ. ეკონომიკა და სამართალი, თბ. 1999.
27. სამუელსონი პ. ეკონომიკსი, IV ტომი, თბ. ეკონომიკა და სამართალი, თბ. 2000.
28. სმიტ ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ილიას სახ. უნი-ი თბ. 2007.
29. ფრანგიშვილი ვ. საქართველოს აგრარული პოლიტიკა, თბ. 2003.
30. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, თბ.: “მეცნიერება,” 2003.
31. ქარქაშაძე ნ. მსოფლიო სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ. საუ, 1998.



32. ქემელაშვილი ო. საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა, თბ.: “არეალი,” 2010.
33. ქემელაშვილი ო. საქართველოს სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა, თბ.: “არეალი,” 2008.
34. ქემელაშვილი ო. სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალი, თბ.: “არეალი,” 2009.
35. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები, თბ. 1993.
36. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, თბ. 1993.
37. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის რეგულირება, თბ. 1995.
38. ხარებავა რ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები, თბ. 2008.
39. ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ.: “უნივერსალი,” 2011.
40. ხურცილავა მ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ. 2009.
41. აროშიძე პ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები საბაზრო პრინციპების დამკვიდრების პერიოდში, დისერტაცია, თბ. 2006.

42. აპილი ა. რ. საქართველოს ბაზარზე უცხოური პროდუქციისადმი მომხმარებელთ დამოკიდებულების კვლევა, დისერტაცია, თბ. 2008.
43. EI-LAT 2012 “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”, “სინგაპური, ესტონეთი შვეიცარია: სამიზნე მოდელი ქართული ტრანსფორმაციისათვის”, კვლევის მასალები, 2010 წელი, 46-50 ბზ.
44. მიშველაძე ა. საბაზრო აგრარული ეკონომიკის თავისებურებები და მათი გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაზე საქართველოში, დისერტაცია, თბ. 2003.
45. ნატროშვილი გ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, თბ. 2006.
46. სანაძე მ. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, თბ. 2001.
47. ყეინიშვილი ნ. აგრარული ბაზრის ფორმირების და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში, დისერტაცია, თბ. 2003.
48. ხოხობაშვილი ლ. სამომხმარებლო ბაზრის განვითარების თავისებურებები და სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებები, დისერტაცია, თბ. 2006.

49. ჯუღელი ნ. სამამულო წარმოების პროდუქციით საშინაო ბაზრის გაჯერების რეგულირება, დისერტაცია, თბ. 2005.

50. ხარებავა რ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, თბ. 2008.

51. ხარებავა რ. ხუბუნაია შ. სურსათის ეროვნული ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, სოხუმის სახ. უნივერსიტეტი, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია – პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები, თბ. 2011.

52. ხუბუნაია შ. სასურსათო ბაზრის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით გაჯერების შესაძლებლობის ანალიზი, ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია – ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები, ქუთაისი, 2012.

53. ხუბუნაია შ. სასურსათო ბაზრის ფორმირება, როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია, თბ. 2012.

54. ჭითანავა რ. ქვეყანას სჭირდება აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია (საქართველოს აგრარული მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ძირითადი ნიშნები და თავისებურებები), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, თბილისი, 2012.
55. Абалкин, Логика Экономического Роста. М. ии-т экономики РАН. 2002
56. Андреев П .А., Папцов А.Г. Основные тенденции в реформировании аграрного сектора в странах Восточной Европы. М., ВНИИТЭИ Агропром, 1996.
57. Борисов Е.Ф (Составитель доктор эконотических наук, проф) Хрестоматия по экономической теории.
58. Бизгалин А.Б, Колганов А.И Теория социально-экономических трансформаций, М.2003.
59. Гершкович Б.Я - Материальные интересы и особенности действия экономических законов в сельском хозяйстве. ,М. 1976.
60. Гершкович Б.Я Лившиц В.И - Экономические интересы в условиях развитого социалистического общества. ,М. 1975.
61. Демидов В.А – Оптовый Продовольственный рынок как фактор стабилизации региональной экономики, Диссертация, Волгоград, 1998
62. Каманкин В.П. - Экономические интересы развитого социалистического общества. ,М. 1978.
63. Маршалл А . Принципы экономической науки , т. 2, М . 1993.
64. Назаренко В.И. Монография - Рынок Продовольствия на Западе, Москва 2008.

65. Назаренко В.И. - Теорические основы аграрной политики на Западе и России. М. ИЕ РАН. 2009.
66. Назаренко В.И., Папцов А.Г – Рынок и системы сбыта Продовольствия на Западе, Москва 2008.
67. Папцов А.Г – Экономика Аграрного сектора развитых стран в условиях мирового продовольственного кризиса, Москва 2009.
68. Пиндайка Р.С. Рубинфельда Д.Л „Микроэкономика“.
69. Сайфулин Н.З. Многомерный рынок.
70. Серова Е. Аграрная экономика, Государственный университет. Высшая школа, Экономика. М., 1999;
71. Сажина М.А. - Научные основы Экономической Политики Государства, Москва, 2011.
72. Треиси. М. Сельское хозяйство и продовольствие Введение в теорию, практику и политику. СПб .: Эк. школа. 1995.
73. Шепитько Раиса Сергеевна – Реализация Экономических Интересов Субъектов Аграрной Сферы в Воспроизводственном Процессе, Диссертация, Волгоград, 2004г.
74. Хейне П. Экономический образ мышления. М. 1991
75. Харебава Р. П – Протекционизм формирования продовольственной безопасности. Волгоград, Вестник, «ВОЛГУ», серия: Экономика, 1997.

76. Харебава Р. П – Макроэкономическое регулирование аграрного сектора: тенденции, перспективы. Волгоград, Вестник, «ВОЛГУ», серия: Экономика, 1998.
77. Харебава Р. П – Ценовой механизм регулирования аграрного производства. Волгоград, Вестник, «ВОЛГУ», серия: Экономика, 1999.
78. Харебава Р. П – Рыночный механизм функционирования аграрного сектора. Анапа, Мат-ли науч. конф-йии, 1999
79. Харебава Р. П – Роль оптовых продовольственных рынков в обеспечении продовольственной безопасности. Волгоград, 1999.
80. Харебава Р. П – Динамика общеэкономических процессов в аграрном секторе. Саратов, 2000.
81. A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group April 2002.
82. Adam Smith, „The Wealth of Nations“, 1776.
83. Besanko David A.; Braeutigam Ronald R. Microeconomics. An Intergrated Approach.; Printed in the USA. 2004.
84. Bellinger J. New opportunities and challenges in international market// U.S. meat export federation. 2006.
85. Economic analysis of agricultural policies. 1991. FAO. Rome. Italy
86. European experience in agricultural cooperation. Stock. 2000.
87. Exploring agricultural taxation in Europe. LEI. The Hague. 2007.
88. World Agriculture Markets 2009. Iowa. 2009.

89. Gail L. Cramer, Clarence W. Jensen. 1997. Agricultural Economics and Agribusiness. USA
90. Givord Dorian. Defending the European Rural and Agricultural Model at the WTO. 2001.
91. Jonson D. Gale. World Agriculture in Disarray. London: Macmillan Press Ltd. 1991.
92. Krugman P.(ed) Geography and Trade. Cambridge University, Cambridge(Mass), 1990.
93. Kharashvili E., Tendencies of Agrarian Manufacturing Development in Georgia, Tendencies of Agrarian Manufacturing Development in Georgia, V The international scientific conference, Ukraine 2010.
94. Kotler, F Marketing: Analysis, Planning, Implementation and Control. Warsaw: Gebethner & S-ka, 1994.
95. Porter, M., Nationale Wettbewerbsvorteile. Erfolgreich konkurrieren auf dem Weltmarkt. Sonderausgabe. Wirtschaftsverlag Ueberreuter, 1993.
96. [www.agriturizmo.pg.it](http://www.agriturizmo.pg.it)
97. [www.accueil-paysan.com](http://www.accueil-paysan.com)
98. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
99. [www.greentrade.net](http://www.greentrade.net)
100. [www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html](http://www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html)
101. [www.elkana.org.ge](http://www.elkana.org.ge)
102. [www.maf.ge](http://www.maf.ge)
103. [www.mof.ge](http://www.mof.ge)

104. [www.moa.gov.ge](http://www.moa.gov.ge)
105. <http://faostat.fao.org>
106. <http://www.foodtrader.com>
107. <http://www.freshinfo.com>
108. <http://www.foodmarketexchange.com>
109. <http://www.winevine.org/>
110. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)
111. <http://www.agnetmart.com>
112. [http://www.sjsusa.com/ge/products\\_pork.shtml](http://www.sjsusa.com/ge/products_pork.shtml)
113. <http://nl.wikipedia.org/wiki/IS-LM-model>
114. [http://agromage.com/stat\\_id.php?id=343](http://agromage.com/stat_id.php?id=343)
115. <http://www.blw.admin.ch>
116. <http://translate.voov.me/Words/Engel,%20Ernst>
117. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=17886>